

საზოგადოებრივი თავისუფლება

2

საბჭოთა

1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

საქართველოს სსრ-ის მწერლების
კავშირის ყოფილი თორგანო

12 490
12 27

2



სახელმწიფო გამომცემლობა
ბუილისი
1040 წელი თეზაურული

უიწაარსი:

მხატვრული ლიტერატურა

	გვ.
ელიზბარ პოლუმორდვინოვი — ჰიმნი	3
სანდრო ეული — ეპოქის ავტორი	8
შალვა ამისულაშვილი — ლირიკული ლექსები	11
მირზა გელოვანი — გალაქტიონს	14
იოსებ ნონეშვილი — ლამე ქუთაისში	15
გიორგი კალანდაძე — სამშობლოს დაძახილზე	16
ალექსანდრე საჯაია — ოთხი ლექსი	17
ბონდო კეშელავა — სოფლად თქმული	19
ლადო ბალიაური — ნანგრევთა შორის	21
ვლადიმერ სულაბერიძე — შეხვედრა მტკვართან გორში	33
გიორგი ნაფეტვარიძე — პეტერგოფის შადრევ- ნებთან	35
რ. საგითი — აკაკის ხსოვნას	37
დავით ქაჯაია — სამშობლოს გუშაგს	38

კრიტიკა

შალვა რადიანი — ალიო მაშაშვილი	39
იაკობ შალაბაშვილი — მანანა ორბელიანი	47

ბიბლიოგრაფია

ს. ც.—ნიკოლოზ ბარათაშვილი — ლექსები, პოე- მა. წერილები	63
---	----

პასუხისმგებელი რედაქტორი დიმიტრი ბენაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ნიკოლოზ აგიაშვილი

წარმოებას გადაეცა 1/II-40 წ. ხელმოწერილია დესაბეკდად 20/II-40 წ. ქაღ. ზომა 72 X 108.
ფურც. ზომა 7½ X 11. ფორმ. ოაოდ. 4. შკევ. № 236: მთავლ. № 2468. ტირ. 4000.

საბეჭდომის პოლიგრაფიული კომბინატი, ეორესის ქ. № 5.

მხატვრული ღიბქროსუხა

მლიზგარ კოლუმორდვინოვი

კ ი მ ნ ი

ფერადი ჩუქურთმებით და სარკეებით ნახელოვნები სპარსული დარბაზი ბრწყინავს ჭაღებში ჩაღვრილი სინათლით. დარბაზის კედლები ისე ციმციმებენ, ზითქოს სხივთა ცვარნამით განბანილნი არიანო. იატაკი მოფენილია მრავალ-აკეროვანი ხალიჩებით. მინარეთისებური ფანჯრების რაფებზე ყვავილებით აღვსილი აღმოსავლური ჩუქურთმის ლარნაკები სდგას.

ფართოდ და გრძლად გაშლილია მაგიდა. თეთრად ქათქათებს ბროლის ჭურჭელი და ვერცხლეული. ევროპული ღვინოები — პორტვინი, მადერა, შალავა, და ქართული ღვინოები — ნაფარეული, წინანდალი, თელიანი ჩამწკრივებულან მაგიდის მთელს სიგრძეზე. ჩუმაღ და ჭკვიანად გამოიციქრებიან საჭარძლები, მათ უმტყნარს სამოსს ეტყობა, კარგა ხანია შიგ არავინ ჩამჯდარა, როგორც სჩანს აღამიანებთან ერთად ისინიც მოლოდინში არიან.

სასახლე ზრუნავს და შფოთავს.

შავ ფრაკებში გამოწყობილი მინისტრები დარბაზიდან დარბაზში მღელვარედ მიმოდინან. მსახურებს ბანკეტის ეტიკეტს ასწავლიან.

გაიღო სადარბაზო კარი.

კარის პირდაპირ კედლის უზარმაზარ სარკეში გოჩანდა — მტკიცე და უდიერი ნაბიჯებით როგორ მოიწვედა წინ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი გენერალ მაიორი სერ-ვილიამ რაიკროფტი.

რამდენიმე მინისტრი სააკისკენ ღიმილით მიიწვედა. შემდეგ, როგორც ბურანიდან გამორკვეულნი, შებრუნდნენ და მისაგებებლად გაწვდილი ხელებით ზენერლისკენ გაეშურნენ; ყვითელ დარბაზში გაიყვანეს, სავარძელში მოასვენეს. ორიოდე წუთის შემდეგ გამოჩნდა მეორე დიპლომატი — საფრანგეთის მი-სიის თავმჯდომარე პოლკოვნიკი შარდინი, ისიც თავისი ამალით ეახლა სასახლეს.

ერთი საათის განმავლობაში ყვითელი დარბაზი დიპლომატებით აივსო. თარჯიმანები ბუზებივით შემოეხვივნენ მათ.

შენშევიკების, მუსაეატელების, დაშნაკების, ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირის წარმომადგენლები ბავშვებივით შესცქეროდნენ უცხოელებს, სახეში შესციცინებდნენ, ცდილობდნენ ესაამოვნებინათ.

დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში ორკესტრი უკრავდა. წკრიალებდნენ სიმები და მხიარულების ბგერებს ჰფენდნენ ყველას.

ყენშევიკი დიპლომატი სტუმრებს სპარსულ დარბაზში შეუძღვა. უხვმა და მდიდარმა სუფრამ სტუმრებს თვალი მოსტაცა. ეს ძღვეამოსილი სტუმრები

ომით გაპარტახებულ ქვეყანაზე მოდიოდნენ, როგორც „მხსნელები“ და „ბატონ-პატრონი“. გადმოსთელეს მესოპოტამია, სპარსეთი, ოსმალეთი; მიჩვეული იყვნენ მონურად თავდახრილი მთავრობების საზეიმო შეხვედრებს. ეს ბანკეტიც ისეთი მასპინძლობა იყო, ყურმოჭრილი ყმა რომ გაუმართავს თავის ბატონს.

ქართველი დიპლომატი ყოველთვის ილიმებოდა, როდესაც კი მისი თვალები ინგლისის ან საფრანგეთის წარმომადგენლების თვალებს ხვდებოდა. მას ჟილეტის ჯიბეებზე ოქროს მსხვილი ძეწკვი ჰქონდა გადაყოლილი და თითებზეც რამდენიმე ალმასთვალისანი ბეჭედი ეკეთა. ის იყო ტანმსხვილი, პირმრგვალი, შავი სქელი წარბებით და მოკლედშეკრეპილი შავი უღვაშებით, რომლის ბოლოებიც პირის კუთხეებამდე სწვდებოდა.

სუფრას შემოუსხდნენ.

დიპლომატების ქეიფი დაიწყო. ყრიაშულმა დაიბურო დარბაზი.

რაიკროფტისა და შარდინის პირდაპირ ქართველი დიპლომატი დაჯდა-მუსავატელი და დაშნაკი გვერდში მოუსხდნენ მათ.

— თქვენო აღმატებულებავ, დარწმუნებული იყავით ჩემს უღრმეს თქვენდამი პატივისცემაში!.. — ერთმანეთის დასწრებით ეუბნებოდნენ ნორჩი დიპლომატები, — თქვენი დიდი სამშობლო პატარა ერების მოსარჩლეა და დამხმარე.

— თქვენო კეთილშობილებავ, თქვენი ქვეყანა მთელი მსოფლიოს თავისუფლების აკვანია, — მიმართავდნენ პოლკოვნიკ შარდინის, — ჩვენ გვჭირდება თქვენი ძლიერი მარჯვენის დახმარება...

— Oui, monsieur, oui!.. — თავის ქნევით პასუხობდნენ რაიკროფტიც და შარდინიც.

ფრანგულის არმცოდნე მინისტრები ხშირ-ხშირად ეკითხებოდნენ თავიანთ დიპლომატს:

— რას ამბობენ მაგენი, ჩვენც გაგვაგებინე!..

— ჯერ არსებითი არაფერი უთქვიათ!..

— აბა, კაი, განაგე, განაგრძე!..

ქართველი დიპლომატი განაგრძობდა:

— საქართველოს აქვს ბუნებრივ სიმდიდრეთა დიდი მარაგი — მარგანეცი, ქვანახშირი, ტყეები, თუთები. ინებეთ კონცესიები, ოღონდ იცანით ჩვენი მთავრობა.

— Oui, monsieur, oui!.. — პასუხობდნენ რაიკროფტი და შარდინი. საზეზე ღიმილი და კმაყოფილება ეხატებოდათ. ელაპარაკებოდნენ თანხმობის გამოშხატველი მოძრაობით. მათმა ასეთმა გამომეტყველებამ მინისტრებში სიხარული გამოიწვია. ისინი მიხვდნენ, რომ რაიკროფტი და შარდინი რაღაც საიმედოს ეუბნებოდნენ. ამიტომ კვლავ მოუთმენლად იკითხეს:

— რაო, რა სთქვეს, რაზე აცხადებენ თანხმობას?

— რაზე და მათი აღმატებულება და მათი კეთილშობილება ამბობენ, რომ მარგანეცსა და ხე-ტყეს წავიღებთო, იმ ხელშეკრულების საფუძველზეო, რომელსაც თქვენთან, როგორც სუვერენიტეტულ სახელმწიფოსაფან დავდებთო.

ამ მინისტრებმა ეს პასუხი სუფრის ბოლოში მსხდომთ შეკეთებულ შელამაზებული გადასცეს. ხუთი წუთის შემდეგ სასახლის დანარჩენ დარბა-

„ზებში სამი სიტყვა პირიდან პირზე გადადიოდა: „საქართველოს სუვერენიტეტი იცნესო“...

კმაყოფილებით საცხე ქართველმა დიპლომატმა ბროლით საცხე ჭიქას ჩაასჭიდა ხელი. ამ დროს რაიკროფტს მუსავატელი გამოელაპარაკა და როდესაც თამადა ბროლის სასმისით გიშერივით კრიალა წინანდალს აწოდებდა, მუსავატელი ნავთსა სთავაზობდა.

რაიკროფტმა თამადის მიერ მიწოდებული ღვინით საცხე ჭიქა მაგიდაზე უყურადღებოდ დასდო და მოლიმარე თავის ქნევით მუსავატელს თანხმობას უცხადებდა. რაიკროფტმა ერთი წამის ვანმავლობაში გონებაში გაივლო ფიქრი ინგლისისათვის ბაქოს ნავთის დიდ საჭიროებაზე.

ამდროს თამადამ წამოიწყა:

— ბატონებო, ვაღლეგრძელობთ შათი აღმატებულება სერ ვილიამ რაიკროფტი და მისი სამშობლო დიდი ბრიტანეთი, რომელიც მსხნელად ევლინება ჩვენისთანა პატარა სახელმწიფოებს და თავის კალთის ქვეშ იფარავს თავს.

თარჯიმანმა გადასთარგმნა თამადის სიტყვა:

„სუფრისა და ქეიფის პრეზიდენტი რაიკროფტს ადლეგრძელებსო, როგორც ღიდი ქვეყნის დიდ წარმომადგენელსო.. სუფრისა და ქეიფის პრეზიდენტი სიტყვას იძლევაო, რომ დიდ ბრიტანეთს ნამდვილ მეგობრობას გაუწევსო“.

„ვაშას“ შეძახილებით ახმაურდა დარბაზი. რაიკროფტის სადლეგრძელო ფეხზე წამოდგომით შესვეს. სასულე ორკესტრმა ინგლისის ეროვნული ჰიმნი დაუკრა. ყველანი სულგანაბული ისმენდნენ.

რაიკროფტი კმაყოფილი სვამდა ღვინოს. და ბაქოს ნავთზე ფიქრობდა. სასმისში ნავთის ზრვა ეხატებოდა და ილიმებოდა.

— მოსწონს, ბატონებო, მოსწონს ჩვენებური ღვინო, — ერთმანეთში ლაპარაკობდნენ სუფრის წევრები.

შეზარხოშებულმა თამადამ მეორე სადლეგრძელო ზედვე მიაცოლა. ადლეგრძელეს შარდინი და მისი სამშობლო. თარჯიმანი კვლავ სთარგმნიდა.

„სუფრისა და ქეიფის პრეზიდენტი ამბობსო, რომ სხვა რომ არ იყოს რაო, საფრანგეთსა და საქართველოს საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი მარსელიოზა გვაკავშირებსო. ჩვენი სულის ჩამდგმელი საფრანგეთის დიდი რევოლუცია და ეს ჰიმნი არისო“..

მერე მარსელიოზაც დაერთო ზედ და შარდინიის სადლეგრძელოც ფეხზე ადგომით შეისვა.

— Viva la France!.. — მქუხარედ ისმოდა დარბაზში.

შარდინიიმ სადლეგრძელო შესვა. მის წინ მდებარე შეჭმარცვლოვან ხიზილალას თვალგაშტერებით დასცქეროდა. ეს მარცვლები გაიზარდა და მარგანეცის ქვებად წარმოუდგა თვალწინ. ვერცხლის დანით კარგა ზანს გორაკად აგროვებდა საინის შუაგულ. მერე პურის ნატეხს დააცხო და მადიანად შეეჭა.

— გულწრფელობის გამოსახატად მიორთმევს ასე გემრიელად! — აღტაცებულნი გაიძახოდნენ სუფრის წევრები.

ქართველმა დიპლომატმა ისარგებლა სტუმრების მზიარული განწყობილებით და შარდინიის შეეკითხა — იცნობთ თუ არა ჩვენს მთავრობასო. და-

ნარჩენმა მინისტრებმა ყურები სცქვიტეს. მათ ესმოდათ შარდინიის დაპირებითი და დარიგებითი ტონი, მაგრამ შინაარსს ვერ მიმხვდარიყვნენ.

— რა სთქვა? გაგვაგებინე, რა სთქვა? — მოუთმენლად ეკითხებოდნენ.

— რა სთქვა და.. ეს ფაქტიაო, რომ თქვენ მთავრობა ხართო...

— ესე იგი, ეს რას ნიშნავს?...

— ესე იგი, ჩემის აზრით იმას ნიშნავს, რომ ჯერ-ჯერობით „დე-ფაქტოთა“ გცნობთო.

რამდენიმე წამში ყუმბარასავით გავარდა ახალი ამბავი: „საფრანგეთის წარმომადგენელმა პოლკოვნიკმა შარდინიმ „დე-ფაქტო“ გვიცნოო.

დაშნაკი ინგლისთან საქმეს აჭახრაკებდა, ამერიკელ ბურჟუა სომეხთაოქროს ჰპირდებოდა, ოლონდ მათი მთავრობაც ეცნოთ.

უხასიათოდ გრძნობდა თავს მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა სახელმწიფოს წარმომადგენელი — კოცევი. მან არ იცოდა რას დაჰპირებოდა ინგლისსა და საფრანგეთს, რომ მისი მთავრობაც ეცნოთ. მას მხოლოდ ქამარხანჯალი და ხორასნის ხმლები შეეძლო მიეცა, თუ ბედაური, მარდიცხენები, მაგრამ ისე მრავალი ჯორების პატრონ ქვეყანას, რისთვის ენდომებოდა, მთიულური ბედაურები?.. გარდა ამისა, რაიკროფტმა და შარდინიმ ოთხჯერ იკითხეს კავკასიაში სულ რამდენი სახელმწიფო არისო. ეს მეოთხე ყოველთვის ავიწყებოდათ, კითხულობდნენ მთიელთა რესპუბლიკა სად მდებარეობსო. ვერ მიმხვდარიყო კოცევი, ავიწყებოდათ, თუ განგებ ივიწყებდნენ?!

სუფრის წევრები კი ისე შექეფიანდნენ, რომ სადღეგრძელოები ერთი-მეორეს კვალდაკვალ მიჰყვებოდა.

ადღეგრძელეს მუსავატური მთავრობა. ფეხზე ადგომით და მღუმარედ მოისმინეს მათი ეროვნული ჰიმნი. არც დაშნაკები უწყეინებიათ. მათი მთავრობის დღეგრძელობაც ითქვა, მათი ეროვნული ჰიმნიც დაიკრა.

სუფრისა და ქეიფის პრეზიდენტის სადღეგრძელო ხომ მამაპაპური შეძახილებით შესვეს. ეროვნული ჰიმნი, როგორც ყოველი სადღეგრძელოს გვირგვინი და სახელმწიფოს დასურათხატება, ისე იკვროდა.

აი, ადღეგრძელეს მთიელთა სახელმწიფოც. თამადამ კოცევი და მისი ქვეყანა ისე დაახასიათა, როგორც უმცროსი, მაგრამ მათი ერთგული ძმა. რომ მისი ქვეყნის მთავრობაც მათთან ერთად ინგლისისა და საფრანგეთისკენ იშვერს ხელს.

სდგას კოცევი და მღელვარედ ისმენს თავის სახელმწიფოს სადღეგრძელოს, გონებაში მტანჯველი ფიქრი უტრიალებს. მის უხეირო მთავრობას ჯერაც არ შეუქმნია თავისი ეროვნული ჰიმნი. ხომ სჭამა სირცხვილი საქვეყნოდ... მთელი მსოფლიოს წინაშე... მის წინ სდგას ინგლისი, საფრანგეთი... რას იტყვიან ესენი?.. რა სახელმწიფოა ის სახელმწიფო, რომელსაც თავისი ეროვნული ჰიმნი არა აქვს. გაბრუებულია. გაბოროტებულს თამადის სიტყვებიც აღარ ესმის... მიწა რომ გასკდეს და შიგ ჩაიტანოს, ის ურჩევნია მას.

დაამთავრა თამადამ სიტყვა. გისმა „ვაშას“ შეძახილები, მაგრამ სასმელებს არ სცლიდნენ. ელოდნენ ჰიმნს.

თამადამ ორკესტრს გადახედა, თვალებით შეეკითხა, რაღას ელითო.

წამით ყველა მღუმარებამ მოიცვა. უცნაურად მძიმე და ხანგრძლივი იყო ეს წამი.

ის იყო ყველაფერი აშკარადებოდა, რომ ქართველმა დიპლომატმა ლოტბარს გადაუჩურჩულა:

— „შამილბ“ დაუკარ!..

ორკესტრმა მაშინვე წამოიწყო „შამილი“.

ლოცვის ნელი და საამო ბგერები მთელ დარბაზს გამაბრუებელ ბადედ გადაეფინა.

ძლივს ამოისუნთქა კოცევა. გულს დაწოლილი სიმძიმე მოეშვა. ისევ გამხიარულდა. თანამესუფრეთაც ესიაშოვნათ უხერხულ მდგომარეობიდან გაუმოსვლა.

მუსიკა კი დუდუნებდა; დაბალი და მგრძნობიარე ხმები იღვრებოდა დარბაზში და გულის სიმებზე გადადიოდა.

კვლავ საგონებელში ჩავარდა კოცევი. ისევ შეშფოთდა. ფიქრობდა: ვაი თუ ორკესტრმა „შამილის“ მეორე ნაწილიც დაუკრას, მეორე ნაწილი ხომ სრულებით არა ჰგავს ჰიმნს, ის ხომ მთლად გააფუჭებს შთაბეჭდილებას, ჰიმნის სახეობას დაარღვევსო. ვინ ამოიღებს ამდროს ხმას, რომ გააგებინოს ლოტბარს დაკვრა ლოცვის დამთავრებისას შესწყვიტოს, ან თვითონ მიხვდება თუ არა ამასო?

და დორიჟორი ვერ მიხვდა ამას. ორკესტრი ახალ ტაქტზე გადავიდა. ღვთაებრივი და მოწყენილი ბგერები ვიყურმა და თავბრუდამხვევმა ხმებმა შესცვალეს. საცეკვაო მუსიკამ დაიპყრო დარბაზი. უცხოელები განცვიფრებული იყვნენ. მათ უკვირდათ ასეთი წინააღმდეგობა.

ვიღაცამ ცეკვაც კი დააპირა, მაგრამ ჩოხის კალთაში სწვდნენ, შეაჩერეს. გათავდა. შესწყდა მუსიკა. სასმისები დასცალეს. კვლავ სუფრას შემოუსხდნენ.

კოცევი მკვდარივით დაეშვა სკამზე. ის ისე გრძნობდა თავს, თითქოს ხანჯლით გული დაუკოდესო.

ბანკეტი შუალამის გადასულს დასრულდა.

დიპლომატები თავიანთი სახელმწიფოების სახელით ერთმანეთს სიყვარულსა და მეგობრობას ეფიცებოდნენ.

ინგლისის დიპლომატი საქართველოს სუვერენიტეტს სცნობდა.

მეორე დღეს კი, რუსთაველის პროსპექტზე ოტელ „მაჟესტიკის (დღევანდელი სასტუმრო „თბილისის“)“ შენობის ყველა აივანზე ამ ცივილიზებული ქვეყნის მხედრებმა თავიანთი ხელით ამორეცხილი საცვლები გადმოჰფინეს. მათი სარეცხი დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე ხალხის თვალში მოჩანდა, როგორც ფავგასული უდიერება და შეურაცყოფა.

ეპოქის ავტორი

ღიაღი თემა

1.

ღამე თეთრად გამჭრალიყო,
გამტყდარიყო ფიჭვი ღამით,
პოეზია დამდგარიყო,
ანაფეთქი თითქოს ნაღმით,
არ ისმოდა შესაღარი
ეპოქისთვის მკვეთრი სიტყვა,
თითქოს იდგა ავი დარი,
მოდოდა თითქოს სეტყვა.
გაისმოდა: ჩამკვდარია
ხსენებაც კი ჩვენში ლექსის,
დღესდღეობით ჩამწყდარია
ბულბულის ხმა უნაზესი.
ბულბულს ფრთები შეუკვეცავეს
აღარ ძაღლუძს ფრენა ღალი,
რადგან ვარდი დამქენარია
და ვერ პოვა თავის ბალი.

2.

დრო გავიდა. შეტორტმანდს
პოეზიის საყუდარი,
სადაც მთვარე, ვით კედელზე
დაკიდული ძველად ფარი,
პოეტების თემა იყო. —
როგორც ია, როგორც ვარდი,
როგორც ქალის შავი თვალი,
როგორც წინაპართა ღანდი, —
თუ წარსულში შრომის უბანს
პოეტები არ ენახა,
სასახლის და „კოშკის მგოსნებს
ქობმახები დაეძრახათ,

დღეს იმ მგოსნებს მშრომელ ხალხთან
ერთად ყოფნა დაესახათ,
დღეს მათ ჰქონდათ სხვა რწმენა და
სხვა მიზანი სულ სხვა ზრახვა.
პოეზიამ ფრთა გაშალა
და ახალი იშვა ლექსი,
ბრძოლის ჰანგი ცეცხლად იქცა
გულში რწმენად ჩანათესი,
გაისმოდა: დრო მოითხოვს
ვექმნიდეთ ახალ პოეზიას,
მტრების ბანაკს როგორც ტყვიით
ვაყენებდეთ ლექსით ზიანს,
დრო მოითხოვს მკუხარე თქმას, —
და ეპოქა მზიურ სიტყვას,
ეპოქისთვის შესადარი
ლექსით სიტყვა უნდა ითქვას.

პოეტს ჰქონდა უხვად თემა,
აღზნებული გულიც ჰქონდა,
ფანტაზიის უსაზღვრო ცის
კამარაში ლაღად ჰქროდა,
ჰქმნიდა ახალ საგანძურებს,
სასახელოც ბევრი მოგვცა, —
მიტომ ერგო სიყვარული,
დრომ მიტომაც გადაეკონა.
თემებს შორის იყო, არის,
და იქნება დაუშრეტი
ის სახელი, ვისაც ვიცავთ
თვითთული სისხლის წვეთით,
ის სახელი ამ პოემის,
ღიად თემად რომ გამხდარა,
ის სახელი, ვინც ქვეყანა
მზით მოპოვინა, გაახარა.
და ეს თემა, პოეტისთვის
რომ ქცეულა აღმაფრენად,
შთაგონების შადრევანად,
გულის ნატვრად, სულის ლხენად, —
თან დაგვეყვება ყველგან ფიქრად, —
ასაეღერად გაგვიზრახავს,
და ღიადი პოემისა
შექმნა ერთად დაგვისახავს.
გვითქვამს: ყველგან მოვივლიდეთ,
საცა ბელადს უფიქროს,
საით ჩვენი აზრი, გრძნობა
ისწრაფვიან და მიქროან.

სად ცხოვრება სიამეთ ჩქევს,
სად სიცოცხლე უხარიათ.
წინ მზიური წითელ დროშით
მოვივლიდეთ დედა-მიწას,
სად შემოქმედს ახალ ქვეყნის
ხალხი სისხლის წვეთით იცავს.
მოვივლიდეთ ყველგან,—გკრეფდეთ
გაგონილს და ნათქვამს, ნანახს,—
რაოდენი თქმულებანი
შეუქმნია მასზე ბრძენ ხალხს? —

3.

ჩვენ დედა-მიწის კიდით-კიდე შემოვიარეთ,—
რა არ უგრძნია ჩვენს გულებს და უხილავს თვალებს,
ბედნიერ ქვეყნად ყველგან ივლიან საბჭოთა მხარეს,
სად ყველა ქვეყნის დაჩაგრულთა
დროშა ფრიალებს.
ყველგან უმღერენ დიად ბელადს ქება-დიდებას,
დაწაფებულან მის მოძღვრებას მილიონები,—
ეპოქის ავტორს და შემოქმედს თვლიან ოცნებად,
გულს იხარებენ მის წარსულზე მოგონებებით,—
ო, რამდენი რა შეუქმნია საქმე გმირული,
ბშირად სიკვდილის წინაშეც კი ქედს არ იხრიდა,—
ვით ამირანი კლდეზე იყო ისიც მიკრული,—
მაგრამ ბრძოლებით მან გადასცა ხალხს ცეცხლი კლდიდან.
კლდე დაანგრია, ბორკილები აქცია მტვერად,
და წინ გაუძღვა ჩირაღდანიტ მშრომელ სამყაროს,—
სადაც ცხოვრება ააყვავა მან ათასფერად,
ბედნიერების სად ჩუხჩუხებს საამო წყარო.

შალვა ამისულაშვილი

ლირიკული ლექსები

1. ჭიდილი სიტყვასთან

ხელს ვერ ჩაავლებ, მოიქნო, დასცე ბეჭებზე
ავარდეს ბუქი,
ვამარჯვების ძახილი გტყორცნონ;
მოიქანცები,
ლამის ზოგჯერ სუნთქვაც შეჩერდეს... —
და მაინც მუდამ რაინდობის წყურვილი სცოცხლობს!...
მოვბ. და ისევ კალმახივით წავა, გაქრება,
ძნელია ძებნა
საუკუნის უძირო ზღვაში...
ამოსწევ ბადეს,
მხოლოდ წყალი დაისარტყლება.
მოივლის დარდი დამშვიდებულ ტალღების ტაშირს...

ქარი ქარია, თუ კაცი ხარ, ამოსდებ ლავამს,
რას უზამ სიტყვას,
რომ არ წახდეს შენი ვაჟობა;
დაღიხარ სადმე,
თან ფიქრების ღრუბლები დაგაქვს,
ზიხარ ოთახში, სამელნიდან სისხლი მოჟონავს...

იგი ხან ზღვებს, ხან წყვიდადის ჩქერებში ბუდობს,
ხან ულრან ტყეში
შეიჭრება დაჭრილ ტახივით;
აედევნები,
მოგშრილებს ხეების ურდო,—
და ისმის ბნელში მარეკების გადაძახილი...

გავლენ დღეები, ძლივს იპოვნი უბრალო სიტყვას,
აიმართები,
შისი პოენით ცას დაეწევი:
მდუმარე სტრიქონს

ბულბულივით უგალობს რითმა,
პატარა გულში ნავარდობენ ლაღი მერცხლები!...

იპოვნე, მაგრამ, თუ კი ოდნავ აკლია ფერი,
საკუთარ სისხლით
დაამშვენებ თვითიველ ბგერას;
მოაცლი ჟანგსაც, —
და მოქნეულ ფოლადის ჟღერით
დაიფარება მოშვილდული შაირის მზერა!...

2. კახეთში

გენატრებოდა ტკბილი კახეთი,
ასრულდა კიდევ შენი სურვილი;
ვნახეთ წინანდლის ბაღვენახები
ცვრიან ფოთლებით გადაბურვილო...
ვნახეთ ალვანი, ვნახეთ ყვარელი,
ლხინი გავშალეთ ალავერდშიაც;
ჩვენ მოგვძაზოდნენ საფერავები, —
მათ დალაღებშიც გადაგვიჩრდილა!...
სად არ ვიყავით? .. ყოველი კუთხე
გვხვდებოდა ზერებით დამშვენებული;
ღია მარნებში ქვევრები სწუხდნენ,
რომ არ შეგვეძლო სმა ძველებური...
...ჩვენ რად გვინდოდა რქაწითლის ღვარბ,
როცა ისედაც გვემღერებოდა,
როცა გომბორი ნათილისმარი
ქიქალვინითაც ფეხზე დგებოდა!...
...ვხეტიალობდით სოფლიდან სოფლად, —
და ვიგონებდით სიტყვის რაინდებს:
რა იყო მათი ტანჯული ყოფნა,
კივ აკლამებში როგორ წავიდნენ...
...გახსოვს: ალაზნის განთიადები,
ხობბის ყივილი ივრის ქალებში,
შორს მყინვარები ნაბდიანები,
ვერხვიანებში ნისლის თარეში...
ველებზე თეთრი ფარების ლელვა,
ქაბურღილებში ნაუთის ღრიალი,
ან ბნელ ღამეში ნაგდები ელვა
ან ხეობები ნიავეღვრიანი?!...
...გახსოვს: კლდეებზე ნაბურჯალევი
და ვალანები გაბზარულები, —
სად მოსისხლენი გაბმულ ჯარებით
ბმალმუზარადებს აელარუნებდნენ?!...

გახსოვს იყალოო?... მიწას ნატორალს
ვით უცინოდა ბროლის ტატნობი?!..
შენ რუსთაველის ჩანგი გატკობდა,
მე დიდ ოსტატის კობზას ვნატრობდი!...
ახლა მარტო ვარ... ზეცის მხატვარი
კახეთს კაცური ლალადით ეტრფის, —
და ტრამალების ეშხით დამტკბარი
დგება სივრცეში ამაყი დნებრი!..

გალაქიონს

ჯერ კიდევ ბავშვმა გავშალე წიგნი,
გავშალე წიგნი, ჩავხედე მშვიდად.
ვნახე გრივალი, ლურჯი ყდის წიგნით
მთაწმინდის მთეარის ნაკვალევს შლიდა.
ვნახე ზარების ხმა საკვირველი.
როგორა სცემდა მიჯრილ კარებთან,
წამომდგარიყო ქარი პირველი
და პირველ დროშას მოაქანებდა.
და შავი ყორნის მქისე ხრიალი
აქრობდა თეთრი სინათლის ხაზებს.
ციოდა, თუმცა მზე სისხლიანი --
ორღესულოვით ეკიდა ცაზე.
ციოდა, ყველა გაფრენილ ისარს
ნაუცბათევი სიკვდილი ახლდა.
ახლა გახედე: მთაწმინდას, ისანს,
ან მადათოვი იცანი ახლა!

შენ ვეხსომება უნაზეს უბეს,
როგორ ავსებდა ცრემლების ჩქერი.
მდინარეს შავი მოჭქონდა კუბო
და შიგ სამშობლო ესვენა ჩვენი.
კუბო, რა კუბო, რა საშინელი,
რა შავი სალტით შემორკინული.
თუ სულში ჰყინავს, უფროა ძნელი,
როდესაც სულში დნება ყინული!
მაგრამ შენ მოხველ, ჩვენი მზეც ნახე,
ყველა მზეებზედ უფრო უზადო.
დაე, პოეტის საყვარელ სახელს
მხოლოდ გვირგვინმა უმუზარადოს!

ღამე ქუთაისში

როცა ქალაქში საღამო დგება
და ჰქუხს რიონი მთების ნადავლით,
წყლის ზედაპირზე აილანდება
უამგადასული ერთი ჭადარი.

ქარს ფრთებში უცებ ეძლევა ძალა,
ღრუბლებს გუნდგუნდად დაიმორჩილებს
და ჩამომხრჩვალ კაცების დარად
მთვარე ტოტებზე გაჰკიდებს ჩრდილებს.

ურყოლა დაუელის ჭადარს ფესვამდე,
ისევ იგონებს გაბოროტებით,
მის ქვეშ მახვილებს როცა ლესავენენ
და სახრჩობელად ჰქონდა ტოტები.

...შემდეგ ბესიკი აპყვება ლანდებს,
ღამეში სიტყვას ააყვავილებს;
ყელს მოიღერებს და რიჟრაჟამდე
ანა დედოფალს უმღერს შაირებს.

გაეღვიძებათ გმირთავმირებსაც,
ალარ უცდიათ ზმალი რა ხანი.
ირგელივ ისრების ფრთები ირევა
და ფარშუბების ისმის ჯახანი.

მხოლოდ ჭადარი თავისთვის ფიქრობს
და კვლავ რიონის ჩქამი გაისმის.
მალლა ვარსკვლავნი ბრწყინავენ... თითქოს
ზეცის სარკეში სჩანს ქუთაისი.

სამშობლოს დაძახილზე

სტეპების მხარე. ღამის ფრთებზე ჩვენი ჩრდილები,
ჩვენ და გრიგალო ავედევნეთ ერთუროს მხარდამხარ,
დედა სამშობლოს დაძახილზე წამოშლილები
სექტემბრის რიჟრახს გადავჰყევით დნეპრის გადაღმა.

ჩვენი სიმღერა ვაშკაცობის და შთაგონების,
გაიმეორეს უკრაინის დიდმა ველებმა,
ტყვიის სისწრაფით ჰქროდნენ ჩვენი ესკადრონები
მტრისგან ტყვედქმნილი არწივების მისაშველებლად.

ჩვენ მზის მხარიდან ცის და მიწის სუნთქვა დავძარიტ,
გავარდა მეხი, მტრის მხარეზე გაჩნდა ხანძარი.
ჩვენი ყიფინით გაიბზარა ზეცის ემალი.

შოდმეს სიცოცხლე მივუტანეთ, დუშმანს თავზარი.
საკუთარ მკერდით გადავწიეთ ქვეყნის საზღვარი
და კრემლის მზის ქვეშ აკამკამდა სარკე ნემანის!

მოსი ლექსი

1. მკრი ღა

იმ შიდამოში მე იმ იავარდს
 ვეშორებოდი, ვკვრეტდი გარედან,
 ხელიც მოტყუდება. თვითონ ნიავმაც
 მათი შეხებუ როგორ გაბედა.
 მე ასეც ვუმზერ იანვრის დილას,
 ყინვარებს ცივს და თეთრად მინათოვს;
 მე მხოლოდ მინდა შეირხნენ წყვილად,
 გზად შემომხვდნენ და გზა გამინათონ.
 მე ასე მინდა სიკვდილის დღემდე
 ხატი პატარა გულით ვატარო.
 სამშობლოსათვის თუ დამიბნელდეს,
 მიინაბონ და მიკელაპტარონ.
 მე მათთვის მინდა და ნურც ჩამქრალა
 ცრემლებით, მზით და ცინცხალ ჩქერებით —
 ჩემი ოცნების ზეცა ანკარა
 და ცისარტყელას ყველა ფერები.
 მე მინდა... უფრო პატარავდება
 გული დიდი და სუფთა ცასავით.
 კვლავ მელანდება პატარა დებად
 ცასშერჩენილი წყვილი ვარსკვლავი.

064 21

2. ავღარი

თქვენი თვალები, ზღვას რომ ბაძავენ,
 მე მზის ვიგრძენი გულში ისარი.
 დღეს ყველა ქარი ფრენას მძაღლებს
 და ეს ავღარიც ალბათ ზღვის არი.
 ავგულიც იყოს და ავშნიანი,
 ფოლადი რეკდეს გრივალის ხმაში.
 ზღვის დღევა — ლუჯი, კაბის შრიალი,
 ზღვის მსხვერვეა — თეთრი, ხელების ტაში.

2. „ჩვენი თაობა“ № 2.



ჩემი ხომალდი გადურჩა ავდარს
და საუნჯეთა მფლობელი არის.
მას ვარსკვლავები ტყვეებად ყავდა,
მან დაიტყვევა მრავალი ქალი.
ჩემი ხომალდის. — გზა სიყვარული
თეთრი და ირმის ნახტომი მზგავსი...
ჩვენ ვიციტო მარტო გულის ფარულის
და დაუხარჯავ ცრემლების ფასი.

3. თოვლის ქალი

ჩემი და თეთრი თოვლის ქალია
და უყვარს მარტო თოვლი და თოვა.
იგი ლაყვარდის ერთი თვალია
და გაზაფხულზე ენძელად მოვა.
ჩემი და თეთრი თოვლის ქალია.
მან იცის ჩემთვის სიმღერა ერთი,
და რომ მიმღეროს თურმე რცხვენია.
მან შეინახა ცრემლები ჩემთვის,
შეგრამ არაჯდროს არ უცრემლია.
ჩვენი ამბავი ულამაზესი,
ერთხელ ნიავემაც თურმე გალექსა.
დას ნიავევით სურდა ალერსი,
შეგრამ შედრკა და არ მიალერსა.
და განა მისთვის ვწუხდი ძალიან,
და განა მუდამ იქნება თოვა...
ჩემი და თეთრი თოვლის ქალია
და გაზაფხულზე ენძელად მოვა.

4. ჩიტები

თოვლი თოვს. თეთრი ქარია...
თეთრ სამოსელით ვირთვები:
ჩიტებო, რა გიხარიათ?
რისთვის მღერიხართ ჩიტები?!
დიდი ზამთარი იქნება?!
ნეტამაც ასე ინებოს...
თქვენ მაინც რა გეფიქრებთ,
რა გენანებათ, ჩიტებო.
გადივლის, დაიფარება
ფიქრებით, თოვლის ქულებით...
თქვენ მაინც ვინ გეყვარებთ
ამ პაწაწინა გულებით?
თოვლი თოვს. უფრო თოვდება...
თეთრ სამოსელით ვირთვები.
მეფიქვარ, აღარ მშორდება
მკერდვალედილი ჩიტები!

სოფლად თქველი

ჩონგური და განთიადი

ჩონგური ხშირად, ძლიერ ხშირად დღისით მსმენია,
და უფრო მეტად საღამო ჟამს, ან ღამის ბურწი,
ბევრჯერ მის სიმებს აფუნთივარ — ცრემლიც მდენია,
და გავხვეულვარ ამ უცნაურ ხმის სიყვარულში.
დამვიწყებია საყვარელი კონა ლექსების,
დამვიწყებია თვით ბულბული ხმაჯადოსანი,
მას ტყვედ ვყოლივარ... მხოლოდ იგი მეაღერსება.
ეს დაგრებილი აბრეშუმის ძაფის მგოსანი.
ამას ვამბობდი: საღამოჟამს, დღით თუ ღამითა,
ჩონგურთან ვმჯდარვარ და მსმენია ღულღული მისი,
შავრამ არ მახსოვს დღით ადრე და ისიც ცრდან
ერთი ჟღარუნიც მომესმინოს ჩონგურის სიმის.
აი გუშინწინ, როს ვარსკვლავნი თვალებს ნაბადენენ,
და ავას ცისკარმა მკერდი თეთრად შემოუბახა,
როცა მზის სხივებს მათა ბჭენი ბნელში აბამდენენ,
ხმა აღიმალლა ცის ტატნობში გულის შურახმა.
მე მოვდიოდი და ჩონგურმა ჩურჩულთ მითხრა:
— შავრში ვმდერი, სივრცეს ხატავს ვერცხლის ცისკარი,
„სი სოულ ბატა“, სად იჩქარი, მო გამახარე,
და თუ გიყვარვარ ერთი ლექსი მაინც მითხარი!..
შემრცხვა, შევჩერდი, თავდახრილი ჩონგურს ეუსმენდი,
ძნელია სატრფომ ვიკიჟინოს ნდომა გულისა.
ჩონგურის რჩევას მაგიდამდე კვალდაკვალ ვსდევდი,
კალამს მივანდე გამქვადენება სიყვარულისა.
და, როცა მზემან, ვით ჩონგურის ოქროს სიმები,
გადმოაყარა სხივნი მისნი სივრცეს ლაღადა,
მაშინ მეც მქონდა გაწყობილი, როგორც სირმები —
სტრიქონნი მწყრივად და ლექსი სთქვა მუნჯმა ქალადმა.
სანატრელია, რომ ცისკართან და ვარსკვლავებთან,
სივრცეში მღერის სიხარულის მტკიცე თავედები,
ყვავს ხმა ჩაუწყდა, აღარ ჩხავის ის გულსაკლავად
და დამეგობრდნენ ჩონგური და განთიადები.

კოლმეურნი ბობონას

შეგყვარებია მალლარის ლერწის
რხევა, წვალემა, მის ჩრდილქვეშ მზერა,
მე ვნახე ერთხელ, მას რომ არწევდი —
პატარა გოგო, ლამაზი, ქერა.
მღეროდი იქვე, როგორც ბულბული
გაზაფხულის ჟამს იწყებს გალობას,
მე კი შორიდან სულგანაბული
ვუსმენდი შენი ყელის წყალობას.
იმღერე დიდხანს, შემდეგ უეცრად
მიმოიხედე, შემხედე, შეგრცხვა,
ხმა დაამწყვდიე, გაჰქრი, გაკურცხლე,
პატარა ოქრომ, პატარა ვერცხლმა.
გარბოდი, ხუჭუჭს შლიდა ნიავი,
გაიშრიალე, როგორც ზღვაურმა,
რატომ წახველი? რისთვის იავე?
ნუთუ სიმორცხვემ ვძლია ქალურმა?
მინდოდა კიდევ ერთხელ გესროლა
სივრცეში შენი ხმა უცნაური,
სიმღერის ნაცვლად გამოაქროლე
იმ დასალეწი კარის ხმაური!

განთიადისას

თენდება. მკერდი დააჯახა ღამეს ცისკარმა,
პირქუში ღამე შებარბაცდა, ატება შფოთი.
ძლიერმა უძლურს მხოლოდ ერთი სილა აკმარა,
ამ დროს უეცრად მეზობლისას გაუარდა თოფი.
კვლავ განმეორდა, და მესამედ დასრულდა სროლა,
მე წამოვიქერ და ფანჯრიდან მოვრთე ძახილი:
რა ამბავია, ამ განთიადს ვინ შეგებრძოლათ,
ცისმარე დილით ვინ ამართა სამტროდ მახვილი?
პასუხად მესმა: ალტაცება ცაში გაიბნეს,
შორს, შორს გაიჭრეს, მთას ეკვეთოს, ახუვლდებაო,
ღიღი ბელადის სამოცი წლის შესრულების დღეს
აოფის ხმით გამცნეთ ვაჟიშვილის დაბადებაო.

ნანგრევთა შორის

იგი ნელის ნაბიჯით მისდევდა ხრიოკ ფერდობს, ბურუსი ჩნდებოდა მის გარშემო, ფერხულს აბამდა, მიდგ-მოდგებოდა, წყდებოდა, დაიკარგებოდა. ჰაერში დაკიდებულივით ჩნდა ბურუსში გახვეული თმოგვის ქაეციხეთ ნანგრევები. მათი ბუმბერაზობა აოცებდა. სუსხი, სიმკაცრის სუსხი ყრუანტელსა ჰგვრიდა. მქისე ნიავე ჩამოუქროლებდა ხოლმე, ხმელ ბალახებს ააწიალებდა და დაბლა უფსკრულში აქაფებულ მტკვარზე გადაიფშენებოდა; გალავანი, ლიბო და ნანგრევი აფერხებდა სიარულში. მაინც არ იშლიდა: გაცეცებულ თვალებით, რაღაცას დაეძებდა, მიდამოს ჩხრეკდა, დამტვრეულ გვირაბებში და ნასახლარებში ძვრებოდა, მტვერი და ხელიკების მიერ დაშლილი მიწა ეყრებოდა ტანზე, დამფრთხალი ლამურები დაფარფაშებდნენ და მტრედების გუნდს აშლიდა მალიმალ...

აი მიაღწია ქარაფის კალთას, კალთაზე ტაძრის ნაშალი დაუდგა წინ: ორი ობლადდარჩენილი კედელი, კედლები თლილი ქვისა, კედლებს შიგნით ფრესკა — მიბნედილი თვალი მარიამისა, თითქოს იგლოვსო ეამს; მოშორებით ქალის მაღალი მკერდი ლურჯ სამოსელში და წმინდანების ხელფეხი, — დამტვრეული, ნაფლეთი, დანადგარი; აქა-იქ დაწყვეტილი ორნამენტები — ოსტატმა ბუნებას თუ მოჰპარაო სილამაზე; ორნამენტების შუადაშუ გამვლელების მინაწერები: „არუთინა“... „ბედნი ნიკუა“... „ხასან ხასანოლი“...

დგას იგი ნანგრევთან, ფიქრი ბურუსივით დახვევია, გული ეკუმშება, უსიამოს გრძნობს — ნადგურდებაო მამაპაათნოსტატარი. ნაძალადევად სტოვებს ტაძრის ნანგრევს, მისდევს ბილიკს, ბურუსში გახვეულ კლდეზე რომ შეკლავნილა; ირგვლივ ნისლი, სიმკაცრე, სიმარტოვე, მხოლოდ ნიაგის მწყვრალი სისინი და შორეული თქრიალი მტკვარის ტალღებისა... წინ კლდეები და გვირაბები, პირდაღებული გვირაბები — შაფი, ბუსუნის სუნით, — საიღო მიემართებიან ნეტამც, აქაიქ რომ დამტყდარან, ჩანგრეულან... უნდა ჩავიდეს გვირაბებში, მაგრამ, სიმარტოვე და სიბნელე... ისევ ზევით: გული იქ არის ციხისა, მაგრამ თვალს რად ეშინია?... რა უცნაური სიმარტოვეა!... მტკვარი თქრიალებს, მაგრამ თვალთ არა სჩანს — ჭალა დანთქმულა უფსკრულში. ობლად შეტყორცნილა კლდეთ ქარაფები სივრცეში, თითქოს დარჯად შიუჩენიანო ბუნებას მიღმოსთვის და ახლა დამარტოვებულა, დათბლებულა, ნაოხრად გადაქცეულა. ირგვლივ სიჩუმე. არც ცხოველთა ხმაური, არც ადამიანის ხმა... ხანდისხან ნიავე თუ მოიტანს შორეულ ხმას: ბაიათს ვიღაცა მღერის, ხმა წკრიალა, სიტყვები თათრული...

მიდის ოგი ზევით და ღრუბლებში ჰგონია თავი; ბინდაწოლილი მიდამო
წიროთირება, წაქცეული კოშკები, ქვითკირები, დატეხილი გვირაბები, დაღვა-
რულ სასაფლაოდ დაუჩნდება. ფიქრები ათრობს, დაოსებული ტანდაშაშრულ
კოშკის კედელს მიეყრდნობა, თვალებს ხუჭავს და ოცნება, ოცნება და მოგო-
ნება, მაგრამ ერთი მთავარი: ამოკითხული თუ განაგონი?... განაგონი თუ ამო-
კითხული?...



...„ღამე ყოფილა ოდნავ მთვარიანი. თმოგვის ციხეს სანთებთა სინათლე
ვარსკვლავივით ესხა ირგვლივ, თავს გუშაგები დასტრიალებდნენ, ხამუშხა-
მუშ უყიოდნენ ერთიმეორეს, აბჯრის ყრიალი გაისმოდა მალიმალ, მშვილდ-
ისარი მოემარჯვებინათ; მეკარეთ ციხის სამივე კარი გაემარებინათ: დიდი,
პატარა და რკინისა; გვირაბებს მეგვირაბენი სდარაჯობდნენ. ციხეში იღუმე-
ლი ფაციფუცი რამ იყო ატეხილი, აქაიქ მღვდელმონოზნების ნელია გალობის
ხმები გაისმოდა, ხოლო ნიავი ხარბად იტაცებდა ამო სიმღერის წკრიალა-
ხმებს: ციხის კალთაზე ქართველი ქალები გადამსხდარიყვნენ; თმოგვის პატრო-
ნის მეუღლეს: ქალთამზეს შემოხვეოდნენ და მკერდის ღილადასხნილები
ტკბილი სიმღერით გაართობდნენ. ციხის მფლობელ ვარაზს იმ დღეს ვეფხვი
დაეკოდა, საჩეხის გორის ყელამდე მიჰყოლოდა უკან, ვეფხვს თავი დაეღწია:
ულრანებში გაუჩინარებულყო, ხოლო ვარაზი ნაწყენი დაბრუნებულყო ცი-
ხეში, ახლა მთავარ კოშკში მოისვენებდა დაღლილი: მხარგვერდად შემოწო-
ლილიყო ჭრელ ფლასზე და საზზე მომღერალს უგდებდა ყურს: ქერა ჭა-
ბუკი ნაზ თითებს ათამაშებდა საზის ჭრელ ყელზე, სიმებს საამოდ აუ-
ღერებდა, აღუღუნებდა და თავათ ჭაბუკი ტკბილი ხმით დამღეროდა ვარა-
ზის საქებს...

უცბად ზმეილი რამ გაისმა, შემდეგ ჭირილი გაჰყვა და მთელ ციხეს
ლითონის ეღარუნი შეუჯდა ჟრუანტლად.

ვარაზი ვეფხვივით წამოვარდა ზეზე და კარებს მიაწყდა, მაცნე შემოეგება
კარებთან: ყიზილბაშები მოადგაო ქალაქის კარს, აკანკალებული ხმით აუწყა-
მან და თავდახრილმა სამი ნაბიჯით დაიწია უკან.

ციხისმფლობელს ფერი ეცვალა. მართალია მოელოდა ყიზილბაშების ლა-
შქარს, მაგრამ ასე უცბად არა.

ვარაზს ხანი არ დაუყოვნებო: მისრეთ უფროსნი და კარის გვირაბის
გამგენი მოიხმო, ბრძანება გასცა: არავისთვის გაეღოთ დიდი და რკინის კარი,
მოქალაქენი შემოეხიზნებინათ პატარა კარებიდან და იქვე მდგომ შავ ჭაბუკს
დაავალა: წყალქვეშა გვირაბისთვის ჩაეგლო თვალი — იღუმლივ გაუარეთო
მტერს.

ამდროს ქალთამზე შემოვიდა კოშკში, ცბიერი სახე გაჰფითრებოდა, პა-
ტარა ტუჩები მოეკუმა, თეთრი თითები უთრთოდნენ ოდნავ, შავ ჭაბუკს
გვერდზე ჩაუარა, აღმაცერი მზერა ესროლა და ვარაზს ეს უთხრა: ხვალ გა-
მოჩნდებაო შენი ვაჟკაცობა.

ცივად ჩაიცინა ვარაზმა:

— ჩემი ნასროლი ისარი ყიზილბაშების სისხლით გათბება, ჩემ ხმას ყი-
ზილბაშების სისხლი დაათრობს, ციხეს ვაჟკაცების ჩაჩქანი დაეხურება, ხოლო

ვაუკაცებს წადილი ომისა... შენი ხილვა სიხარულად მეყოფა, ყიზილბაშების სახოცველად! — თქვა თმოგვის პატრონმა ამაყად და მეუღლეს თვალს თვალი გაუსწორა.

ქალთამზემ ყელი შეხარა, საყურბეკედი შეაჟრიალა და შაჰთამაზის სიმკაცრე გაახსენა ქმარს. მაცდურად შეჰლიმილა შავ ჭაბუქს და თვალი ვერ მოაწორა სვილისფერ ვაუკაცს. — იდგა იგი შვილდისრით ხელში, შუბლშეკრული, მგლის იერი გადაჰკრავდა სახეზე, არწივისა ჰგავდა გნოლებისთვის თავდასასხმელად გამზადებულს. ქალთამზისთვის ყურადღება არ მიუქცევია, მის დანახვაზე წარბი არ შეუხრია, მხოლოდ უცნაური ჟრუანტელი რამ შეუდგა ტანში, ოდნავ შეკრთა და ეს თქვა: დაყოვნება გვავენბსო, და მეისრესთან ერთად ჩაიარა კოშკის კიბე, გვირაბებისკენ რომ მიემართებოდა ფარული გზით.

ქალთამზე შეკრთა. მწყრალი მზერა გააყოლა შავ ჭაბუქს და გულში გმინი ჰქნა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ვარაზი ქარაფის თავზე გადამდგარ კოშკში შესულიყო და სახენებიდან უქვრეტდა პირდაღებულ უბსკრულს, დაბლა, ვიწრო ხეობაზე. მტკვრის შხუილი იტაცებდა ცხენთა ფეხის ხმას, ხვადების ჭიხვინს, — ყიზილბაშების ლაშქარი იდუმლად ცდილობდა თმოგვის ციხისთვის ალყის შემორტყმას. შაჰ-თამაზი მწყრალად უქვრეტდა სივრცეში შეტყორცნილ ქავციხეთ და სინისფერი შუბლი უცივდებოდა, გამწარებული შავ საფერხეს ურტყამდა დეზებს და ღმუიდა გულში. თმოგვის ციხიდან ნატყორცნი სუსხი ალქაჯივით ცეკვავდა ლაშქრის გარშემო, აფრთხობდა ჯარსა და პატრონს.

ვარაზს არილად უჩნდა ლაშქარი, დიდ მკურავივით მოიზღაზნებოდა იგი და ციხეს გარშემო ეხვეოდა აღმოსავლეთის მხრიდან, მაგრამ ნაკლებად აკრთობდა თმოგვის ქავციხეში გამაგრებულ ვაუკაცს.

ციხის სიღრმეში ადამიანთა ლანდები დაჰქროდნენ. აქაიქ სინათლე ჰკრთოდა, ლითონის ძვრიალი გაისმოდა, შუბლები ილესებოდა, ფარხმაღს სინჯავდნენ. მეისრენი ზროებს აგროვებდნენ, არწივის ფრთებოლო გაეშალათ — ისრებს სწებადნენ. ციხეს მოქალაქენი ეხიზნებოდნენ, წუნდიდან დიაცმაწვილნი მოდიოდა; დროდადრო იხსნებოდა თმოგვის კარები, მეკარენი ბრაზობდნენ, კარებზე ნაბამი ქოფაკები გულამოწყვეტით შეღმუოდნენ ცას, აზეზებას თუ ითხოვენო. ღამე უსიამოდ კაპასობდა, — თითქოს ჰვეყანა დაიეკლარ მთლად...

მთელი ღამის განმავლობაში ცხენების ჭიხვინი, ძაღლების ყეფა და ლაშქრის ყივილი არ შეწყვეტილა. ზრიალებდა მთელი მიდამო.

ქართველების სისხლით გახელებული შაჰ-თამაზი ადაგალას უშვრებოდა ლაშქარს, — სამჯერ მიიტანა იერიში რკინის კარებთან. უცნაურად ყიოდნენ, თითქოს მშვიერი სვაეები დაერიაო ერთიმეორეს.

თმოგვის ციხის მცველები კანტი-კუნტად ჩაუვლიდნენ კარხემომდგარ ლაშქარს, აქაიქ ამოუჩნდებოდნენ, ისრებს დააშლიდნენ და იმავე წუთში უჩინარდებოდნენ, დედამიწამ თუ გაულო პირი. ყიზილბაშებს მოჩვენებად დაუჩნდებოდნენ, შემკრთალნი ალაჰს გაიხსენებდნენ.

წახალისებული შავი ჭაბუკი ჩაჰკიოდა მალიმალ, ლაშქარს შაჰ-თამაზის სახელს უხსენებდა, შემდეგ გაუჩინარდებოდა: წელში ორადმოხრილი ჩაირბენდა გვირაბს, სამხრეთის მხარეს რომ ჩაუდიოდა სიმაგრეს ქარაფის მკერდზე, ჩაიყოლებდა მეისრეთ ჯგუფს; უხილავი გზით გადასჭრიდა მტკვარს და მტკვარის გაღმა მხარეს ჩამომდგარ ლაშქარს დაერეოდნენ ელვის სისწრაფით, ერთხანს ხმაღს იხმარებდნენ და შემდეგ ისრებს დააშლიდნენ შემკრთალთ.

იყო ყიჟინა და ზვადების კაპასი ჭიხვინი.

იმ ღამემ ელდ-ელდად ბრძოლაში გაიარა: სახემოღუშულ ქალთამზეს არ სძინებია; ვარაზს უწყურებოდა, სამღურავს ეუბნებოდა, ჭირვეულობდა, შავ ჭაბუკს გაიხსენებდა მალიმალ და შეაჟრუოლებდა რატომღაც.

დილის მადლი მოეფინა მიდამოს. დაოსებულმა ლაშქარმა შეისვენა წუთით.

თმოგველებს ხელისგულივით დაუჩნდათ გორგური: შაჰ-თამაზის ლაშქარი დანაწილებულიყო: ერთნი ვერთაყანას დაქუჩებულებდნენ, ხოლო მეორენი ციხის მახლობლად მტკვარის ნაპირზე ჩამოსულიყვნენ — და, რა ინათლა, აიშალნენ: დავგვდებო ციხიდან ნატყორცი ისარი. ზეზე დატოვეს წუხელის მუხისრეთ მიერ ნახარალები ვაჟკაცები; დაჭრილნი საცოდავად კენესოდნენ, მიცვალებულებს მიწა დაეგაზათ და მწარე ღიმილის კვალი შერჩენოდათ გაცივებულ სახეებზე, — წუთი-სოფელს თუ დასცინიანო.

უძილობით დაღლილმა ქალთამზემ დილით ადრე მოინდომა ეჭვრიტა ყიზილბაშების ლაშქრისთვის, მოსამსახურე ქალებთან ერთად კაპასად გაიარა ციხის ეზო, ქარაფის თავზე ნადგომ მალალ კოშკში შევიდა — კოშკი ზევიდან დაჰყურებდა მტკვარის ხეობას, აქედან აღევენებდნენ თვალს ჯარის მოძრაობას.

ქალთამზეს კოშკში მეთვალყურენი დაუხვდნენ. დიდი სარკმელიდან გაუტყვრიტა ლაშქარს, შეკრთა: მოხუცავებულ ყიზილბაშებისა შეეშინდა; დიდხანს მზერა ვერ აიტანა, იქ მყოფთ წუხანდელი ბრძოლის ამბები გამოჰკითხა და ესეც იკითხა: სად არისო შავი ჭაბუკი.

საბრძოლველად ჩვიდაო, თქვეს მეთვალყურეთ.

— სულ მალე მიაღწევს ლაშქარმდე, საიდუმლო გვირაბიდან დაეცემა თავს...

ამდროს ქალთამზემ ვარაზს მოჰკრა თვალი: მკლავმაგარი ვაჟკაცო კლდას თავზე გადამდგარიყო, — შურდულით სტყორცილდა ქვას მტრისკენ და ხამუშხამუშ ჩაჰკიოდა ყიზილბაშებს.

მტკვარის ნაპირზე მომდგარი ლაშქარი კაპასობდა, ირეოდა ერთიმეორეში და ქვახეთ აწყებოდა.

რამდენიმე ისარმა მიაღწია ვარაზამდე, დაღლილები უსულოდ დაცვივდნენ ძირს; წახალისებული ვარაზის მეისრენი იღებდნენ ისრებს და უკანვე შეიქცევდნენ ყიზილბაშებს.

უცბად მკაცრი ყიჟინა შემოესმათ ციხეში მყოფთ: შავი ჭაბუკი ჩაუვიდაო, წამოიძახა ვილაცამ.

ქალთამზეს გაფითრებული სახე წამოუწითლდა, ვარაზს აღარ დაერიდა: ჭაბუკის ქება თქვა და თვალებით დაძებნა მეომართა შორის.

ყიზილბაშების ლაშქარი ირეოდა, მტერი არ უჩნდათ, ხოლო ისარნი ესხმობდნენ თავს და სისხლით იღებებოდნენ ორბისფრთიანნი.

იღიმებოდა ქალთამზე, გულით ეწადა შავი ქაბუკის ხილვა, მაგრამ უხილავი ხდებოდა იგი, — ეს ახელებდა ქალთამზეს, ეს ზარავდა შაქ-თამაზის ლაშქარს.

ქალთამზე ვარაზს მიუახლოვდა, მაკლური თვალით შეხედა და ეს უთხრა: ძალიან მინდაო გიხილო ომში.

ვარაზს მზითდამწვარი სახე აელეწა ოდნავ, წუთით ჩაფიქრდა.

— შუადღის ჟამს გაიხარე, ქალთამზე... თუმცა მათი ლაშქარი რიცხვით დიდია და, როგორცა ჩანს, ხერთვისიდანაც არ აპირებენ მოხმარებას, მაგრამ მაინც ვეცდები შავები არ ჩაგაცმევირო...

ქალთამზემ ოდნავ ჩაიღიმა, ხმა არ ამოუღია; არც ვარაზს დასცალდა: ახალი შურდული მოუტანეს მსახურთ, გადადგა კლდეზე და ქვას სეტყვასავით აშლიდა თავზე მტერს.

ქალთამზეს ქმრისთვის ყურადღება არ მიუქცევია, გაბრაზებულ შურთხევით გაიარა ეზო-კარი, ოდნავადაც არ აქცევდა ყურადღებას მის გარშემო დაცვენით, დაღლილ ისრებს...

დღე ყიზილბაშის ზარალში დაშუადლდა, მხოლოდ ერთხელ გაიმართა ხელჩართული ბრძოლა: ქალაქის კარებთან, ხიდზეგამოსულ ლაშქარს ხმალ-შუბში გამოწვრთნილნი ჩაუღვინენ. შავი რაშები შეტოტავდნენ, ცას ქიხვისის ზარი შესდგეს, მკერდებით ეხეთქებოდნენ ერთი-მეორეს, ფარ-ხმალის ტყრცი-ალი და მომაკვდავთ კვიელი გამეფდა წუთით... ელვასავით გაიარა ლაშქრის დაფეთებამ. ისევ მიწყნარდა ყიჟინა, ისევ აღუღუნდა მტყვარი...

შავი ქაბუკი შუადღამის ჟამს დაბრუნდა ციხეში, ლითონისფერი ედვა სახეზე, დაღლილობა ეტყობოდა, მშვილდის გოზა გამიტყდაო, ჩიოდა და მეშვილდეთ ემდურებოდა.

ვარაზმა მიიხმო იგი სხვა მრჩეველებთან ერთად, ჩუმად რაღაცაზე თათბირობდნენ.

სამჯერ მიიპარა ქალთამზე კარებთან. დააყურა. ვერაფერი გაიგონა, მხოლოდ ჭკრიტინიდან შავ ქაბუკს მოჰკრა თვალი და გაეხარდა: მისი ხილვა ააშებდა ძლიერ, უცნაურად ჩაიფიქრებდა, უხერხულობას იგრძნობდა და თავის ფიქრებით შემკრთალი თავს სამდურავს ეტყოდა.

რას თათბირობენო, ცხარობდა ქალთამზე: ამბავის გაგება სურდა, თანაც ციხის სახენებისკენ მისწევდა გული. — იქნება შაქ-თამაზი დამიჩნდასო, ფიქრობდა, მისი სიდიდე ვერ გაეზომა. წადილი ფეხისხმამ გაუფრთხო, ვარაზი შავ ქაბუკთან ერთად გამოვიდა სათათბიროდან, თავლეს გამგე მოიხმეს: ცხენები შეჰკაზმეთო, იყო ბრძანება.

თათბირზე გადაეწყვიტათ: ზედა თმოგვის მხრიდან ჩაჰპაროდნენ ლაშქარს, ქალაქის კარებთან რომ მომდგარიყო, ერთი გაქროლივით წაეყარჯიშე-ბინათ, სანამ ჯარის მთავარი ნაწილი მოეშველებოდა ეერთაყანადან.

თავჩაჩქინანმა მხედრებმა მალულად განვლეს ციხე, ვიწრო ხეობას ჩაყენენ: უკანიდან შებოუარეს მტერს. შავი ქაბუკის მკლავი და ვარაზის სიმა-მაკე ამზნეუბდათ შათ; თანაც შურისძიების წადილს დაეთხოვ მებრძოლები: ქვეყანა დაიფარაო ყიზილბაშების ხელით დაღერილი ქართველთა სისხლით...

ერთი საათი იყო გასული, რაც მებრძოლთა გუნდმა ციხე დასტოვა, რომ სათვალთვალეებელ კოშკის ზემო სართულზე შემხდარ ქალთამზეს მძლავრი ხმაური შემოესმა, შემდეგ ნისლისფერ მტვერს მოჰკრა თვალი ქალაქის კარგების მახლობლად, შარაზე რომ დაიძაბა, თანაც ხმალ-შუბები აელღნენ, თითქოს ნისლში ელვამ გაიჭრაო.

ქალაქის კარებთან ნადგომი ყიზილბაშების ლაშქარი ჯერ შეიკრა, შემდეგ დაფრთხა, ფერდობზე გაიშალა, გარშემო შემოეხვივნენ მოწინააღმდეგეთა და ბრძოლის ყიჟინამ დაფარა მტკვრის თქრიალი.

გახელებული ცხენ-მხედრები ერთი-მეორეს ეხეთქებოდნენ, ხმალი-ხმალს ეგებებოდა, მუზარადების ყრუ ჟღირიანი ცხენთა ფეხის ხმას უერთდებოდა და ცას ზარად შედებულ ხვადების ჭიხვინს მისდევდა მაყრად. ვაჟკაცების ყივილი გაისმოდა მალიმალ და სისხლში შეღებილი ხმლები წივილით ჰკვეთდნენ სივრცეს, შუბები უზარმაზარ მცურავის ენასავით იძაბებოდნენ და სისხლის კვალი ძაფად დასდევდა უკან...

ქალთამზემ შავ რაშს მოჰკრა თვალი: შავი ჭაბუკის საფერზე იცნო და ჟრჟოლის გამო საყურ-ბეჭედი შეუზრიალდა თეთ გულ-მკერდზე და ეს თქვა: ცავე დაიფარეო შავოსანი...

შავცხენიანს ლურჯა ეჯიბრებოდა, თავათ მხედარს ქათვი ჰქონდა პირ-ზედმოსული, სახე და თვალეზი წამოსწითლებოდა, თითქოს სისხლი სდისო თვალეზიდან გახელებულს; ყივილი სცემდა თავზარს ყიზილბაშებს... ლურჯას მხედარი ვარაზი გახლდათ, რაშის ტოტებით და ხმლის ფხა თანაბრად ფეთ-დნენ მტრის რაზმებს, მნახველებს თავზარი ეცემოდათ, — მიწას ემხოზოდნენ საცოდავად...

ქალთამზეს მეუღლისთვის თვალი არ უღვენებია: შავი ჭაბუკის ხმლის ელვარება სჭრიდა თვალს...

*
* *

ცაზე ვარკსვლავნი გახშირებულყვენენ. მიდამო დაოსებულყვით თვლემდა. მტკვრის ტალღები ნანას ეუბნებოდნენ თმოგვს, თმოგვს უმზერდნენ გა-ღმა მხრიდან ღუშმანის თვალეზი და გულში სწყყელიდნენ „კლდის ეშმაკს“. ხანდისხან შემკრთალი ბუ გამოფრინდებოდა თმოგვის ქარაფებიდან, ყიზილ-ბაშების ლაშქარს გადაუვლიდა თავზე, შეაკრთობდა: თუ წყლისქვეშ დაი-არებიან უჩინარნი, ჰაერზედაც შესძლებენო ფრენას.

თმოგვის სიმაგრეში სიწყნარე სუფევდა, სანთბის სინათლენი კრთოდნენ აქა-იქ, კარ-გვირაბის დარაჯები დაიარებოდნენ იღუმლივ, — ღამეს იფარი-დნენ ფარად და მტრის რაზმებს უთვალთვალეზდნენ შორიდან. შეომრები ის-ვენებდნენ, — მეორე დღისთვის აწყობდნენ საომარ გეგმებს.

ქალთამზეს თავი გაემარტოვებინა, მხარგვერდზე შემოწოლილიყო ძვირ-ფას ქოვილებით შემკობილ ტახტზე, შავი, ხშირი ნაწნავები ჩამოეშალა გა-დაღლილ მკერდზე, — შავი ფიქრი რამ დასწოლოდა; ოქროს სალტე მოეხსნა, ნაზი თითებით აგორებდა შავ ბაღდაღზე; უცბად კარები გაიღო: შავი ჭაბუ-კი შემოვიდა კოშკში და მოშორებით დადგა თავდახრილი:

ქალთამზემ ოდნავ აიწია, ნაწნავები ვადაიყარა მხარზე, მაცდურად გაუ-ლიმა ჭაბუკს დაჯდომა სთხოვა.

შავ ჭაბუკს ხმა არ ამოუღია, — ღიმილი არ უგრძენია, ქალთამზისთვის არ შეუხედნია.

ქალთამზემ კვლავ სთხოვა დაჯექიო და ესეც უთხრა: არ ვარგებსო ვანსდგომა.

შავი ჭაბუკი ადგილიდან არ დაძრულა. ხმა არ ამოუღია. თავით წამოდგა ქალთამზე, ნელის ნაბიჯით მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო: შავ ჭაბუკის თვალების დაჭერა სურდა.

შავმა ჭაბუკმა ქალის სითბო იგრძნო, იღუმალმა ურუოლამ გაურა ტანში, ოღნავ ათრთოლდა.

ქალთამზე თანდათან უახლოვდებოდა. გახშირებული სუნთქვა ესმოდა შავ ჭაბუკს, წარბების ქვეშიდან, მალულად უჭვრეტდა მაღალ მკერდს, საამო სურნელებას რომ აფრქვევდა; გაუძნელდა თავისდაჭერა, ამაღაც დაიწია უკან. მეუცნაურებით დაიჩივლა, ჩემი პატრონი ვარაზი მახსოვსო მარად.

ქალთამზე უარის თქმას არ მოელოდა, შეკრთა. სათქმელი დაეკარგა მხოლოდ თვალებითლა იწევდა თავისკენ შავ ჭაბუკს.

„ჩემო ერთადერთო“... — კითხულობდა ვაჟი მის თვალებში. ჰაერი ეცოტავებოდა, თავს ველარ იკავებდა, წასვლა მოინდომა: სისუსტეს უჩივოდა: ნაისრალი სჭირდა მარცხენა ბეჭზე.

ქალთამზე უფრო ახლოს მიიწევდა, მკერდით მკედრს ეხებოდა; შავ ჭაბუკს მოთმინება ეკარგებოდა და სწორედ ამდროს ფეხისხმა გაისმა. ქალთამზე შეკრთა, ესლა უთხრა ჭაბუკს: მომეწონაო შენი ხმალოსნობა.

ამდროს მსახური მიუახლოვდა მათ, ქალთამზეს რაღაცა ანიშნა, ყურში რამ წასურჩულა, ვარაზი ახსენა...

ქალთამზეს სახე შეეშალა, დაფიქრებული დარჩა; შემკრთალი მსახური ფეხაკრებით გაემართა კარებისკენ, გავლისას შავ ჭაბუკს გადახედა, თვალებში წუთით გაუსწორდნენ ერთი-მეორეს, — სამდღრავი სთქვეს.

— ციურა!.. — ეს თქვა შავმა ჭაბუკმა საკუთარ გულში, იგივე გაიმეორეს თვალებში. მსახური არ შეჩერებულა, მწყურალად მიხურა კარები.

ამის შემდეგ ქალთამზემ და შავმა ჭაბუკმა კანტი-კუნტად ილაპარაკეს იმდღევანდელ ბრძოლების ამბებზე. ეს იყო და ეს. შავი ჭაბუკი გამოეთხოვა, თან წაიღო ქალთამზის ნაწყენი მზერა და იღუმალი ტკივილი გულისა.

თავით ქალთამზე მიწვა ტახტზე და ცრემლით დაენამენ ხშირი წამწამნიბედი არა მაქვსო, უჩიოდა თავს, ცას და დედამიწას სამდღრავს ეუბნებოდა. ერთხანს ფიქრობდა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაებირებინა შავი ჭაბუკი თავისკენ, შემდეგ ვარაზის უნდაური სახე დაუდგა თვალწინ და ზიზლით ბაგენი აუთრთოლდნენ: არასოდეს ჰყვარებია მას ვარაზი, თუმცა ვარაზი კარგი მებრძოლი, საკმაოდ დიდის სამფლობელოს პატრონი იყო, მაგრამ ქალთამზის გულს სითბო სჭირდებოდა, ჯალს ალერსი ენატრებოდა, — შავი ჭაბუკისგან მოითხოვდა იგი ამას, მასთან ახლოსყოფნა სურდა, აკი ამიტომაც შეაფარებინა შავ ჭაბუკს თავი თმოგველთა სამფობელოში, მამ სხვა ვინ მიიღებდა კახეთიდან გადმოვარდნილ ვაჟაკს, უგვარტომოს, ხმლისა და მკლავის ანაბარა დარჩენილს?.. ახლა კი... ისაც გაურბის ქალთამზეს... ქალის გული შურით ივსება, მთელი ტანი უთრთის, შურისძიება სწყურია... ოღნავ ატრია ქალთამზე და იღუმალი ზრახვები ჩაისახა გულში.

ქალთამზის კოშკიდან გასულმა შავმა ჭაბუკმა ერთხანს გვირაბის კარებს ჩაუარა: შაჰ-თამაზის ლაშქარს გაუჭვრიტა მტკვრის გაღმა მხარეს, — ლამის სიბნელეში ცეცხლები კრთოდნენ, ჩამიჩუმდი არ ისმოდა, — ისვენებდა ბრძოლით დაოსებული ლაშქარი; არ ყოფილა თარეში, სთქვეს დარაჯებმა და შავი ჭაბუკი ჩქარი ნაბიჯით გაემართა მსახურ ქალების სენაკისკენ. მალულად შეუჭვრიტა სარკმლიდან: ტანწერწეტა ციურა მარტოდ იჯდა სანთბის მახლობლად; მკრთალი სინათლე ეფინებოდა სახეზე, ცისფერი თვალები მიეზინდა ოდნავ, ნელიად იხრებოდნენ გრძელი წამწამები: ბრილიანტებივით დაგორებულ ნამს ისხლეტდნენ ტანიდან, — იღუმალ სევდას შეეპყრო ქალი და ტიროდა საკუთარ ბედზე დაფიქრებული.

შავმა ჭაბუკმა ერთხანს უმზირა მტირალ ციურას: ერთიორად ლამაზი სჩანდა იგი სევდიან სახით, ჭაბუკს მასთან საუბარი მოენატრა, ველარ მოითმინა: ქვის კენჭი ისროლა ქაზდარში.

ციურა ოდნავ შეკრთა, სწრაფად წამოხტა ფეხზე, — ნიშანი ინიშნა, ნაშალევიად მოიწმინდა ცრემლიანი თვალები და კარებში შემომდგარ შავ ჭაბუკს სამდურავი უთხრა: შემაშინეო, და ესეც დაუმატა: გადაგიბიროო ქალთამზემ.

შავი ჭაბუკი ხმას არ იღებდა, — უსიტყვოდ უახლოვდებოდა — უნდოდა დახრილიყო, ციურას ვარდისფერ ბაგეს დასწაფებოდა. ციურას ამო სიამე ეგრძნო, მაგრამ ქალი განზე გადგა: არ ვარო შენი ღირსი, დაიჩვილა.

შავ ჭაბუკს სახე გაუფითრდა.

— ცის მნათობს ვფიცავ, უშენოდ ცაზე მზე არ ამომიხდება!.. — უთხრა მან და ფიცი თქვა: არაფერი მიკადრებიოო ქალთამზისთვის...

თანაც ემუდარებოდა:

— შაჰატე, ციურ!.. ჩემი წადილით არ შევესულვარ ქალთამზის კოშკში...

ციურა სულგანაბული უჭკრეტდა ჭაბუკს, თრთოდა, ნაზი სახე უფითრდებოდა, შავი ჭაბუკის სიახლოვე აკრთობდა, თანაც უხაროდა მისი იქ ყოფნა.

— ფიცი ფიცია... მშვიდობა ჩამოვარდება და მაშინ... — ამბობდა შავი ჭაბუკი:

— მაშინ ქალთამზეს უნდა შენი გული...

— ჩემი გული მხოლოდ შენ გეკუთვნის, ციურ!..

უჰ, შავო ჭაბუკო...

— მსახურს ქალბატონი გერჩივნოს, ვაჟო...

— ნეტამც არ იტყოდე მაგას!..

— გული მაგას მეუბნება!..

— ევ გულიც მე მეკუთვნის!.. — ამაყად სთქვა შავმა ჭაბუკმა, ქალი თავისკენ მოიზიდა, ათრთოლებულმა ვნებიანად ჩახედა ცისფერ თვალებში, ხორბლისფერი წარბ-წამწამთ ტვერი რომ უმკობდა.

— სამულამოდ ჩემი უნდა გახლეს!.. — თქვა შავმა ჭაბუკმა.

ციურას ნალვლიანი ღიმილი შეუთამაშდა ბაგეზე და ეს უთხრა:

— შაჰ-თამაზი მოგვდგომია კარზე ურიცხვი ჯარით, რად გავიწყდება შოვალეობა, ესეც რომ არ იყოს, ქალთამზე... აბა რას იფიქრებს, როდესაც გეფიქრებს მე და შენს ამბებს... მას ხომ შეუძლია ვარაზი გაარისხოს შენზე: მოვიგონოს თუნდაც მოლაღატეობა...

— უსიკვდილოდ შენს თავს ვერაფერი დამაშორებს!.. — წამოიძახა შავმა ჭაბუკმა, აღარ დაერიდა, ქალი გულში ჩაიკრა და ამდროს სიცილის ხმა გაისმა სარკმლიდან. ღვარძლიანი სიცილის ხმა, ცივი, უსიამო: ვარძიდან გამოდევნილი მოლოზნის მწარე სიცილი შეიძნო ციურამ და შეერთა: კოჭლი მოლოზანი ქალთამზის მესაიდუმლე იყო მარად.

— ქალთამზე კარგს არას მოიწადინებს ჩვენთვის... — ჩიოდა ციურა.

შავი ჭაბუკი სიყვარულს გაეხელა, ქალისთვის ქერეტას ვერ ითმენდა, თანაც აიმედებდა:

— თავათ ვარაზი დამეთანხმება შენს შერთვაზე... წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიტაცებ, ქვეყანა დიდა... —

— შენი აქედან წასვლა ხომ ლალატი იქნება მეციხოვნეთათვის: მტერი ასაკლებად ემუქრება და ჩვენ კი... —

შავ ჭაბუკს ქალის სიტყვები გულს მისწვდა: ყიზილბაშების ჯარი გაახსენდა, ჩაფიქრდა წუთით და ეს უთხრა მამაცი ხმით:

— ჩემი ხმალი ყიზილბაშების სისხლით ხელდება, ხოლო გული შენი სიყვარულით... ერთი მაგარი შეტევა და ყიზილბაშები აიშლებიან, იძულებული გახდებიან დავეტოვონ. რადგანაც ჩვენი ციხის კარები არც თუ ისეთი ადვილი ასაღებია, ციხეს კი კვლავ ოთხი წლის მარაგი აქვს შემონახული, ხოლო ყიზილბაშებს ზამთარი მოასწრობს... დავამარცხებთ მტერს და მაშინ... ვინ გაბედავს ჩვენთვის წინგადადგომას... ქალთამზე კი, მე მგონი, არ იკადრებს სიავეს. თუმცა ამ ბოლო დროს უცნაური საქციელი მიიღო ჩემს მიმართ. — დაამთავრა შავმა ჭაბუკმა. ოქროს ბეჭედი წაიძრო თითიდან: ნიშანი მისცა ციურას და სამყოფოდან გავიდა. გასვლის უმალ შავ ლანდს შეეფეთა კარების წინ, შედგა, ხოლო უცნობი გაჩქარების ნაბიჯით გაემართა ეზოს ბოლოსკენ. თანაც შავ ჭაბუკს უთვალთვალებდა მალიმალ.

შავი ჭაბუკი ერთხანს ჩაფიქრებული იდგა, არ მოშორდა უცნობის იდუმალობა, ველარ მოითმინა: სწრაფად წამოეწია, წაუშხრიხლა და კოჭიდან გამოჰკრიშ სინათლეზე იარაღით შეჭურვილი ციხის კარსავეტის გამგე გლახუნა იცნო. ჩია ტანის, ვისერმოღრეცილი, შურჩიანი და მარად ბოროტი საქმისმოყვარული კაცი.

შავმა ჭაბუკმა წინ შემოუარა, პირდაპირ დაუდგა, მკაცრი მზერით ზვერავენენ ერთი-მეორეს.

— რას დაიარები?! — მკაცრად იკითხა შავმა ჭაბუკმა და დაშნა მოიმარჯვა.

— ვინ გეკითხება! — მკაცრად შეუბრუნა სიტყვა გლახუნამ და ერთი ნაბიჯით დაიწია უკან.

— გიჯობს შენს საქმეს მიხედო: მტერი კარზე გვიდგია და შენ კი... საჭორიკანაოდ დადებარ...

— ნურც შენ გავიწყდება შენი მოვალეობა!.. —

ორივე გაუბნდა. წუთით ფიქრმა წაიღო ორივეს გონება: ციურას მკრთალი სახე დადგა მათ შორის ნამდურჭვი ღიმილით და ორივე სათავეისოდ უჭერტდა ცისმნათობივით მშვენიერ ქალწულს...

შავ ჭაბუკს სიბრაზით თავბრუ დაესხა, აზრმა გაუარა — უფსკრულისთვის მიეცა გლახუნა, პირდაღებულნი რომ შემოდიოდა დამშეული მხეცივით

მაგრამ უნებურად შეიკავა თავი — ვარაზი არ აპატიებდა დარაჯის მოკვლას, ამიტომც აირჩია დათმობა:

— კარგი, დღეს შენთვის მიპატიებია უწესო საქციელი, მაგრამ გაფრთხილებ: შავი ქაბუკი ადვილად არავის დაუთმობს იმ არსებას, ვისთვისაც ხელმძქმნილია... ხომ მიხვდი... თანაც იცოდე: ენა დაიმოკლე დრომდინ...

გლახუნას სიტყვა გაუქრა, გონება დაბნეულმა ხმლის ვადა მოძებნა, მაგრამ ქაბუკმა ყურადღება არ მიაქცია, გასცდა და აჩქარებული ნაბიჯით შევიდა მახლობელ კოშკში: მოერიდა მარცხს...

გლახუნა კარგა ხანს იდგა ერთ ადგილზე, — უზომო სიმწარე იგრძნო მან: ციურას ნდობა ჩაესახა გულად, მარად მაზე ოცნებობდა, თანაც იმედი ჰქონდა — მოსამსახურე გოგო როგორ მეტყვისო უარს, ქალთამზესაც ნელ-ნელა ანდობდა გულის წადილს, ემუდარებოდა: ცოლად დამითმეო ციურა; პატრონის ცოლი აიძვედებდა და ახლა... მოჩვენებასავით შეეფეთა შავ ქაბუკს: „ნუთუ მასაც უყვარს“... მწყრალად ჩაიფიქრა მან და საწუთრო ირგველივ დაწოლილ ღამესავით დაუჩნდა, ბარბაცით მოსწყდა ადგილს, ჩაჰყვა გალავნის კედელს და ღამეს უერთებდა შავ ფიქრებს.

ზაფხული ბრძოლაში ჩამოილია, შემოდგომის ლეგა დღეები დადგა. გაოქროსფერდა მიდამო, ტყეს ფოთოლი შეუფერმკრთალდა, საღამოობით თრთვილი იდებოდა დედამიწაზე — ცივდა. ძნელი ხდებოდა ცის ქვეშ ღამის გატეხა. თმოგვის ციხე უფრო მიუკარებელი ხდებოდა, ჩუმად იგზავნებოდა მეომრები ვარძიდან, ხერთვისიდან. შაჰ-თამაზის ლაშქარი ცოტავდებოდა, ბრძოლაზე გული უტყდებოდათ, ციხის ალების იმედი ეკარგებოდათ, ხოლო შაჰ-თამაზს დღითი-დღე უძლიერდებოდა წადილი ციხის ალებისა, შური ახელებდა — ეძნელებოდა ლაშქრის უკან გაბრუნება და მარად იმ ცდაში იყო, ციხის კარების გასაღები ჩაეგდო ხელად და საიდუმლო გვირაბებისთვის მიეგნო, თუმცა წყლისქვეშა გვირაბს შიავნო, მაგრამ იმავე წუთში ის გვირაბი წყლითავსილი დაინახა: მეგვირაბეთ ჩაენგრიათ გვირაბის ბანი. ყველა კარები დაკეტილი იყო ციხის...

ერთ საღამოს მკვდრული სიჩუმე სუფევდა ყიზილბაშების ბანაკში, ჩაფიქრებული შაჰ-თამაზი მალ-მალ გაუქვრებდა თმოგვის ციხეს და შეზარაჟდა; წადილისა და შიშის ურუნტელი გაუვლიდა ტანში, საწყენარს იტყოდა მრავალგზის. შემდეგ თავი გაიმართოვა, — გასცდა კარავს, შემოწვა კლდის თავზე, მტკვრის დუღუნსა და ვარსკვლავების ციმციმს ადევნებდა თვალყურს, თანაც ჩვეული ფიქრები დაუბრუნდა კვლავ: როგორ უნდა დაეპყრო თმოგვის ციხე; მიუვალი „ციური ჯადო“, რომელშიც მრავალი ქაჯი იყო თავმოყრილი, უჩინარი გზით რომ ესხმებოდნენ თავს შაჰ-თამაზის ლაშქარს... ნისლივით დაწოლილ ფიქრს ხანდინან მტკვრის მძლავრი ღრიალი გაუფრთხობდა, — მტკვრის ტალღები თმოგვის ციხის ბასრ ქარაფის ლიბოს ეხეთქებოდნენ, ყალყზე დგებოდნენ, შხეფების თეთრ ფაფარს შლიდნენ და დაკოდილი ლომივით შეღმუოდნენ უკუნეთს, თითქოს ქვეყანას უწყრებიანო დროს უკულ-შართობით გაშმაგებული. კლდეს დაქიდებულ ტალღების ღრიალით ფიქრს გამფრთხალი შაჰ-თამაზი აიწევდა, წვრილ თვალებს მოსკუტავდა, უკუნეთს

მწყრაღად გაუმზერდა და ხმლის ვადას იკერდა მაგრაღ. უფსკრუღიდან ამოქროღიღი სუსხი მტკერის ცრემღებს ანამეღდა ირგვღიღ, ცივად ეთამამეღბოღა დაფიქრეღულ ყიზიღბამს და გახურეღულ შუბღს უციეღდა ოღნავ. შავი ლამის მანღიღიღი იყო დაფარული მიღამო, არა ჩანღა რა გარღა ერთისა: თმოვეის ციხეკოშკეღი ამყად აზიღულიყვენენ კამკამა ცისკენ, ფრანგული ხმაღიღიღით ჰკვეთღნენ უკუნეთს და, თითქოს მთავორებს დარაჯად დასდგომიანო, ზვიადად გაღმოსცქეროღნენ შავმანღიღიღან მიღამოს. კოშკეღიღან სინათღე გამოღიღაღ: და შუბის წვერიღიღთ ხვეღებოღა ყიზიღბამის გულს და გრძნობას სანთღის შუქი. შაკ თამამს იმ წუთას დავიწყეღული ჰქონღა სამშობლოც, დიღებაც, ლამაზეღბის საეცე ჰარამხანაც, საკუთარი თავიც, ერთადერთს ფიქრს შეეღყრო იგი: როგორ უნღა ენადირნა თმოვეის ციხის გულში... საბოლოოღ ერთი აზრი გამოარჩია: იღუმაღი ხერხიღთ შესულიყო ციხეში, რადგან ძალით არაფერი გაუღიღაღ „ციურა ეშმაკთან“.

— ოქრო და ხერხი!.. სხვა გზა არ არის!.. — ასე ეუბნებოღა იგი თავს და კოქღი, შეეთვალეღა, სახედადვრემიღი ახალგაზრღა ეღგა თვალწინ. ეს ახალგაზრღა ორი დღის წინ ესტუმრა შაკ-თამამის ბანაკს, საამო ხმიღთ მღე-როღა საზზე. ქავციხეღთ ამბავიღც კი უამბო ლაშქარს. როგორც ეტყობოღა, იგი კვეღგან დაიარებოღა, შეიღღღეღა თმოვეის ციხეშიც...

— ალაჰ!.. მაღღიღერი თვალღთ გაღმობეღე შენს მონას!.. — ამყად წამოღღა შაკ-თამამი ფეხზე, სახეზე კმყოფიღების იერმა გაღაჰკრა, შავი თვაღღეღი გაუბრწყინღა, ციხეს შეხეღა და იმეღიანად გაღაღსეღა ინიღთმეღღეღიღ უღღეღაშზე გამხმარი, წვრიღი თითეღი...

ღამემ მწარე ფიქრთა კიღიღღში გაიარა. დღიღთ მზემ მაღღიღანი სხივეღი მოჰტინა დეღამიწას. შემოღღგომის იერღაკრული მიღამო ერთხანს გაინაბა, შემღღეღ თეოღან წამომღღგარ მწყემსიღიღთ შეიშმუშნა, შუბღი გახსნა და ჩქრომ გაშალა იღუმაღი ფრთენი, — ახმაურღა სულიერი და უსუღო, ყრიამულით გაიჟღინთა არეღმარე.

ფიქრეღბიღთ დაღღიღლ შაკ-თამამს გათენეღბის ეამს ჩასღინებოღა, — კიეღღღმა გამოაფხიზღა. იგი, ფეთიანიღიღთ გამოიქრა და კარვის კარეღში გაღოსვღღის-თანავე თმოვეის ციხის ფხაზე გაღმომღღგარი კაცი მოხვეღა თვალეღში; სზოვანი ტანის ვაჟაკი გაღმომღღგარიყო კღღღეზე, ქვეეღდან მონაქროღი ნიავი სცემღღა ჩოხის კალთას და ჰაერში აფრიღღებღა, მზრიანი სჩანღა იგი ცის ტატნობზე. ჩაკიოღა ლაშქარს და შურღღულით სტყორცნღა ქვას. თითქოს მტრის ნასროღი ისარი ვაღაუტყღაღო გულში, — ეღღიანიღიღთ გამოიქრა შაკთამამი, მშეიღღღისარი მოიღმარჯვა, ისარს ზრო გაუსინჯა, მძღავრი მკღავეღბიღთ მოსწია მშეიღღღს, მშეიღღღის გოზათ კიხტიხი მოღღებინა და ფრთეთეთრი ისარი ტყვიასავიღთ გაიქრა ლაჟვარღში; კღღღეზე გაღმომღღგარმა ვარაზმა ნახტომი ვააკეთა, ისარი ფეხთან მოხვეღა კღღღეს და სამად დაიღღწა. დაიკივღა მეშურღღულიღმ, კვღავ სტყორცნა ქვა და კღღღეს მიეფარა. გამწარეღული შაკ-თამამი დღღხანს იღგა ერთ აღღიღღზე. მიწაზე დაღღებულ მშეიღღღს მისჩრეღებოღა თავღახრიღი და ცივი ჟრუანტელი უვღიღა ტანში.

— ოქრო!.. — ჩაიფიქრა მან და ხრიოკ ფერღობზე გაშღიღლ ლაშქარს გახეღა. კარავში შეუსვღღელად მოიბმო მრჩევეღი. დღღხანს ეთათბორებოღა. შემღღეღ საზზე მომღღერაღი კაბუკი მოიკითხეს, აცახცახებული შაკ-თამამის კარავში შეიყვანეს, — კარგა ხანს არ გამოსულა იგი გარეთ...

კარავის ირგვლივ მოსიარულე გუშაგები ვერ მიმხვდარიყვნენ კოჭლო მომღერლის კარავში შესვლის მიზეზს, საუბრის მოსმენა სურდათ, მაგრამ შაჰ-თამაზისა ეშინოდათ; მძულად იარებოდნენ და ნაღვლიანი ხმით მღეროდნენ სევდიან ბაიათებს; ოცნებით სამშობლოში გადადიოდნენ და გულით ნატრობდნენ შინ ყოფნას, შავთვალა ქალების ალერსსა და ტფილ ლოგინს. ენატრებოდათ ხენათესვა და მშვიდობიანი ცხოვრება, ორი წლის წინათ მიტოვებული სამშობლო. ცრემლიანი თვალების წინ უდგებოდათ ქართველების ხელით განგმირული, სისხლითშესვრილი ამხანაგები. შესძულებოდათ ომი — რაისად ვიბრძვითო, უჩიოდენ თავს, თანაც თმოგვის ციხესა და ციხისმცველთსწყევლიდნენ, დღითიდღე შეუცნობელ ალქაჯებად რომ ხდებოდნენ: ყოველი მხარე თვალყურის ქვეშ ჰქონდათ მოქცეული ყიზილბაშებს, გზებზე თავს ესხმოდნენ მგზავრებს, — ციხეში არავის უშვებდნენ, მაგრამ ორი დღის წინ თავზე რძე გადმოასხეს კოდებით, ძროხისა და ხარის გალოები გადმოყარეს კოდიდან და ლაშქარი გააოცეს... ნელიად ჩურჩულებდნენ: ეშმაკი მფარველებსო თმოგვის ციხეს.

შუა დღის ეამს ქარიშხალივით გადაუარა მკაცრმა ყიჟინმა ბანაკს და ახლადგამოშვებულ ფუტკრის მართვესავით აირია დაბანაკებული ლაშქარი: დილით, რიჟრავის ეამს შაჰ-თამაზის ლაშქრის ერთი ნაწილი მტკვარის ხეობას შეჰყვა სამხრეთისკენ, — ბაღ-ვენახებში ნავარდი ეწადათ, ჯერ „სეფე ბაღში“ შეიკრნენ, გააოხრეს; გასრისეს. გაანადგურეს, ხოლოდ შემდეგ „ქაჰის კარს“ გასვლა, — დახუნძული ვენახები ოქროსფერად ლივლივებდნენ შორიდან; მსხალს, ვაშლსა და ქლივს ხის ტოტები დაეზნიქა, მიწამდე მიჰქონდათ რტოები. დამშეული ლაშქარი პირზე ნერწყვილსული გაიმზირებოდა მტკვარს გაღმა. ვერარ მოითმინეს და ცხენები შეყარეს მტკვარში, — მტკვარს დაეკო დილის ეამს, ამიტომაც არ გაუძნელდათ გასვლა, მაგრამ, იხილეს რა ბერებმა წყალს გაზმაგასული ლაშქარი, საშინელი კივილი ასტეხეს, ზარებსა სცეს და მთელი მიდამო ფეხზე დადგა. არ გასულა ნახევარი საათი, რომ ქაჰის კარის ზენა მხრიდან ცხენოსანთა რაზმი ჩამოეგება ლაშქარს, — ხმლითა სცეს და ცხენკაცი მტკვარს მიაბარეს უკან. მოულოდნელობით თავზარდაცემული ლაშქარი აწრიალდა, — თავიანთებს მოუხმობდნენ მქუხარე ხმებით. და, ის იყო ბანაკი აიშალა; მათ თვალი მოჰკრეს ცადავარდნილ წყლის შხეფებს, ნისლივით დამდგარ კუნულს. ცხენ და ფეხის სიმრავლეს რომ აებუქებინა მიწიდან. ლაშქარი ლაშქარს მიუშველა, ცას კიჟინა შესდევს, ხმლები ააელვარეს და კვლავ შეესრუტა მესხეთის მიდამოს ვაჟკაცების სისხლი...

იყო შუღლი და ცხენების კაპასი კიხვინი

(დასასრული შემდეგ ნომერში).

შეხველა მგკვართან გორში

ლიახვს ჩავყვევი, შეფჩერდი მტკვართან
და მივესალმე უძველეს ქართველს,
მან ნისლის ჩოხის გაშალა კალთა
და მოაფინა ნაპირებს ფართეს.

წამოდგა ციხეც და სიხარულით
მზეს შეეგება და გათენებას..
შემომეხვივნენ ზვირთნი ხმაურით,
წამით ისურვეს აქ შესვენება.

შემომეხვივნენ და აღელვებით
მიქეს ცხოვრება და მზიანი დღე,
მკითხეს ამბავი მთების, ველების
და ნაცნობ ქოხის ამბავიც მკითხეს.

მერე, შორიდან მოსული მგზავრი,
ბევრს მოიგონებს წარსულზე მტკვარში...

ვარძიის კლდიდან მოუტაცია
შოთას შაირი უკვდავი მარად,
მტერს ვერ უძლებდა დიდი ვარძიაც,
გადასარჩენად ქოხს მიაბარა.

ღარიბების და ტანჯულთა ოხვრა
ოსმალეთიდან მოსდევდა ქარად...
ბოლოს ამ ალაგს პატარა ქოხმა
ქარი გაუღო და შეიფარა.

შეიფარა და ყველა ეს მშვიდად
დედამ აკვანთან ბავშვს უგალობა.
სთვლემდნენ ტაძრები. ქოხში ფრთას შლიდა
თავისუფლების შთამომავლობა.

და კარგად ახსოვს, ქარიშხლის დარად
მტკვარს ამ ქობიდან აფრენა მისი,
ქობებს მოევლო მშვიდობის ზარად,
ბნელ სასახლეებს დაეცა რისხვით...

ამირანივით მიეჭრა მტკვარსაც,
ცეცხლი წაართვა გულში ფარული,
ხალხებს გადასცა, ქობებს გადასცა
უქრობ სინათლედ და სიბარულად.

გაოცდა მტკვარი, მისი ზვირთების
შუქი მიაწყდა კარიდან კარად,
და როს შემოვა გორში დიდებით,
ამ დიად ქობსაც იკითხავს მარად.

პეგეგოვის უღკუნებთან

აქ ყოველ ხეს და ყოველ შადრევანს
რალაც მეფური აკრავს იერი.
აქ პაპიჩემის ძელების საძებნად
მოველ მე ერთი კავკასიელი.
არც დედოფალი, არც ხმა ბრძანების,
ყოველ ნაბიჯზე ჩანჩქერებია,
დგანან ძეგლები, ხან მოკრძალებით,
ხან ვაკვირებით მაცქერდებიან...
თავს ხრის მუნჯი ქვა, ფიქრით გართული,
სული ჩაუდგამს თითქო ხელოვანს,
ზოგვან ლხინია ამოქარგული,
ზოგვან უდღეო ნუკრის მკვლელობა.
ვერ მორევიათ სეგდა ქალარის,
თითქო სითეთრის დაშრენ ფერები,
ყველაფერია, მაგრამ არ არის
აქ პეტერგოვის ამშენებელი!
იგი მარხია ქვევით, მიწის პირს
დარჩა მისი ხმა, მისი აკვანი,
ბაბუა იყო, თუ სხვა—ეინ იცის;
ზომ იყვნენ ჩენი მამაპაპანი!
არ უფიქრია მეფეს, ოდესმე
თუ დაფარავდა მტვერი წარსულის,
არ აღუნიშნავს არსად ლოდებზე,
შათი გაჩენა და აღსასრული!
დავდივარ აქ და ლაქვარდი ცისა
ლურჯ გუმბათივით მხრებს მახურია;
ვით საქართველოს მხურვალე მიწა,
ისე ეს მიწაც მშობლიურია...
საღბინოდ გვიხმობს ბევრი ყვაეილი
ამ ზღვისპირივით გაშლილ არეზე
და ჩრდილოეთელ ირმის ბლავილიც
სამხრეთის მთების ირმებს დაეძებს.

ბინდდება, ბალში დაქრის ნაფი,
ბალტიის პირას ისევ ბურია,
ზღვა მრისხანე და ქარიშხლიანი,
ზღვა უსახო და უდაბურია!
ბინდდება, ნაპირს ასკდება ოხვრით
ტალღა ნაცემი და გაგუდული
და რჩება ბალში შეილდივით მოხრილ
შადრევანების უცხო ჟღურტული.
თითქო ტოლებმა დაემეს, გარისხეს
და ჰიერცეებში თვალდაკარგული
ქვითონებს, კვენესის ერთი არყის ხე —
პეტრე პირველის ხელით დარგული.

აკაკის ხსოვნას

შენც თერგის დედამ გაგზარდა,
თერგის ხმა მოგცა ზარადა.
ფიქრებად შავი ნისლები,
და გული საბუღარადა.
გრანიტის მკერდი ჩავიდვა,
კვნესა ვიმღერა ნანადა.
სევდა გაწოვა მღულარე,
გადმონადენი ღვარადა.
ვეფხის უბიდან შინჯავდი,
ლამეს ვარსკვლავის თვლიანს.
მკერდს ეხვევოდი ამბოჯით,
ვით თერგი კლდიან დარიალს.
რა ტკბილად გვეწვეთებოდა
ქობში ნათქვამი ზღაპარი,
თვალეზს ანთებდა ხმლის ელვა,
კალთას ცრემლებს ჩქაფვანი.
ლადრავენენ დაჭრილ ამირანს,
ბრჭყალები ყორნებისანი.
წყულულს შენც გიჩენდა. მგოსანო,
მისთვის დაკრული ისარი.
მეხად ანთებდა სტრიქონებს,
გულის კვნესა და ჩივილი.
ბწკარში ჩასქედო გრიგალად
ორბის, არწივის ყივილი.

პირველი სვრიქონები

სამომოგლოს გუზავს

რამდენი ფიქრი, მოგონება გაუქროლებს გულს...
უღაბური ტყე... საგუშაგო, საზღვარი მიწის...
იღვა გუშაგი, უცქეროდა ხეებს განაბულს,
აგონდებოდა სამშობლოსთან აღთქმული ფიცი.
იღვა ვაჟკაცი უშიშარი, იყო სიწყნარე.
რამდენი ფიქრი მოგონება გაუქროლებს გულს!
ჩუმი შრიალით შეარხვედა ხის ფოთოლს ქარი
სდუმდა მიდამო. მიცურავდა ღრუბლებში მთვარე.
„ჩემო ქვეყანავ!“.. სთქვა ჩურჩულით, ხმა მისცა გულმაც,
„იძინე მშვიდად, ბავშვო ჩვილო, ბავშვო მცინარე“!..
მიწამაც იგრძნო ხმა მებრძოლის, ათრთოლდა ისიც.
თვალს მიაპყრობდნენ ბალახები სულგანაბულად.
ო, რა დიდია სიყვარული მშობლიურ მიწის!..

სამომოგლოსთვის

სადაც გრივალი ქარიშხალს ებრძვის,
სადაც ვაჟკაცთა ხმალი ცეცხლს ანთებს,
სადაც სამშობლოს იცავენ მკერდით...
მთებიც აღდგება ზღუებიდან ზღვამდე.
აბჯარშესხმული მტერს რომ ეკვეთონ,
ავარდეს ცეცხლი რისხვადმქუბარი..
უხმობს სამშობლო გმირსა და მებრძოლს.

ხანჯალი

ქველ ნაციხარ კედლის ახლოს
დავაცქერდი ფარის ნატებს.
ფოლადს ცეცხლში გამოჩაწრობს
რა გაღუნავს, ან რა გასტუნს!..
ვერ დაეანგავს მიწა ხანჯალს,
მტრის კეფაზე ვადანატუნს!..

კ რ ი თ ი ა ა

ზალვა რაღიანი

ალიო მაშაშვილი

„აუცილებელ პირობათა შორის, რომელიც შეადგენს კემშარიტო პოეტის დამახასიათებელს, უეჭველად უნდა იყოს თანადროულობა, პოეტის უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე, უნდა იყოს თავისი დროის „ზეილი“, — სწერდა ბ ე ლ ი ნ ს კ ი. ეს მოსაზრება სრული სიმართლეა. პოეზია მკრთალდება მაშინ, როდესაც მასში არ მოისმის თანადროულობის მძაფრი ხმა. თუ შემოქმედს სურს არ გადაიქცეს მოსაწყენ ესთეტად, რომელიც უსიცოცხლოდ სკვრეტს აბსტრაქციებს, მან თავისი პოეტური სიტყვა უნდა მიმართოს თანამედროვეთა გულსა და გონებისკენ, დაიპყროს თავისი თაობის ფიქრები, იყოს მოწინავე ახალი აზრებისა და იდეების პროაგანდის საქმეში. მაგრამ ეპოქის მოწინავე იდეებით აღფრთოვანებულმა მწერალმა ეს იდეები უნდა გადმოგვეცეს არა უბრალოდ — დეკლარაციებში, არამედ უნდა გვიჩვენოს საზოგადოება, ადამიანები, მათი ქცევა, აზრები და გრძნობები, ერთი სიტყვით შრავალფეროვანი სურათი ცოცხალი, რეალური სინამდვილისა.

კემშარიტი პოეზიის აუცილებელ თვისებას ყოველთვის წარმოადგენდა — მისი თანადროულობა. ეს მაღალი თვისება მით უფრო უნდა ახასიათებდეს საბჭოთა პოეზიას, რაც მან უნდა გამოავლინოს არამარტო საერთო იდეურ მიმართულებაში, არამედ კონკრეტულ თვისებებში — თემებში, სახეებში, რეალურ სასიცოცხლო შინაარსსა და მასალაში.

ალიო მაშაშვილის პოეტური ნაწარმოებები ერთმანეთთან დაკავშირებულია ერთი საერთო აზრით, ერთი საერთო თემით. ესაა დაპირისპირება ზედნიერი აწმყოსი კოშმარულ წარსულთან, შეგნება ზღაპრიანთა გათავისუფლებისა საუკუნოებრივი მონაზნისგან. ალიო მაშაშვილი სისრულით ჯა გარკვეულობით გვიხატავს თანამედროვე ცხოვრებას, მასების ბრძოლას და აღმშენებლობითს მუშაობას. მისი ლექსები და პოემები ესაა შემოქმედება კემშარიტი პოეტისა, რომელიც ნათლად გრძნობს თანამედროვე სინამდვილეს, მის სიხარულს, ბრძოლას, სინათლეს და სიმშვენიერეს.

ალიო მაშაშვილის ადრინდელ შემოქმედებას ახასიათებდა რევოლუციური „რომანტიზმი“, უკეთ რომ ვთქვათ, კოსმიზმი. მაგრამ „რომანტიზმი“, კოსმიზმი მაშინ ახასიათებდა არამარტო მის ლექსებს, არამედ მთელს რევოლუციურ პოეზიას. მისი სათავეები უნდა ვეძიოთ არა პოეტის ინდივიდუალობაში, არამედ მაშინდელ საზოგადოებრივ ვითარებაში. სამოქალაქო ომის, სამხედრო კომუნისმის დროს ბრძოლის ყოველი აქტიური მონაწილე მტკიცედ იყო დარწმუნებული რევოლუციის პლანეტარულ გაქანებაში, ყველას ეჩვენე-

ბოლა, თითქოს არამართო ადამიანები ანგრევდნენ ძველ ცხოვრებას, მონაწილეობდნენ ახალი ცხოვრების მშენებლობაში, არამედ ბუნებაც, მზეც, მნათობებიც ეხმარებოდნენ ამ მოვლენებს, და ამიტომ, მაშინ პოეზია იყო განყენებული, ხასიათდებოდა კოსმიზმით და პლანეტარული გაქანებით, მაშინ პოეტები ცდილობდნენ გაცდები გადმოეცათ კოსმიური სახეებისა და შედარებების საშუალებით.

ალიო მაშაშვილი, როგორც რევოლუციური მასის შვილი, ამ უკანასკნელთან ერთად მიდიოდა ბრძოლაში — ახალი ქვეყნის მშენებლობისთვის. ასეთ პირობებში რევოლუციური „რომანტიზმი“, რევოლუციური კოსმიზმი აუცილებელი იყო. მაგრამ ჩვენ ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ რევოლუციური კოსმიზმი და ძველი, ბურჟუაზიული კოსმიზმი. ეს სამყაროს ორი სხვადასხვაგვარი ათვისებაა. რევოლუციური პოეტების კოსმიზმი არაა რომანტიული უნივერსალიზმი, არც მისტიური ლტოლვა განუსაზღვრელობისაკენ, არც გაურკვეველი რწმენა, „საიდუმლო“ ძალები“, რომელიც მიემართება ადამიანის ინდივიდუალური „სულიდან“ მისტიურ ქვეყანაში.

ალიო მაშაშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა სამოქალაქო ომის რომანტიკას და ლირიკულ პათეტიკურობას. პოეტი ყოველ ლექსში ლაპარაკობდა ბრძოლაზე, რევოლუციურ გაქანებაზე. ბრძოლის თემატიკა გახდა მისი პოეზიის მაგისტრალური ხაზი.

ალიო მაშაშვილის შემოქმედების ამ ხანის ლექსებში ფორმალურად სხვა პოეტების საგრძნობი გავლენაა შესამჩნევი. მასწავლებელთა ამორჩევაც წინასწარ განსაზღვრულია პოეტის პლანეტარული აღფრთოვანებით. ასეთი მასწავლებელია ემილ ვერ-ჰარნი და უოლტ უიტმანი. სწორედ ეს პოეტები ხასიათდებიან კოსმიზმით, პლანეტარიზმით. ა. მაშაშვილიც მათ ბაძავს არამართო განწყობილებებში, — მართალია რევოლუციურ ნიადაგზე გადმოტანილში, — არამედ უმთავრესად ფორმის მხრით.

ალიო მაშაშვილის პოეტურ ლექსიკას მაშინ ახასიათებდა ჰიპერბოლური სიტყვების ხმარება. მაგრამ ამ ხასიათისას იგი არა მართო სიტყვებს ხმარობდა, არამედ სახეებსაც და ეპიტეტებსაც. ამ ხასიათის ჰიპერბოლური თქმები ფართოდაა მოხმარებული ა. მაშაშვილის ლექსებში. რევოლუციას, პროლეტარიატს, მის ბრძოლას, მებრძოლი ადამიანის შინაგან ბუნებას იგი ასეთი საშუალებებით გადმოგვცემს. პოეტი დედამიწის საზღვრებიდან გამოდის და მიისწრაფის მთელი კოსმოსისკენ. სიტყვიერ მასალებსა და სახეებს მას აძლევს მთელი სამყარო, პლანეტები, შორეული სივრცეები და სხვ.

ალიო მაშაშვილის პოეზია ამდროს აგრეთვე, ხასიათდებოდა ორატორული აქცენტით. ლექსი ვითარდებოდა პერიოდებით, რომელსაც სათანადოდ ეფარდებოდა სტროფები, რაც პოეტურ ნაწარმოებს აძლევდა ორატორულ ხასიათს. ა. მაშაშვილის ამდროის ლექსები მკითხველს აკვირვებდა წმინდა ორატორული ხერხებით, მეტყველი სახეებითა და მდიდარი რითმებით. ეს თვისებები ა. მაშაშვილმა შეინარჩუნა შემდეგშიც.

ალიო მაშაშვილის მიერ შემდეგ წლებში, განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში დაწერილი ნაწარმოებები კონკრეტულია, რეალისტური, მათში არაფერია ნაძალადევი, ადამიანთა გრძნობები და აზრები, რომლის შესახებაც ლაპარაკობს პოეტი, გადმოცემულია გულწრფელად, შატერულად, სიმათლითა და ფსიქოლოგიურად დამაჯერებლად. თვით ლირიკულ თავისი ბუნე-

ბით უფრო სუბიექტურ ლექსებშიც კი თავის გამოხატულებას პოულობს უძ-
თაჯრესად თანამედროვე ადამიანის ემოციური მდგომარეობა. პოეტს კარგად
აქვს გამოჭერილი გრძნობებისა და აზრების მოძრაობა, განსაზღვრულ გან-
წყობილებათა და განცდათა განვითარების პროცესი. ლექსში „გაზაფხული“
ა. მაშაშვილი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ „გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში“;
მაგრამ ეს გაზაფხული შეეხება არამარტო ბუნებას, არამედ მთელს ხალხს,
მთელს ქვეყანას. გაზაფხული ბედნიერებისა და სიხარულისა ლაღად შევიდა
ადამიანთა ცხოვრებაში. პოეტი თავის ამ აზრს ლამაზი პოეტური თქმებითა
და სახეებით აყალიბებს:

„გაზაფხულია. მოდის მიწი,
სურნელს მოაფრქვევს ბაღში, ყანაში,
მოდის ქართული სიღარბისლით,
გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში.
ათქვირებულან ნორჩი ხეები, —
ვარდ-ყვავილების ფიფქით მოცულან,
აღღებულან მდინარეები,
ნაპირებიდან რძე გადმოსულა.
მწვანე მოუსხამს მთებს კოჟრიანებს, —
ამოქარგული სხივთა სიღრმებით.
დაბლა ბუბუნით ტყე მოშრიალებს,
თითქოს დაძრულა ჯვლეა ირმების.
აყვავებული ბაღში, ვარდებში
სითბო, სიცოცხლე დგას გაზაფხულად,
კის ფირუზოვან სილაყვარდში
ქვეყნის ღიმილი გამოსახულა.
პითდან ჩამოდის ბარად ნიაფი,
პოაქვს ღულუნით ხმა საღამურის,
მინდვრად შრომა ბარაქიანი
სამზიარულო და საამური.
მოქტის მერცხალი როგორც შურდული
მიწას ესობა თავქვე, თამაშით,
ბაღში ფოთლებზეა მორთეს ულურტულად
გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში“.

პოეტმა კარგად იცის, რომ ბედნიერების გაზაფხული ჩვენს ქვეყანაში
ხალხს გაუთენა დიდმა ბელადმა:

„დიდება იმ მზეს, რკაპლის გამთბარი,
სხივი სიცოცხლედ გვაქვს ჩასახული,
რომელმაც ქვეყნად სძლია ზამთარი
და გაუთენდა ხალხს გაზაფხული.“

მგზნებარე ლირიკული ვატაცება და პოლიტიკური სიღრმე ახასიათებს
ა. მაშაშვილის ლექსს „პიშნი სამშობლოს“. ამ ლექსში კონკრეტულ სახეებში
ახასიათებს საქართველოს ცხოვრების ისტორიული და თანამედროვე სურათე-
ბი. კონტრასტებში გადმოცემულია ძველი მწარე „ბედი ქართლისა“ და დი-
ლის მზესავით გაფურჩქნილი, თავისუფლების უქურთა სხივებში გახვეული
კლდევანდელი საქართველო. პოეტი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ დიად საბ-
ქოეთს შეადგენს, „ძმური ქვეყნების ერები“, რომელთა წინაშე ჩამქრალი კე-

რები — დღეს, რევოლუციის შემდეგ გაჩაღებულია თავისუფლებისა და ბედნიერების აზრებით:

„მათ შორის ხარ, ჩემო სამშობლოვ,
შენი მთებით და შენი სერებით,
შენი ბალებით და ვენახებით,
შენი სიუხვით და სიმღერებით.
ბედნიერი ხარ: „ქართლის ბედისთვის“
დღეს აღარ ჰგოდებ, აღარ მუნჯდები;
ჰქუხარ სიცოცხლით, შენში მდიდარი
განათებულან ხილთა სინათლით
შენი ხეები, შენი ბუჩქები,
ბედნიერი ხარ... დილის მზესავით
მაღლა იზრდები და იფურჩქები.“

ჩვენი ქვეყნის ბედნიერება და სილამაზე ა. მაშაშვილს აძლევს შესანიშნავს ფერებსა და საღებავს პოეტური ამღერებისათვის.

ალიო მაშაშვილის ლექსი — „სამშობლო ბელადისა“ ასახავს ჩვენი ქვეყნის უხვ, ბედნიერ და ლამაზ ცხოვრებას. ეს ნაწარმოები მოგვეთხრობს მთელი საბჭოთა საქართველოს შესახებ: თავთუხიანი ყანების ზღვაზე, ცხვრის ფარებზე, რომლებითაც გადათეთრებულია საქართველოს იალაღები, უხვ ნაყოფზე და ჭირანახულის ხეაგებზე, ძღვევამოსილი შრომის დიდებით სავსე ქალაქებზე, შავი ზღვის პირად გაქიმულ სუბტროპიკულ ორანჟერებზე, ლექსში საუცხოოდაა ასახული საქართველოს ბუნება:

„ველზე გაშლილა მდგლოს ხავერდი,
ამოქსრვილი ოქროს სირმებით,
ტანად მაღალი და რქანაყარი
ხეები დგანან, როგორც ირმები.
მიწა ერთია მხოლოდ ფერებით
დაშორებულან უბნებს უბნები,
ხშირად ფოთლების ლაქვარდებიდან
ბრწყინავს ატმები და ალუბლები;
ჩემი ქვეყანა ეგრე ლამაზი
შავი ზღვის პირად აღმართულია,

მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი
ცა ფიროსმანის დახატულია!“

შავრამ ეს ლექსი მარტო ბუნების სურათებით როდია შესანიშნავი, ლექსის პოლიტიკური აზრი უფრო ღრმავა და მრავალმნიშვნელოვანი. განსაზღვრული ემოციონალური განწყობილების შექმნა და ლირიკული ამღერება პოეტს სჭირდება მძაფრი პოლიტიკური აზრების ჩამოსაყალიბებლად. ა. მაშაშვილი საქართველოს ლამაზი ბუნების აღწერიდან ორგანიულად გადადის შიშართვით ტონზე:

„სტალინ, ეგ შენი სამშობლო არი,
სამაგალითო მხარედ ქებული,
გამოგყრილი მშობლის სიღინჯი,
სამაყე და სიბრძნე მთენჭით,
დაუშრტელი ცეცხლის დენა ზარ,
გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ,
ზღვის გენად დაბადებული...“

ალიო მაშაშვილი ხატავს ბელადის პორტრეტს, როგორც კაცობრიობის მხსნელს, როგორც კაცობრიობის გაზაფხულის მედროშესა და შემოქმედს:

„აზრებს თესავდი დედამიწაზე,
რომ გაზაფხული ამოგეყვანა,
კიდევ ასრულდა: შენი დროშებით
განათებული ჩემი ქვეყანა“.

„სამშობლო ბელადისა“—ში ნათელი და მკვეთრი სახეებით მოცემულია შესანიშნავი აზრები ჩვენი ცხოვრების შესახებ.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში ა. მაშაშვილი აქტიური მებრძოლია სოციალისტური ეპოსისთვის. პოეტური ეპოსი მხატვრული შემოქმედების ურთულესი ჟანრია, იგი ვადმოგვცემს ავტორის არა შინაგან განწყობილებასა და განცდებს, არამედ მოგვითხრობს ამბავს, წარმოგვისახავს სოციალურ გარემოს, გვიხატავს ტიპებს და სხვ. ყველგან პოეტური ეპოსი წარმოადგენდა თავისი დროის საზოგადოებრივი ვითარების გამოხატულებას. პოეტურ ეპოსს მსოფლიო პოეზიაში უდიდესი ტრადიციები აქვს. სხვადასხვა ხალხების პოეზია გვაძლევს შესანიშნავ ეპიურ ნაწარმოებებს.

საბჭოთა პოეზიის წინსვლა შეუძლებელია ეპიური ჟანრის განვითარების გარეშე. როდესაც ეპოსი ჩნდება პოეზიაში, სწორედ ეს არის უტყუარი ნიშანი მისი სრული მოღონიერებისა და აყვავებისა.

ალიო მაშაშვილმა „ენგურით“ გამოხატა საბჭოთა საქართველო, მისი თვალწარმტაცი ბუნება, მისი ადამიანები. ამ მხრივ „ენგური“ გულწრფელი პოეტური ნაწარმოებია ჩვენი სოციალისტური სინამდვილის შესახებ.

ალიო მაშაშვილი პოემაში ამბის თხრობას იწყებს ენგურის მიდამოების ბუნების მხატვრული სურათების გადმოცემით. პოეტის თქმით ენგურის შესანიშნავი ხეობა წინათ იყო ნადირის საფარი, აქ მხოლოდ დროგამოშვებით ჩამოდიოდნენ სვანი მწყემსები და მონადირენი. ამ ხეობაში ოდესღაც თავს აფარებდა უტუ შიქავა—ენგურის ხეობა წინათ დადიანებს საკუთრება იყო და იქ სხვას გავლის უფლებაც არ ჰქონდა.

რევოლუციის შემდეგ სრულიად შეიცვალა სურათი ენგურის მიდამოებში. ეს მიდამო გამოცხადდა ხალხის საკუთრებად. ენგურის ხეობაში გაიშალა ძლიერი შემოქმედებითი მუშაობა. ადამიანებმა უდაბურ ტყეში წამოაქციეს ხეები, რათა ისინი გაიშალოს შემდეგში სოციალისტური წიგნის ფურცლებად. ტყეში მომუშავე ბრიგადებს სურთ ქარხანას მიაწოდონ ხე-ტყის მასალა, რომ მან მოგვეცეს ქალაქი.

„ენგურის“ შემდეგ ეპიზოდებში ავტორი რეალისტის თვალით გვიხატავს სოციალური სინამდვილის დამახასიათებელ მოვლენებს! მხეცივით გაუშაძლარი ბესა ბუკია დადიანების ტყისმცველი იყო ოდესღაც, და უქრთამოდ ამ ტყეში ვლები ვერ მოსკრიდა ხეს. ბესა ბუკია სხვების დატყულებითა და ყველფით გამდიდრდა, შაგრამ მოხდა რევოლუცია და მას ხალხმა ყველაფერი ჩამოართვა. ბესა ბუკია საბჭოთა ხელისუფლების დაუძინებელი შტერია. პირდაპირ ბრძოლაში დამარცხებული ბესა შიდის ქარხნის მშენებელ, ენტუზიასტ, ხოლმევიკ ინჟინერთან—ბურღუ შელიასთან და ქარავმიანი სიტყვებით სთხოვს სამუშაოს.

ბურღუ შელია აძლევს ბესას სამუშაოს. ეს უკანასკნელი კი ყოველივეს იყენებს თავისი მავნებლორი საქმისთვის, ცდილობს შეიტანოს მუშებში დეზ-

ორგანიზაცია. ბესა და მისი მეგობარი, მასავით ცბიერი მაქაცარია მუშებში
ევრცელებენ ჭორებს, აღიზიანებენ მათ. ბესა თავის მავნებლურ მოქმედებაში
მარტო ამით არ კმაყოფილდება, მისი მიზანია მწყობრიდან გამოიყვანოს თავ-
დადებული მოწინავე მუშაკები. ასევე მოუწყო მან ბურღუ შელიას, რომელ-
საც დაეცა ხე და მოსტეხა ფეხი.

ბურღუ შელია ფეხის მოტეხის გამო დაავადმყოფდა და დროებით ჩამო-
შორდა სამუშაოს. ამ მდგომარეობამ იგი ჩააგდო დიდ წინააღმდეგობაში. მას
ჩვენება (სრულიად უსაფუძვლოდ, რასაკვირველია), თითქოს საკუთარმა ამ-
ხანაგებმა დაივიწყეს, სატრფოც გაურბის, და სხვ.

„დარჩა, დაღონდა თვალნადვლიანი
დაშვა ჯოხზე გულდაბჯენილი,
დაღონდა როგორც მგზავრი გვიანი;
მგზავრო ქარავანს ჩამორჩენილი“.

ბურღუ შელიას აგონდება თავისი წარსული ცხოვრების სურათები, ეს მო-
გონებები ყიდევ უფრო ამძაფრებს მის სულიერ მდგომარეობას, მის უიმედო
განწყობილებებს. დაბოლოს იგი მიდის თვითმკვლელობის აზრამდე, მაგრამ
ამდროს მასთან მოდის სასიხარულო ცნობით მისი მოხუცი მამა: ქარხანა ამუ-
შავებულია და ხალხის შრომაც სათანადოდაა დაფასებული, პარტია და ხელი-
სუფლება ბურღუს თავდადებული შრომისთვის, მშენებლობის ხელმძღვა-
ნელობისთვის აჯილდოებს ორდენით.

ბურღუ შელია შემდეგაც იჩენს გამირობას. ბესა ბუკიას მავნებლობის შე-
დეგად ენგურში გაჩხერილან ხეები, რომელიც გუბავენ მდინარეს და ამით
ქარხანას დაღუპვით ემუქრებიან. ბურღუ თავისი გამირობით ქარხანას გადაარ-
ჩენს დაღუპვისაგან. ამრიგად ბურღუს დროებითი უიმედობა და გულგატეხი-
ლობა ისევ ოპტიმიზმითა და გამირობით მთავრდება.

„ენგურში“ სინამდვილის კოლიზიები მთელი სიმძაფრითაა წარმოდგენი-
ლი. ბურღუ შელია ჭდა ბესა ბუკია ორი სხვადასხვა სოციალური ვითარების
სახეებია. ერთი — ბესა ბუკია — დაკავშირებულია წარსულთან, მომავლდავთან,
ხოლო მეორე — ბურღუ შელია — თანამედროვეობასთან, ჯანსაღთან.

ბესა ბუკია ექსპლოატატორის, ბურჟუაზიულ-მესაკუთრული ფსიქოლო-
გიით გამსჭვალული ადამიანის დასრულებული სახეა. მისი მხეცური სულის-
კვეთება ნაწარმოებში საკმაოდ მძაფრადაა წარმოდგენილი. ბესას პორტრეტის
დახატვისას ავტორი იშველიებს სატირულ-კარიკატურულ ფერებსაც.

პოემაში უფრო მკრთალად გამოიყურება ბურღუ შელია. ზოგ შემთხვევა-
ში მის ფიქრებსა და მოქმედებას აკლია ბუნებრივი, დამაჯერებელი არგუმენ-
ტირება (მაგალითად, თვითმკვლელობის განძრახვის მომენტი, ფეხდაზიანებუ-
ლის ადიდებულ ენგურში გადაეარდნა და სხვ.). სრულიად გაუგებარია, თუ
რატომ ზდება თავდადებული მუშაკი — ბურღუ შელია მარტოდ მიტოვებული
ფეხის დაშავების შემდეგ, როგორც ამას წარმოგვიდგენს ავტორი. ასეთი რამ
შეუძლებელია ჩვენს სინამდვილეში.

„ენგურში“ არის რომანტიულ-სასიყვარულო ხაზიც: ეს არის ბურღუ შე-
ლიასა და ლია ლენდიას საყვარული. მაგრამ რატომღაც კომკავშირელი ლია
ლენდია პოემაში უფრო მეტად წარმოდგენილია თავისი ბიოლოგიური სურ-
ვილებით, ვიდრე ნამდვილი ადამიანური, საზოგადოებრივი სახით.

„ენგურში“ ა. მაშაშვილს მოცემული აქვს ეპიური ენარის პოეზიის თითქმის ყველა ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი. პოეტს კარგად ეხერხება ეპიური თხრობა. ამბავი სადად, მკაფიოდ და გასაგებადაა განვითარებული. პოემაში რელიეფურადაა წარმოდგენილი არამარტო ცალკეულ ადამიანთა სახეები, არამედ ხალხისაც, მასისაც. მასობრივ სცენებში სჩანან ცოცხალი ადამიანები და მათი საუბარი, სიტყვა-პასუხი მეტად დამახასიათებელია.

„ენგურში“ დიდი ადგილი აქვს დათმობილი ბუნების აღწერას. ავტორი არასდროს არ უშვებს შემთხვევას, რომ არ წარმოგვიდგინოს საქართველოს თვალწარმტაცი პეიზაჟი. შემთხვევითი არ იყო, რომ ზოგიერთებმა კრიტიკაში აღნიშნეს, თითქოს პოემაში ბუნება პფარავს ადამიანებსა და მის საქმესო. მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს არაა მართალი. ბუნება „ენგურში“ ორგანიზულადაა შესული, იგი უფრო რელიეფურს ხდის ადამიანთა სახესა და მოქმედებას, მეტელვარებას აძლევს მთლიანად პოემას. შესანიშნავია ენგურის ხეობის უდაბურობის ასახვა:

„აქ არც სიღურჯე, არც სიმწვანე,
არც მზისპირი ჩანს, არც ცის ტატნობი,
თან ისე ბნელა და სიწყნარეა,
რომ მიწის ბრუნვაც არის საგრძნობი.
მუდამ ბნელი და ხუთასწლიური
პოსჩანს ფოთლების ცა დაღვრემლი,
ძირს ეცემიან ცვარნი ციურნი,
ციდან მოწყვეტილ ვარსკვლავებშით“.

შესანიშნავად აქვს პოეტს ამ სტრიქონებში გადმოცემული ბუნების სიღიადე, ტყის მღუმარება და პირველყოფილობა.

„ენგურში“ საგრძნობია ნ. ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის და ვაჟა-ფშაველას გავლენები. პოემაში გამოყენებულია აგრეთვე ხალხური პოეზიისთვის დამახასიათებელი აქსესუარები, გამოთქმები და ხერხები.

პოემის სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს ალფა-ალფა ვაშისვლელბული ნატურალიზმის ელემენტები და ზოგან მოვლენათა ნაწყვეტ-ნაწყვეტად; არალოლიკურად განვითარება.

შემოქმედებითი განვითარების გზა, რომელიც განვლო ა. მაშაშვილმა თავისი პირველი ლექსებიდან დღევანდლამდე, სამწუხაროდ ყოველთვის არ ყოფილა იდეურად გამართული. მან არაერთხელ გამოამჟღავნა იდეოლოგიური სახის ჩაფარდნა, „ძველი მაზარა“, „გადახრა მთვარისაკენ“, „ლოდინი“, „გემზე“ და ზოგიერთი სხვა ლექსი ამჟღავნებდა პოეტის იდეოლოგიურ მარცხს, მასზე უცხო იდეების დაწოლის გამოხატულებას. მაგრამ ა. მაშაშვილის სასახლოდ უნდა ითქვას: მან დასძლია ეს უცხო, ანტირევოლუციური იდეები.

აღიი მაშაშვილმა ზოგიერთ თავის ნაწარმოებში ვერ მოგვცა კლასიკური მეგვიდრობისადმი და თანამედროვე მწერლებისადმი სწორი დამოკიდებულების ფორმულა. ყველაზე უფრო მკვეთრად ეს მან გამოამჟღავნა „მედა ბარათაშვილში“. პოეტის მოფიქრებით ამ პოემის ამოსავალი წერტილი წარსული და თანამედროვე საქართველოს ქიდილია. პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება ინდუსტრია და პირველყოფილობა. მაგრამ ამ პრობლემის მბატრული რეალიზაციის დროს პოეტი ვარდება დიდ შეცდომაში. იგი დაუშვებელი დამოკიდებულებას იჩენს ჩვენი კლასიკური პოეზიის შესანიშნავი წარმომად-

გენლის ნიკოლოზ ბარათაშვილის მიმართ. თავისი დროის მწარე სინამდვილის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი ა. მაშაშვილს გამოჰყავს პრიმიტიულობისა და ჩამორჩენილი აზრების აპოლოგეტად. ა. მაშაშვილს წარმოადგენით ნ. ბარათაშვილს, მის ბრწყინვალე პოეზიას დღეს თითქოს აღარა აქვს მნიშვნელობა. ამ ვულგარიზატორული ხაზის ლოდიკურ გაგრძელებას წარმოადგენს ამავე პოემაში გალაშქრება ზოგიერთ თანამედროვე მოწინავე პოეტის წინააღმდეგ.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ა. მაშაშვილი ვერ იჩენს თემატიკის შერჩევაში დაკვირვებულობას. პირდაპირ უცნაური ლექსია „ნარდის თამაში“. ამ ლექსში პოეტს ნარდის თამაში კლასობრივი ბრძოლის ბანაკად აქვს წარმოადგენილი... ამიტომაც, რომ ამ ლექსს არავითარი ორიგინალობა და პოეტური დამაჯერებლობა არ გააჩნია.

მიუხედავად ზემოაღნიშნული სუსტი მხარეებისა, ალიო მაშაშვილი თავისებურ შემოქმედებითი ფიგურას წარმოადგენს თანამედროვე ქართულ პოეზიაში. მას აქვს მკაფიო პოეტური სმენა, მდიდარი სიტყვიერი მასალა, სახეებისა და შედარებების ორიგინალური გამოთქმის უნარი. ეს თვისებები მას აქვს უფლებას იდგეს თანამედროვე ქართული პოეზიის მოწინავეთა რიგებში.

იაკობ ბალახავილი

მანანა ორბელიანი

ორდენოსან პოეტს გიორგი ლეონიძეს

1808 — 1870

(წიგნიდან „ნ. ბარათაშვილის თანამედროვენი“)

მეტეხის ზელოვნების მუზეუმის ერთ ოთახთაგანს ამშვენებს გულპირამო-
ქრილ ქართულ კაბაში გამოწყობილ ლეჩაქდახურული ლამაზი ქალის პატა-
რა სურათი. ფერად საღებავთა ნაირობა ოდნავ შერყეულა ნესტანისა და თი-
ნათინის სადარ სახეზე.

ეს მანანა ორბელიანის პორტრეტია, რომლის ხილვამ პოეტ ქალს ეკატე-
რინე ერისთავს ათქმევინა:

სატრფოს პორტრეტსა,
გპერეტ ვითა მზესა
მკმუნვარეს გულს განმანათლებლად.
მხატვრობა ესე
მშვენივით საესე
მგზავსნი თუ ოდენ ყოფილარს ძველად,
ოდესცა ვნახე,
მის ტურფა სახე
მყის განკვირებით ვიქმენ მოცული
და ვიდ მშვენიერს
პლანეტსა ციერს
ესპერეტლი, შვიქენ აღტაცბული!
იზიდავს გულსა
მხებერპლად ვძღვნი სულსა
ნუ თუ მაგნიტნი გქონან თვალებში!
და მისთვის მარად
მყავ მონად მღარად
მაღალ გონებით მჯობმა ქალებში.
უმანკო ვულო
კეთილით სრული
აღატრფოს ყოველ შენდა საქებრად
გაქვს შესაფერი
მგ ნაზი ფერი
მოგნიკებია განსაშვენებლად.

ხარ სრული გრძობით,
განსჯით და ცნობით
სამაგალითოდ წარმოდგენილი,
ქცევა ქებულ¹
გაქვს დიდებული

გშენის ქალი მეფედ გყონ დადგენილი.¹

ქსნის ხეობის შეძლებულ თავადს მირმანოზ დავითის-ძე ერისთავს ორი ვაჟის: ესტატესა და კონას გარდა ჰყავდა ქალებიც: მარიამი და მანანა.

მომავალი „ქართველთა რეკამიე“ აღიზარდა თავისი მამის სახლში, სადაც მიიღო თავისი დროისთვის ბრწყინვალე არისტოკრატიული განათლება. ბავშვობიდანვე გაიტაცა მანანა მწერლობაში და ხელოვნებაში, რომლის სიყვარული შერჩა სიკვდილამდის.

ოციან წლებში მანანა ტფილისშია.

სხვა დეტალები ახალგაზრდა ქალის ამ პერიოდის ცხოვრებისა ჩვენთვის უცნობია. ოცდაათიან წლების დასაწყისში მანანა ცოლად გაყვა „ტაინი სოვეტნიკს“ დავით ორბელიანს, რომელიც უახლოეს ურთიერთობაში იყო იმდროის ლიტერატურულ წრეებთან.

შენახულია დავით ორბელიანის მიერ 1829 წლის სექტემბრის ორს გრიგოლ ორბელიანისადმი მიმართული ბარათი. წერილის შინაარსისა და იმის გამო, რომ დავით ორბელიანის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან მხოლოდ ეს ბარათია შენახული, მომყავს იგი უცვლელად:

„მის ბრწყინვალეობას გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანს, მოწყალეს ხელმწიფეს, წინანდალს ანუ საცა იმყოფებოდეს.

შენი წიგნი მომივიდა, რომელშიაც მწერ საყვედურსა, რომ პასუხი ვერ მოგწერეთ. აქ რა ამბავი იქნება და ან რა შექცევა, რომ მანდ მოგწერო, ხომ იცი ერთი ალავი არ არის, რომ ორს საათს დრო გაატაროს კაცმა. მხოლოდ ეგება ზოგჯერ გიორგი თუმანიშვილისას შევიყარნეთ ხოლმე, ცოტა ხანს ლოტო ანუ შაშკა ვითამაშოთ ხოლმე ამისთვის, რადგან მათა დაწვა და ვაჟი ეყოლა.

გრიგოლ, ისევ შენ მოიწირე შენი შექცევის ამბავი. ვიცი შენს გუნებათ კი შეექცევი, მაგრამ მეც რომ მანდ ვიყო, უკეთესი იქნება. ქალაქში ახალი ამბავი არა არის რა, მხოლოდ გრავს მოველით და, მგონია, ჯარები კი ამ ზამთარს იქ დარჩნენ.

გრიგოლ, აქედან ზოგიერთს ქვევითად წამოსვლა მოგეწერა, ვითომც შეთქმული ჰქონდეს, შე სულელო, რაც უნდა უღმობელნი იყვნენ, აბა ქვეითი ვინ ჯამოუშვებს და ესენი მოქვითნი წამოვიდნენ, ამათნი თანმხლებლებნი რითი უნდა წამოვიდნენ. არ ვიცი, ამ საქმეზე ასე რათ შემცდარხარ, გთხოვ ამისთანა სულელური წიგნი აღარ მომწერო, ელისაბედ მომიკითხე. გრიგოლ, სხვა რაღა მოგწერო, შენ თითონ იფიქრე, რაც ამბავი იქნება, მშვიდობით, გრიგოლი სტეფანიჩი მომიკითხე.“²

ამ ბარათის გაგზავნიდან დიდხანს არ გაუვლია, რომ დავითი გარდაიცვალა და მანანას აღსაზრდელად დაუტოვა სამი შვილი: ივანე, ტასო და ალექსანდრე.

¹ ეურ. „ცისკარი“, 1871 წ. № 1.

² საქარ. ცენტ. საარქივო სამმართველოს საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა კონდ. საქმე № 171.

მანანა ორბელიანი უახლოესი მეგობარი იყო ალექსანდრე ქავჭავაძის ოჯახისა; ისინი ნათესავებიც იყვნენ ერთმანეთისა. მანანას ხოტბაში სხვებს არ ჩამორჩა სიყვარულის უდიდესი მთქმელი ალექსანდრე ქავჭავაძე. ურობელ ანა და მანანა ორბელიანებს, ალექსანდრე ქავჭავაძისას სტუმრობის დროს, ჯერ კარიც არ ჰქონდათ ვარგად ვალებულთ; როცა ალექსანდრე ქავჭავაძემ უთხრა მათგანამა:

სვემ მწვიმა მანანა,
მოძვილინა მან ანა.
მას თან მოყვა მანანა,
მინანაჲ მან ნანა! 3

მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების მთელს მანძილზე გრიგოლ ორბელიანი ეტრფოდა ნინო ქავჭავაძეს, იგი საკმაოდ კარგა ხანს განიცდიდა სიყვარულს მანანა ორბელიანისადმი. ტფილისიდან შოშორებულ გრიგოლ ორბელიანს მისი ტფილისელი მეგობარი დავით ყორღანაშვილი სხვა ამბებთან ერთად არ ივიწყებდა მიეწერა მანანას ამბავიც.

1831 წლის 25 ივნისს დავით ყორღანაშვილი სწერდა გრიგოლ ორბელიანს:

„ნურავის ნუ ეტყვი, შენ მომიკვდებ, თუ ტყუილს გეტუბნებოდე. მანანა გავიცან, სულ შენზედ ლაპარაკობს. გუშინწინ ქართლში წავიდა ანუ წასვენდა. ახ! მისი ლოყების და შავის კაბის კირიმე, გაცნობა გოგორ იყო, იმას იღარ მოგწერ, ვაი თუ აქ ვისმეს მოსწერო და თავი მომჭრა, რა გინდა, მე იმისი თმა გამოგიგზავნო დღეისწორამდე“ 4.

იმავე წლის 5 ნოემბერს დავით ყორღანაშვილი ატყობინებდა გრიგოლ ორბელიანს: „შენი მანანა სოფელშია, აჯერ ჩამოვა და მივალ ნარდის სათამაშოდ“ 5.

1832 წლის 5 მაისს იგივე დავით ყორღანაშვილი გრიგოლ ორბელიანს სწერდა:

„გუშინ სადილთ უკან შეველ ნინოსთან, მანანა იქ იყო. ეგრეთვე სხვა ქალები. შენზე ლაპარაკი ჩამოვარდა. ყველანი გაქებდნენ, მანანამ თქვა, რომ წიგნს მიეწერო გრიგოლს, წუხელი განგებ მივედო, ილიკო შეეგზავნე. მაგრამ შინ არ იყო, გიორგი კნიაზთან წასულიყო. იქაც ვავგზავნე კაცი, პასუბი არ მომსვლია.“

მანანამ თქვა, ზაქათალაში ვწერდი წიგნებსაო გრიგოლს და ასეც კარგს ხუმრობის წიგნებსა მწერდაო. მეც ეუთბარი, რომ თქვენს წიგნებს შე ვშინჯავდი მეთქი, გრიგოლი რომ შეშაზე წავიდოდა მეთქი, მაშინ ეპარავდი და ვკითხულობდი, იმან მითხრა, რომ მე იმისთანა საიდუმლო არა მიმიწერია რაო, კიდევ სხვა ლაპარაკი იყო, იმას კი ვერ ვეტყვიო, მერე ვეტყვი“ 6.

1831 წლის გაზაფხულზე ქართლში თავის მამასთან გამგზავრებული მანანა გააცილეს ალექსანდრე ქავჭავაძემ, ელიზბარ და გიორგი ერისთავებმა,

3. ა. ქავჭავაძე. „ლეკები“, 1881 წ., ტ. 99.

4. საქართველოს ცენტრალ. საისტ. სამართ. საგანგებო მნიშვნელობის საქმეთა ფონდი. საქმე № 171.

5. საქ. ცენტ. საისტ. სამართ. საგანგ. მნიშ. საქმეთა ფონდი. საქმე № 171.

6. საქ. ცენტ. საისტ. სამართ. საგანგ. მნიშ. საქ. ფონდი. საქმე № 171.

4. „ჩვენი თაობა“ № 2.

ალექსანდრე და გიორგი ორბელიანებმა, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალებმა და სხვებმა.

ეს გაცილებს საკმაოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ფაქტად გადაიქცა. მანანას მახლშია ლუარსაბ ორბელიანმა პირველად აქ გაუმხილა ალექსანდრე ჭავჭავაძეს „ფარული საზოგადოების“ არსებობა.

„მანანას ქართლში გამგზავრება, — გადმოგვცემს დრამატურგი გიორგი ერისთავი, — შემდეგ ნაირად მოხდა: მანანა და გამცილებლები ჩემზე ადრე გაემგზავრნენ და მე შათ ცოტა მოგვიანებით წამოვეწიე ზასტავის მახლობლად. ზასტავასთან რომ მივედი, ელიზბარმა დიდი სიხარულით გვითხრა, რომ ლუარსაბმა დღეს ალექსანდრე ჭავჭავაძეს გამოუტყადაო.

გამცილებელი მამაკაცები ყველანი ცხენებზე ისხდნენ, ქალები კი კალიასკებში. გვააცილეთ ყველამ ერთად და ყველანი ერთად დაებრუნდით. მხოლოდ ქალაქში დაბრუნებისას ლუარსაბ ორბელიანის სახლიდან მე და ელიზბარ ერისთავმა ჭავჭავაძის ქალები შინამდის გვააცილეთ და შემდეგ დავცილდით ერთმანეთს“.⁷

ამავე ხანებში ტფილისიდან გაგზავნილ წერილში ზაქარია ორბელიანი თავის ძმას ზრიგოლს სწერდა: „მანანას აქ ვეღარ ვხედავთ, აქ გული აღარ უდგება. Ея фафорит тепер Димитрий Еристов“.⁸

„შეთქმულების“ არსებობისა და განზრახულ საქმეთა შესახებ მანანა ორბელიანმა თავდაპირველად დიმიტრი ერისთავისაგან გაიგო.

„1832 წლის ჭონია ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში, — ამბობს თავის ჩვენებაში დიმიტრი ერისთავი, — მე და ჩემმა ძმამ ელიზბარმა გავუმჟღავნეთ ჩვენი განზრახულება მანანა ორბელიანს.

ის, როგორც ახლო ნათესავი, ზშირად დაიარებოდა ჩემ დასთან, სადაც საერთოდ ვსაუბრობდით ზოლმე. ნოემბრის პირველ რიცხვებში მანანა ორბელიანი იყო ჩემ და მელანია მელნიკოვის ცოლთან, სადაც მე და ჩემმა ძმამ დაუფუწყეთ სხვადასხვა ამბების მოყოლა ისტორიიდან და პოლონეთის უკანასკნელი მოძრაობიდან, რომ დედაკაცები სასწაულებს ახდენენ, და ესენი სულაც არა ჰგვანან იმ ქალებს.

შემდეგ შევევითხეთ, აქაც რომ რაიმე მოხდეს, თქვენ რას იზამთო. მან გვიპასუხა: „როგორც სხვა ქალები, მეც ისე მოვიქცევიო“. ამის შემდეგ გამოვუტყაბდეთ მის ჩვენი განზრახულება. ის შეაკრთო ამ ჩვენმა წამოწყებამ: „რას ამბობთ, ქვედაზე შეიშალეთ, თუ დამცინით, როგორც გაუნათლებელ ქალს, განა ეს საქმე მოსახერხებელიაო. თქვენვე ლაპარაკობთ პოლონეთის აჯანყებაზე, მაგრამ რა ვააყეთეს იმათაო და შით უმეტეს ჩვენ ხომ თითქმის არარა ვართა რუსეთის ძლიერებასთანაო“.

თუმცა საწინააღმდეგოს ამბობდა, მაგრამ ისე იყო აღმოდებული ჩვენი სიტყვებით, რომ დაოჯგრა თითქოს, ჩვენ მართლა რისამე ვაკეთებთა შეგვძლებოდა; რამდენიმე დღის შემდეგ ლუარსაბ ორბელიანთან ვიყავით, სადაც მანანა ორბელიანმა შითხრა: „ლვთის გულისათვის განაგდე შენი თავიდან ეს სისულელე“.⁹

⁷ საქ. ცენტრ. საარქ. სამარ. 1832 წ. შეთქ. ლენინგრადისეული ფონდის მასალები. რეგული X.

⁸ საქ. ცენტრ. საარქ. სამარ. სავან. მნიშვ. საქ. ფონდი საქმე № 171.

⁹ გ. გოხალიშვილი, „1832 წ. შეთქმულება“, 1935 წ., გვ. 403, 404.

იგივე გაანდო მანანა ორბელიანს გუსარმა გიორგი ერისთავმა.

მანანა მის წინადადებასაც უარით შეხვდა...

მაგრამ განვლო სულ მცირე ხანმა და მანანა ორბელიანიც ქალთაგან ერთი უაქტიურესი წევრი შეიქნა „ფართული საზოგადოებისა“.

შეთქმულებაში ქალების მონაწილეობის შესახებ აღექსანდრე ორბელიანი თავის მემუარებში მოგვითხრობს შემდეგს:

„ხნიან დედაკაცთ და ყმაწვილ ქალთ ერთი აზრი ჰქონდათ ყველას ჩვენთან. ბევრმა პატიოსანმა გვარმა დედაკაცებმა დაიფიცეს: კაცურად ჩავიცვათ მამულის გამოსახსნელადო. ზოგიერთმა ყმაწვილმა დედაკაცებმა ბაირაღებს კერვაც დაუწყეს და აღრეულობის ნიშნად მოამზადეს“.¹⁰

მანანა ორბელიანს „შეთქმულები“ თავაკებიდან საკმაოდ დიდი დაგვალება ჰქონდა მიღებული. ამის გამო იასე ფალაევანდიშვილმა საგამომძიებლო კომისიას განუცხადა: „ელიზბარ ერისთავისაგან გავიგე, რომლისთვისაც ლუარსაბ ორბელიანს უთქვამს, რომ როდესაც თავადები შეიკრიბებთან თბილისში სათავად-აზნაურო არჩევნებზე, მაშინ თავადის ქალი მანანა ორბელიანი ზოგიერთ საპატიო ქართლელ თავადებს გაუმხელს შეთქმულების განზრახვას“.¹¹

ამასთანავე წვეულების ადგალად, სადაც უნდა მოეკლათ კორაუსის უფროსი და ყველა სამხედრო და სამოქალაქო უწყების მოხელენი, დანიშნული იყო მანანა ორბელიანის ბინა.

როცა ყველაფერი გაიხსნა და გამომჟღავნდა, მანანა ორბელიანმაც სხვა შეთქმულთა მზგაესად „ყოველივე აღიარა“ და ჩვენება ერთგვარი შებრალების იერით დაგვაზა. რიტორული სტილით დაწერილ თხოვნაში ეკითხულობთ:

„მე ვარ უბედური ყმაწვილი ქვრივი დედაკაცი და წვრილი ობლების პატრონი, რძალი ნამსახური და ურთგული სახლისა და კმაყოფილი ჩემის ცხოვრებისა და მთავრობისაგან.“

მაშ რა მიზეზი მექნებოდა, რომ ვამებედნა და შეესულიყავი მთავრობის წინააღმდეგი საქმის მოქმედებაში, მაგრამ თუმცა ზოგიერთი მთავრობის წინააღმდეგი ჰაზრნი ჩემის ნათესავეებისაგან შეტყობილი მქონდა და ვითარცა კანონის უცოდინარმა დედაკაცმა შიშითა, სირცხვილითა და ნათესავეების მიზეზითა ვერ გავებდე, რომ პირველადვე მოენე შექმნილიყავი.

ახლა, რადგანაც თითონ იმათაც აღუარებიათ, ამისთვის მეც ამას ვებედე ჩემის ერთგულებითა, წრფელი სინდისით და დაუფარავად მინდობითა თქვენის მაღალ აღმატებულებისა, ვითარცა მამა და მზრუნველი უბედურთა აღვიარებ რაც გამთვონია და მათ უთქვამთ ჩემთვისა.

ერთ ღამეს ვიხვებ მე მელნიკოვის სახლში. იქ მითხრა გიორგი ერისთავმა გუსარმა, რომ „ერთი საიდუმლო საქმე მაქვს შენთან სათქმელი“.

მე ვკითხე „რა საიდუმლო გქვს ჩემთან“. მაშინ მითხრა ჩუმად „მე ამ მიზეზით მოესულვარ, რომ ჩვენი მამული საქართველო რუსების ხელიდან დაეკიხნათ“ და მე გავოცდი და ვუთხარი „უ რა უვუნურ სიტყვას მეუბნები“. მითხრა „გაჩუმდი, ჩვენ საქმე კარგად დაგვიწყევია და როდესაც მოვინდომებთ, ჯარიც გვეყოლება“.

¹⁰ საქ. მუზ. პალ. განყ. S ფონდის ხელნაწერი № 1256ბ.

¹¹ საქ. ცენ. საარქ. სამარ. საგან. შინაშე: საქმეთა ფონდი. საქმე № 16.

ამ დროს შემოვიდა ელიზბარ ერისთავი და ისიც დაემოწმა იმის აზრზედ, მაგრამ ადრევე, მანამ შე მეტყუოდნენ, ხშირად ამბობდა ელიზბარ, რომ არ დააგდებენ თავადიშვილებს საქართველოსას, რომ არ გადაასახლონ რუსეთში“. და ესეც ვნახე, ორჯერ ლუარსაბს ეწურჩულებოდა და სჩანდა ლაპარაკზე, რომ იმის ლაპარაკის თანახმა არ იყო და მას უკან ზაქარია ჩოლოყაშვილი მოიყვანა გიორგი გუსარმა და გაგვაცნო. მაშინვე მეგობრულად ეწურჩულებოდა ზაქარია ლუარსაბს, არ ვიცი რას ლაპარაკობდნენ, არ ვიცი თანახმა შეიქნა თუ არა.

ერთხელაც ელიზბარ ლუარსაბს ჩუმად ელაპარაკებოდა, მას უკან მე ვკითხე: „რას გელაპარაკებოდა?“. „რა ვიცი რალასაც მთქარამს. შენ ხომ არ გითხრა, მეც უთხარ, მიტხრა მეთქი.

გიორგი ერისთავმა გუსარმა მიტხრა, ესეც რომ საქმეების პირველადგანვე დამწყობი და ჩვენი თავი არისო ოქროპირ ბატონიშვილი და იმისთვის შეირთო მდიდარი ცოლი, რომ იმისი ქონებით შემწეობა მოგვეცეს და ფრანციაშიც წავიდეს და იქიდანაც მოვიდეს საქართველოში. ბატონიშვილი დიმიტრიც არის ჩვენი ამ საქმეში ამხანაგი, ბიძინაც გაგვიგზავნია მუხრანს ბატონებთან სათქმელად და ზაქარია ჩოლოყაშვილიც გაგზავნილია დიმიტრის და მამუკასთან. ამ აზრის შესატყობინებლად. ბატონისშვილი თეკლეს შვილებიც ჩვენი თანახმანი არიანო და შემწეობასაც გვაძლევენო“.

გიორგი ერისთავმა გუსარმა ეს ამბავი მიტხრა მელნიკოვის სახლში შემოდგომის უკანასკნელ ხანში, რამდენიმე კვირის წინათ, რომ ისინი დაიპირეს“. ¹²

ამ „გულწრფელი აღსარებისა“ და საქმის გამო დანიშნულ საგამომძიებლო კომისიის ყოველგვარ ღონისძიებათა მიუხედავად მაინც გაურკვეველოდარჩა მანანა ორბელიანის შეთქმულებაში მონაწილეობის როლი.

ამიტომაც, რომ საბრალდებულო ოქმში არის მანანა ორბელიანის ბრალდებისა ჩაწერილია ასე:

ჩვენებათაგან და საკუთარ აღიარებიდან ირკვევა, რომ მანანა ორბელიანმა იცხდა საქართველოს თვითარსებობის აღდგენის შესახებ, მაგრამ მასში მონაწილეობის თანხმობა არ გამოუთქვამს და არც იწონებდა თანაგაზრახველთა საქმეს“. ¹³

როცა საქმის გამოძიება დასრულდა, მანანა ორბელიანს მიესაჯა ტფილისში ყოფნა მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ. საქართველოს ცენტრალურ საარქივო სამმართველოში დაცულ 1832 წლის შეთქმულების ლენინგრადისეული ფონდის მასალებიდან ვგებულობთ, რომ 1833 წლის აგვისტოს ოცდამოთხმისთვის მანანა 25 წლისაა, ქვრივი გარდაცვლილი „სოვეტნიკის“ დავით ორბელიანისა. წერილი შვილების პატრონი, განსვენებულ ქმრის მამული გაყოფილი არ არის მევიდრ ძმასთან მაიორ ლუარსაბ ორბელიანთან. ციხეში არ მჯდარა, პასუხისგებაში და გამოძიებაში არ იმყოფებოდა. რუსეთში არ ყოფილა, არც რუსული ენა იცის.

¹² საქ. ცენტ. საარქ. სამართ. 1832 წ. შეთქმულების ლენინგრადისეული ფონდის მასალები, ჩვეული IX.

¹³ საქ. ცენტ. საარქ. სამართ. საგან. შნიშ. საქმეთა ფონდი საქმე № 166.

შეთქმულების გამომჟღავნების შემდეგ ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენის იმედდაკარგული, უღროოდ დაქვრივებით ურვით აესილი მომზიბლავი მანანა ორბელიანი ატარებდა ვერცხლის მძიმე ბეჭედს წარწერით:

„უღროთ მზის დასავლით
მაზნელა სოფელმა ანაზღეულად“.¹⁴

ბეჭედის რომანტიული წარწერით და პატრონის ემზით მოზიბლული გრიგოლ ორბელიანი წელთა განმავლობაში თხოვდა მანანას გადაეცა მისთვის თითის ძვირფასი სამკაული, ქვრივი მარადის უაჩიო ხვდებოდა სალთო პოეტის წინადადებას.

ბეჭედი მაინც გასაჩუქრდა.

ამ ამბით აღშფოთებულ გრიგოლ ორბელიანს მანანა 1835 წლის ოქტომბრის ოცდარეას ასეთ სანუგეშო სტრიქონებს სწერდა:

„ჩემი ბეჭედი ივანეს მივეცი. ნუ დამემღურები, შენმა ვაზდამ შენ უფრო კარგ ბეჭედს გამოგოგზავნი, თუ მალე ჩამოხვალ აქ. ნეტავი შენი წახვა მელირსოს, თორემ ბეჭედისა ადვილია, საძაგელი ყაფლან ვიცე, როგორც მოგწერდა“.¹⁵

მანანა ორბელიანი ითვლებოდა ქარგულობის სახელგანთქმულ ოსტატად. არაერთი გულისპირი, სარტყელი, თავსაკრავი, შეიდიში, ლეჩაქი, ქოში, ქისა, წინდა და სხვა ამგვარე გამოსულა მისი ხელიდან.

როცა მანანას ნაცნობ-მეგობრებისაგან რისამეს მიღება უნდოდა, ან და ეისმესთვის რაიმე უნდა დაევალებინა, იგი „ქრთამში“ პირდებოდა „ამას და ამას მოგიქსოვით“.

„მე მოგიქსოვ, — სწერდა მანანა გადასახლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს, — ქისას კარგს, თუ შენს პორტრეტს გამომიგზავნი“.¹⁶

ახალგაზრდა ქალნი ამაცობდნენ, როცა მანანა მათ თავის ქარგულობის ნიმუშებს სთავაზობდა. ეს კარგად იცოდა მანანამ და ამიტომ არ იშურებდა არმანალებს ახალგაზრდა ქალებისთვის. საჩუქრის გაგზავნასთან ერთად მანანა ორბელიანი ჩვეულებრივ მოიბოდიშებდა ხოლმე: „რა ექნა თქვენი საკადროსები არ არიანო“. თუმცა დარწმუნებული იყო, რომ რეჩინებული შოსაქმე და უბადლო ოსტატია ამ დარგში.

სამეგრელოს დედოფალ ეკატერინესადმი გაგზავნილ ჩემთან დაცულ მართაში მანანა ორბელიანი სწერდა:

„უსაყვარლესო დაო ეკატერინე, იმ დღეს მოვახსენეთ თქვენის ქალისათვის ორსარტყელი და ერთი თავსაკრავი მომირთმევი, თუმცა არ არის მაგისი შესაბამი ლამაზები, მაგრამ გიყვარვართ და ჩემგან სიამოვნებით მიიღებთ და არ შემრისხავთ. ყმაწვილი ქალია და გაებედება მცირე რამ ჩემგან“.¹⁷

დამოკიდებულება გრიგოლ ორბელიანსა და მანანას შორის თავიდანვე მჭიდრო ურთიერთობის გზით წავიდა. ერთმანეთისადმი მიმართულ ბარა-

¹⁴ საქ. მეზ. პლ. განკ. I ნომდის ხელთნაწერი № 1633.
¹⁵ საქ. მეზ. პლ. განკ. II ნომდის ხელთნაწერი № 1556.
¹⁶ საქ. მეზ. პლ. განკ. Q ნომდის ხელთნაწერი № 1551x.
¹⁷ ესარგებლობ შეგზავნილი და ელრებს მადლობას მოვახსენებ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ლედი ბაბალიას ამ მატყობს გადმოცემისათვის.

თებში ისინი ჩვეულებრივ ოფიციალურ ტონს ღალატობენ და მათ წერილებს რამბლეს ხუმრობიდან ამოღებულ ოხუნჯობის იერი დაჰკრავს.

როცა ერთერთ ბარათში გრიგოლ ორბელიანმა მანანას ბებრობა დასწა-
შა, მშვენიერი ქვრივი თავის პასუხში სწერდა: „ბებრობაზე დამცინი? უკა-
ცრავად შენ უფრო ბებერი არ ბრძანდები ჩემზედ. ჩემ ბებრობაზე კვალად
ნულარ იხუმრებ, შენი თავი მანდ არა გყავს უწყალოდ დაბერებული და და-
ლაღული. მე შესავეით არ გახლავარ. აქ მობრძანდი და ვნახოთ ვინ უფრო
ბებერია“.¹⁸

რადაც განსაკუთრებული შოსიყვარულე იყო ეს ქალი თავისი ნაცნობ-
მეგობრებისა. საკმარისი იყო ვინმე ნაცნობთაგანს „ფრჩხილი წამოსტკენოდა“,
რომ მანანას წუხილსა და მღელვარებას საზღვარი აღარ ჰქონდა. აი ერთი ნი-
მუში ამ დაუდგრომელი კაცთმოყვარეობისა.

გრიგოლ ორბელიანისადმი ვაგზავნილ ბარათში მანანა სწერდა:

„ბატონო ჭნაზ გრიგოლ, მიკვირს თქვენგან, როის სიტყვის მოწერა რომ
გეზარებათ, ბარბარეს ავადმყოფობა მოგვწერეთ და შემდეგ დღეში ერთი კა-
ცი მოდის და არავისთან არც მოგეწერა და არც სიტყვით შემოგვიტავალეთ,
რა უნდა იყოს მიზეზი?“

ახლა შინც მოგვწერეთ, როგორ არის? აი ჩვენი კაცი გაახელით, შენი
ქირიმე, დაწვრილებით მოგვწერე მაგისი ავადმყოფობა, რას ამბობს ბაბაღე?
არ უნდა აქ ჩამოსვლა, ან როგორ გუნებაზე არის? დიდად მინდა მაგისი ნა-
ხვა, მოვიდოდი კიდევ, მაგრამ ბევრს ავადმყოფს ეჯავრება მნახავი. სხვა რა
მოგწეროთ ჟმორჩილესად გთხოვთ ბაბაღეს მშვიდობის ამბავს“.¹⁹

მანანა ორბელიანს სახელგანთქმული სალონი ჰქონდა, სადაც იკრიბებო-
და, რაც რამ იყო ტფილისში წარჩინებული მწერლობაში ხელოვნებაში და
მმართველობაში.

ვინ არ მოდიოდა აქ?

მიღუთის ხალხი ცვლიდა ერთმანეთს. უცხოეთის სხვადასხვა მხარეთაგან
მოსულნი „სანუკუარს სულისას“ მასთან ეძიებდნენ. ეგზოტიკის რამდენი
მოტრფილად ვაოცებაში მოსულა მასთან სტუმრობისას. თემირხანშურაში მყოფი
გრიგოლ ორბელიანი სიზანულთ სწერდა მანანას: „თქვენი გაბრწყინვე-
ბული სალონი საუსუა ანგლიჩნებით, ფრანკუზებით, პინდოელებით; ქეშმარი-
ტად მშურს მათი ბედნიერება და ვამბობ, ნეტადი მათ რიცხვში მეც ვიყო.
მაგრამ ცარიელის ნატვრით რა გამოვა და თუ ვინდ ესეც აღმისრულდეს, ვინ
იტის, ვიქნები თქვენგან, მათ მზგავსად ყურადღებით მიღებული? რასაკვირე-
ლია, ბლარ მქნება თქვენთან ის ადგბლი, რომელიც ახლა შეუწყრიათ უცხო
ქვეყნელთა“.²⁰

მანანასთან მუდამ ზღვა იდგა მზიარულებისა და მოსულნი ჟამიდანქაჟა-
მდე თავდავიწყების შორევეში სცურავდნენ. სიამაყით სწერდა სალონის პატ-
რონი გადასახლებაში მყოფ გრიგოლ ორბელიანს: „მე არა მაქვს თავი, რომ
მოგწერო აქაური დროს გატარებაები, თორემ ბევრს იცინებდი. ახ! გრიგოლ“.

¹⁸ საქ. მუხ. პალ. განყ. Q ფონდის ხელთნაწერი № 155b.

¹⁹ საქ. მუხ. პალ. განყ. საბუთ. განყოფილება, კოლექცია SD, № 1838.

²⁰ გრ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. I, გვ. 119.

ნეტავი ერთი მოგიყვანა და გაყურებინა აქაურს ჩვენს შექცევებს, გაშტერდები“.²¹

1835 წლის თებერვლიდან მაისის შუა რიცხვებამდე მანანა ორბელიანის კახეთში წასვლის გამო სალონის კარები დროებით დაიხურა. მარტის 12 ზაქარია ორბელიანი თავის ძმა გრიგოლს წერილით ატყობინებდა: „შენი მანანა წინანდალში არის, კარგა ხანია. Она там мечтают“.²²

ქვეყნაძეების ვანთქმულ მამულში მანანა ორბელიანმა უდიდესი სულიერი სიმშვიდე პპოვა და სრულ თავდავიწყებას მიეცა.

ამავე ხანებში გრიბოედოვის ქერივს წინანდალში ეწეზა უკვდავი რუსი გენიის ალექსანდრე პუშკინის უმცროსი ძმა, თვზთონაც პოეტი ლევ სერგეისძე (1805 — 1852), რომელიც 1826 წლიდან კავკასიის სამხედრო ნაწილებში მსახურობდა. საუბრისას ლაპარაკი ჩამოვარდა პუშკინზე და, რასაკვირველია, რომ ცნობისმოყვარე, რუსული ენის უცოდინარმა მანანამ ბევრი საინტერესო გაიგო გამოჩენილი რუსი მწერლის შესახებ, რომელიც 1829 წელს ორ კვირაზე მეტი იყო ტფილისში და გაიცნო იქაური საზოგადოება.

ლევ სერგეისძემ, რომელიც ჩინებულ დეკლამატორად ითვლებოდა, და რომელიც სხვათა შორის თავის ძმის ნაწერებს ავტორზე უკეთ კითხულობდა, წინანდლელ ქალებს წაუკითხა „რუსლან და ლულდმილას“, რომლის შინაარსი მანანას ქართულად უამბეს.

კახეთში ვატარებულ დროისა და იქ მიღებულ სიამოვნების შესახებ მანანა გრიგოლ ორბელიანს 1835 წლის 13 მაისის თარიღით გაგზავნილ ბარათში სწერდა: „მე ხომ კახეთს ვიყავ, ესე იგი წინანდალში, უცხოვრ შევექეც“.²³

წინანდალში ყოფნით არანაკლებ ნასიამოვნებ ლევ სერგეისძე პუშკინის შესახებ პოეტის დედა იმავე წლის 19 ივნისს თავის ქალიშვილს სწერდა: „სამი დღის წინათ მე მივიღე ლიოვასაგან 29 მაისის რიცხვით გამოგზავნილი წერილი. მან მოიარა მთელი საქართველო, ორი კვირა კი გაატარა გრიბოედოვის ქერივის მამულში. ის ამბობს, რომ იგი უმშვენიერესი ქალია, იგი კვლავ ამირებს მათთან წასვლას“.²⁴

ტფილისში დაბრუნებულმა მანანა ორბელიანმა კვლავ აღადგინა სალონი.

ლიტერატურულად ვახმაურებული წიგნი რუსული ენის უცოდინარი მანანას სალონის წევრთათვის ნატვრის საგნად იქცეოდა ხოლმე, წიგნის ორიგინალში წაკითხვის შესაძლებლობას მოკლებულნი თანახმანი იყენენ თარგმანში მაინც გაცნობილიყენენ მას.

წინანდალში რუსულად მოსმენილ და „ქალებისაგან ზეპირად ნათარგმნ“ „რუსლან და ლულდმილას“ შესახებ მანანა კვალიფიციურ მთარგმნელს რუსეთში მყოფ გ. ორბელიანს ტფილისიდან გაგზავნილ წერილში სწერდა: „ახლა ვთხოვ, გრიგოლ, თუ ქისები და წინდები გინდა, ხომ კიდევ დამპირდი წიგნის თარგმნასა და შეასრულე ჩემი თხოვნა. „რუსლან და ლულდმილასი“ ის წიგნი მითარგმნე, შენი ქირიმე, ისე კარგად და ძლიერად, როგორც რუსულად არის დაბეჭდილი. თუ გინდა, რომ შეიტყო — ეს სახელი ვინ მასწავლა, ში მი-

21. საქ. მეზ. პალ. განყ. Q ფონდის ბელთნაწერი № 155ბ.

22. საქ. მეზ. პალ. განყ. Q ფონდის ბელთნაწერი № 155ბ.

23. საქ. მეზ. პალ. განყ. Q ფონდის ბელთნაწერი № 155ბ.

24. „Литературное наследство“, 1934 წ. № 16—18, გვ. 791.

თარგმნეს ჩვენმა ქალებმა წინანდალში. შენი ჭირიმე, სადაც იყოს — იზოვნე და მითარგმნე, ყმაწვილო“.²⁵

„წინანდალელ ერთ ქალთაგანს“ ნინო ალექსანდრე ქავკავაძის ასულს გრიგოლ ორბელიანი 1835 წლის 10 ივნისს მანანას თხოვნის პასუხად სწერდა: „გიეი მანანა უფრო გაგივიყებიათ, გადამიცდებია — მითარგმნეო“.²⁶

იმავე წლის ივნისის ოცდარის მანანა ავონებდა გრიგოლ ორბელიანს: „ამასწინათ წიგნის თარგმნა გთხოვე ჩემს წიგნში და არ ვიცი მოვივიდა თუ არა, თუ შეიძლებოდადეს მითარგმნე, გენაცვალე“.²⁷

ძნელი სათქმელია, შეასრულა თუ არა გრიგოლ ორბელიანმა დაკვეთა მანანა ორბელიანის სალონისა. პუშკინის „რუსლან და ლუდმილა“ დღემდე უცნობია ქართულ თარგმანში.

მანანას სალონში წაკითხულ ნაწერთაგან ხოტბა გამონაკლისებს ხვდებოდათ ხოლმე. მაღალმხატვრული გემოვნებით დაჯილდოვებული მანანა ავტორებს დიდ შოთხოვნილებებს უდგენდა. ამ გარემოებამ მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იმდროინდელ ლიტერატურულ პრობლემაზე.

სხვადასხვა მიზეზთა გამო ტფილისიდან წასულნი თავიანთ ახალ თხზულებებს სარეცენზიოდ მანანას სალონში გზავნიდნენ ხოლმე, რომელთაც კითხვა და გარჩევა სალონის წევრთა საყვარელ საქმედ ითვლებოდა. მანანა არ იზარებდა მიეწერა თავისი და სხვათა შეხედულება წაკითხულ და გარჩეულ ნაწერზე.

1835 წელს გრიგოლ ორბელიანის შიერ რიგაში დაწერილ და რიგიდან მანანას სალონში სარეცენზიოდ გამოგზავნილ ლექსს „სულით ერთნო მოლხინენო“-ს, მანანა პოეტისადმი მიმართულ ბარათში ასეთ შეფასებას აძლევდა: „ვერათფერი გახლდათ შენი ლექსი „ტიპლიპიტო“. შენ დღეში იმისთანა უგუბური ლექსი არ ვითქვამს“.²⁸

რძალთა შორის იტებილ უთანხმოების გამო ივლისში სალონის მსვლელობა საგრძნობლად შეირყა. 1835 წლის ივლისის ოცდარის მანანა გრიგოლ ორბელიანს მწუხარებით შესწიოდა: „სხვა ჩვენი (სალონის) ამბავი რა მოგწერო, ვართ უგემურად, საცოდავთ, რომ აქ იყო, საშინლად მასწუხდები ჩვენის გულისათვის და შავგვიბრალებ. მეტად ცუდად ვატარებთ დროს“.²⁹

ოქტომბერში რძალთა შორის უთანხმოება მივიდა გაყრამდის. ამჯერად მანანა სწერდა გრიგოლ ორბელიანს: „ჩვენ კამპანიებს ჭითხულობ, ისე ღმერთმა შენი მტრის გული ამყოფოს, როგორც ჩვენი გული იყოს კამპანიისთვის მოცდილი. ვილა და ვისთვის? ჩვენ ვსხედვართ წმინდათ მარტოკა სახლში. აქამდის ჩემი გული სალონზე იყო და კიდევ იმითი ვსიამოვნებდით, ახლა ისიც წაბძანდა გუშინწინ ვარ საცოდავი, უწყალოს ოხვრით დროს გამტარებელი. წიგნიც არა მაქვს რა, რომ ვეკითხო. ახ! გრიგოლ, სადა ხარ, რა რიგად საჭირო ხარ ჩემთვის.“

ახლა ჩემი მდგომარეობა შეიტყვე ვიყრებით მე და ჩემი რძალი. ვალი აქვსთ თუმა ზღისი თუმანი თეთრი ფული, არც ერთს თამაშუქზე ხელი არ მი-

²⁵ საქ. მეზ. პალ. განკ. Q ფონდის ხელნაწერი № 155ბ.

²⁶ „გრიგოლ ორბელიანი, აწერალები“, 1934 წ. ტ. I, გვ. 34.

²⁷ საქ. მეზ. პალ. განკ. Q ფონდის ხელნაწერი № 155ბ.

²⁸ საქ. მეზ. პალ. განკ. Q ფონდის ხელნაწერი № 155ბ.

²⁹ საქ. მეზ. პალ. განკ. Q ფონდის ხელნაწერი № 155ბ.

წერია, არც ჩემ ქმარს და მეუბნებიან უთუოდ ნახევარი შენ უნდა მისცო. რაც ქმარი მომეცოდნია, არც რა მისარებელია ჩემი ყმა და მამულიდან სულ ამათ შეუქამიათ და ახლა ჩემ პაწაწინა ობლებმა უნდა გადაიხადონ. გუბერნატორი არის მოლაპარაკე. ახლა წარმოიდგინე ჩემი უწყალო უხუგეშო მდგომარეობა და ისე შამიბრალე. აქედან მანდ მოწერა ძნელია, თორემ სულ დაწვრილებით მოგწერდი ჩემი სახლის ამბავს. ეს გახლავთ ჩემი დროს გატარება“.³⁰

მანანა ორბელიანი თავის შვილებს ევროპულ ყაიდაზე ზრდიდა. გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილ ერთს ბარათში ვკითხულობთ: „ჩემი შვილები პირს გკოცნიან. ივანე პანსიონში მყავს და სწავლობს, რაც შეეფერება. გიორგი ავალოვსა ესთხოვე მოსკოვში თავისი თვალყურის გდება და მიწდა იქ გავაგზავნო და ჯერ პასუხი არ მომსვლია. ფრანციცკუს კი ლაპარაკობს ცრტად და სწერს, კითხვითაც კითხულობს. ქალიც მადამ დანელოვიჩთან მყავს, წელიწადში 25 თუმანს მართმევს თეთრს ფულს, ისიც სწავლობს, მაგრამ ივანეს გონება კარგი აქვს, მინემ ტასოს. ალექსანდრე კი ჯერ ყმაწვილი არის და ელენე აკითხებს“.³¹

1835 წლის დასასრულს გარდაიცვალა მანანას მშალი ლუარსაბ ორბელიანი. როცა ამ ამბავმა გრიგოლ ორბელიანამდეც მიჯღწია, უკანასკნელი მანანას სწერდა სანუგეშოდ:

„შუა ღამიდან ოჩი საათია გასული და მე მწუხარება არ მაძინებს. რამდენიმე საათია, რო ეცდილობ შენდა მოწერას და ვერა მომიგონია სათქმულად — ვერც შენდა ნუგეშის, ვერც ჩემის მწუხარების. ესრეთ სიმწარემან სრულებით განაძნა გონება ჩემი და შთამფლო მოუთმენელსა და მოუსვენრობაში; მაგრამა, შენ იგრძნობ ჩემს მწუხარებას, იგრძნობ, როდესაც მოიგონებ, უბედნიერესნი ჩემნი დღენი წარვიდნენ თქვენს ოჯახში საყვარელს დავითთან და ლუარსაბთან, რომელთა სიკვდილით დამემწარა სრულებით სიცოცხლე.“

მანანა! ვინძლო უბედურებამ არ გძლიოს შენ, არა დაეცე სულითა; გარდამეტებული მწუხარება არის წინააღმდეგ ღეთისა: მიხედე შენ წერილ შვილებს, რომელთაცა მგარველად დაშთი მხოლოდ შენ ამ სოფელში. მათთვის უნდა იცოცხო, მათთვის უნდა მოითმინო ყოველგვარი უსიამოვნება და ტანჯვა; თვითელი ეამი, თვითელი დღე შენისა სიცოცხლისა უნდა უმსვერპლო მათ.

ეს არის დიდი ეალი შენი, ეალი დედისა. ამა მიზეზთა გამო გამხნევი სულითა, შეძლებისამებრ განაგდე ყოველივე მწუხარება და მედგარდ შეუდექ და აღასრულე ეალი შენი. ყოველისა შენის ფიქრის საგნად უნდა იყენენ შენი შეიღნი და მათი ბედნიერება. გეხვერწმნი დაწვრილებით მომწერე ყოველივე გარემოება თქვენს სახლისა, მიზეზი უბედურის სიკვდილისა, და აწინდელებ თქვენი მდგომარეობა და ან როგორი პლინება გაქვთ თქვენს ცხადრებისათვის“.³²

გავიდა რამდენიმე ხანი, „ლორბელმა მალე გადაიარა“ და მანანას სალონიში კვლავ ძველებური ცხოვრება აღუღდა.

³⁰ საქ. მუშ. მატ. კანც. Q ფონდის ბელთაწერი № 155b.

³¹ საქ. მუშ. მატ. კანც. Q ფონდის ბელთაწერი № 155b.

³² გ. ორბელიანი, „წერილები“, 1936 წ., ტ. II, გვ. 38.

გასული საუკუნის ორმოციან წლებში მანანა ორბელიანის სალონში მუდმივად დადიოდა საშუალო სიმაღლისა და მოთეთრო პირბმელი სახის, ერთმანეთთან გადაღობილ წარბებით, მიმზიდველ შავთვალეზიანი, ყოველთვის წვეწვულვამოკარსული, ევროპულად ჩაცმული „ექვედიცია სუდა ი რასპრავის“ კოჭლი „სტილნაჩალნიკი“, შინაურები ტატოს რომ ეძახდნენ.

„არა ქორწილი, — სწერს იონა შეუნარგია, — არა ღამის თევა, არა ყრილობა არ იყო თბილისის ქართველ საზოგადოებაში, საცა ის არ ყოფილიყო თავმომლზენად და შემაქცევრად. ყმაწვილი კაცი, უპირველესი ოჯახის შვილი, მარჯვე, მოსწრებული მოლაპარაკე, მოლექსე, მეჩონგურე, მეთარე, ქალაღდის გატაცებით მოთამაშე, ყოველგან მომსწრობი, ყოველგან შინაური კაცი.

საღამო ისე როგორ ჭაივლიდა, სამ-ოთხ ოჯახს არ სწვეოდა, ის ამბები და ქორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა. დროეკის ფულები არა ჰქონდა (ფაეტონები მაშინ არ იყო) ამდენ სასიარულოდ, მაგრამ ის კოჭლი ფეხები ხომ ზედ ჰქონდა და ბილიკები ხომ ზეპირად იცოდა. მისთვის ყველგან ფართად ვალებული იყო კარები შეტადრე მანანა ორბელიანთან, ამ ჩვენებურ მაღამ რუკამიესთან. აქ თამაშობდა ის, აქ ლხინობდა, ოხუნჯობდა, არშიყობდა“,²² მღეროდა, კითხულობდა თავის ლექსებს, სხვებს უსმენდა, აქებდა, ქირდავდა და დასცინოდა.

როგორც უკანასკნელ ხანებში გამოირკვა, დიმიტრი ყიფიანს შექსპირის ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“ მანანა ორბელიანის პირადი შეკვეთით უთარგმნია. პიესის თარგმანის თავფურცელზე წარწერილი გვამცნობს: „კენონა მანანა ორბელიანისთვის ქართულსა ენაზედ გარდმოღებული ყიფიანის მიერ“.²³

ვენაიდან ბარათაშვილი თავის თარგმნილ პიესას ლეიზევიცის „იულიოს ტარენტელს“ დიმიტრი ყიფიანის — დასახელებულ თარგმანთან მოიხსენიებს, ბუნებრივად იზადება კითხვა, მანანა ორბელიანის შეკვეთითვე ხომ არ არის თარგმნილი ლეიზევიცის ტრაგედიაც? თანვე: მანანა ორბელიანის სალონი ხომ არ აქვს სახეში ნიკოლოზ ბარათაშვილს, როცა იგი 1841 წლის მაისის 21-ს, აღფრთოვანებული სწერს თავის ბიძას გრიგოლ ორბელიანს:

„ჩვენმა ლიტერატურამ ორი კარგი თარგმანი იშოვა: კიბიანმა გადმოთარგმნა „Ромео и Джулиетта“ შექსპირის ტრაგედია და შე ვთარგმნე „Юлий Цезарь“ ტრაგედია ლეიზევიცისა; თუ წავიკითხავს ბიბლიოტეკაში იყო დაბეჭდილი; მე ძალიან მომეწონა და ჩვენმა განათლებულმა ქალებმა ისე ვასახვე იტარეს“.²⁴

ბარათაშვილს პირადი მეგობრობა ჰქონდა მანანასთან. ისინი ბარათაშვილს სწერდნენ ერთმანეთს. ამ მიმოწერის არც ერთი ეპისტოლე არ შემოუნახავს სამწუხაროდ ისტორიას ჩვენთვის. სხვა პირებისადმი მიმართულ ჩვენამდე მოსულ ბარათაშვილის წერილებში მანანა არა ერთგზის არის მოხსენიებული.

1841 წლის თებერვლის 31 ბარათაშვილი ტფილისიდან მთავრობის ორბელიანის სწერდა: „მადლობელი ვარ, რომ ჩახველს წიგნი დასტყუე, გუშინ იახემ

²² ნ. ბარათაშვილი, 1922 წ. გამოცემა, გვ. XXIV, XXV.

²³ სპ. მუს. პლ. განვ. N ფონდის ბელიანური № 2677.

²⁴ ნ. ბარათაშვილი, „ლიტერატურა“-ს გამოცემა, 1939 წ., გვ. 80.

შომიტანა. ამიტომ უფრო შიამა, რომ წინა დღეს ამ წიგნზედ ლაპარაკი იყო და მეორე დღეს უნდა მიმეტანა მანანასთვის, ასე ეგონა მე მაქვს“.³⁶

ნ. ბარათაშვილის დის ეკატერინეს ქორწილს ახალ გორში მანანა ორბელიანიც დაესწრო. ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში დეტალურად აღწერს მრავალდღიან ლზინსა და მასში მანანას მონაწილეობას.

1844 წლის 15 აგვისტოს აღევობაზე ეკატერინესთან ჩასულ ნ. ბარათაშვილსა და მის მამას მელიტონს თან ახლდა მანანა ორბელიანიც. ბარათაშვილი თავის ბიძა ზაქარია ორბელიანს სწერდა: „ის ღამე და მეორე დღეც იყო მშვენიერი. ძალიან მზიარულება იყო, ცოტა წამოსვლის დროს მანანა ავად გახდა და იმან ცოტად დაგვიშალა მზიარულება“.³⁷

გაიარა რამდენიმე ხანმა.

ნახიჩევანში ლევან მელიქიშვილთან ერთად მყოფი ბარათაშვილი 1845 წლის თებერვლის ცხრას მაიკო ორბელიანისადმი მინაწერ წერილში მანანას ასე ესაყვედურებოდა: „მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არა მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრით, არც კი უნდა დავეშდურო, ახლა ჩვენ ვილას მოვაგონდებით, ვილაც ორი ტლუ ბიჭი ჯდია ნახიჩევანში. ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალი და მოღაში ოთხმოცო წლის კაცები არიან“.³⁸

ვორონცოვების საქართველოში ჩამოსვლით ტფილისმა კიდევ ერთი სალონი მიიმატა. კვირაში ერთხელ დილით გრაფინია ელისაბედ ქსავერის ასულთან თავს იყრიდნენ ტფილისის წარჩინებულნი. ორშაბათ დღეებში კი საღამომობით მასთან ცეკვავდა შთელი ტფილისის საზოგადოება. ვანსაკუთრებით სახელგანთქმული იყო ეს სალონის თავისი „სადილებით“. ამ სადილებისა და ორშაბათების ერთი „მანათობელი ვარსკვლავთაგანი“ იყო მანანა ორბელიანიც.

ზისერმანის ცნობით: „სადილები გრაფ ვორონცოვთან იწყებოდა სრულს საათზე სანთლებით გაჩირღდნებულ დარბაზში. დაპატივებულთა რიცხვი ყოველდღე 25-30 სულზე ნაკლები არასდროს ყოფილა. სუფრის შუა ადგილის ერთ მხარეს გრაფი იკავებდა. მეორე მხარეს ჯდებოდა გრაფინია, სადილობა გრძელდებოდა სრულ ერთ საათს. მეტად კმაყოფილი იყო გრაფი ვორონცოვი, თუ მას გვერდს უსხდნენ მანანა ორბელიანი ან ელენე ერისთავი. თავადის ქალს მანანას, თუმცა უკვე ხანდაზმულობაში შეედგა ფეხი, იჭნებოდა არა ნაკლებ 45 წლისა, მაინც ერთი ულამაზესი ქალთაგანი იყო და ზოგიერთები ოხუნჯობდნენ — თავის ქალიშვილს ვერასოდეს გაათხოვდნენ. ქალი ყველგან დაჰყვებოდა დედას, მაგრამ იმას ყურადღებას არავინ აქცევდა. მართლაც მისი ქალი ანასტასია (შემდეგში შვირთო ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინმა) არ იყო მაინცდამაინც ლამაზი“.³⁹

რუსეთის გაქნილი და გაიძვერა მთავარმართებელი მ. ს. ვორონცოვი ცდილობდა რაც შეიძლება ღრმად ჩაეთრია ქართველი ქალები ევროპულ ცხოვრების წესში.

³⁶ ნ. ბარათაშვილი „ფედერაცია“-ს გამოცემა, 1939 წ. გვ. 83.

³⁷ ნ. ბარათაშვილი „ფედერაცია“-ს გამოცემა, 1939 წ. გვ. 91.

³⁸ ნ. ბარათაშვილი „ფედერაცია“-ს გამოცემა, 1939 წ. გვ. 91.

³⁹ Виссерман, „25 лет из жизни“.

ნიკოლოზ ისაკოვი ამბობს: „ვორონცოვმა, რომელსაც სურდა ქართველი ქალებისათვის ეჩვენებია საქართველოს გარე რამ, საგანგებო გემით მოაწყო (1846 წლის 28 ივლისს) მათი ყირიმში გამგზავრება, ალუბკაში ბანოვანებს მეტურად შეხვდნენ“.⁴⁰

ყირიმში გამგზავრებულ ქალთა მარაქაში იყო მანანაც. ტფილისში ქალების დაბრუნების რამდენიმე ხნის შემდეგ გრიგოლ ორბელიანი თავის უმცროს ძმას ილიას ჯუნგუთიდან სწერდა: „ბრწყინვალე ჩვენი კნეინა მანანა როგორ ჰსუფევს? ჩემ მაგიერ დიდი პატივისცემა მოახსენე და ჰკითხე—გოლანდისკის პალატნო რომ დამპირდა, მომიტანა ოდესიდან?“⁴¹

ორმოცდაათიან წლებში, როცა ეკონომიურად დაცემულმა ქართველ თავად-აზნაურობის ერთმა ნაწილმა ავაზაკობასა და მძარცველობას მოჰკიდა ხელი, მანანა უიღრესად ბლაშფოთა და შეურაცხო ამ უგვანო საქციელმა. აკაკი წერეთელი ვორონცოვის ექიმ ანდრიევსკის ნაამბობს ასე გადმოგვცემს თავის მოგონებებში: ფოსტა რომ გასტეხეს ავაზაკებმა, განსვენებულმა ვარაზცოვმა ცრემლები გადმოყარა: „ვინ ქართველი და ვინ ამისთანა უცნაური, უმაგალითო მათში საქმეო“. სამაგალითოდაც დასაჯა დამნაშავენი: საუკუნოდ შადნებში შუშაობა მიუსაჯეს დიდსა და პატარას ყველას.

თუადმა ერთხელ ჰკითხა ქალებს: „ნუ თუ მაგრე დაგენანათ რამდენიმე კაცის ციმბირში გაგზავნაო?“ და კნეინა მანანა ორბელიანისამ ეს პასუხი მისცა ქართველ ქალების მაგივრად საზოგადოდ: „ისინი რომ სულაც არ გაეჩინა ღმერთს ჩვენ შესარცხვენად, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ის გვაწუხებს, რომ იმ შეჩვენებულებმა ქართველებს სახელი გაგვიტეხეს და სხვების სჯულზე და კვალზე წავიდნენ!“ ვარაზცოვმა ხელზე აკოცა მანანას და ღმილით უთხრა: „კნეინავ, ნუ შესწუხდებით, თვითოროლა ცუდი ყველგან ურევიაო“.⁴²

მანანა ორბელიანის სალონმა უდიდესი როლი ითამაშა მთელ რიგ კულტურულ წამოწყებათა საქმეში.

როგორც ლუკა ისარლიშვილის ეხლახან ნაბრუნ მოგონებიდან სჩანს, მანანა ორბელიანი ყოფილა ერთი მთავარი ორგანიზატორთაგანი თურნალ „ცისქარის“ გამოცემისა და მუდმივ ქართული თეატრის ჩამოყალიბებისა.

„მანანა ორბელიანის სალონში იყო, — სწერს ისარლიშვილი — რაც ცისქარის გამოცემის და თეატრის მიეცათ დასაწყისი.“

აქ იკრიბებოდნენ და, კითხულობდნენ ლექსებს: ტატო (ბარათაშვილი ნიკო) ასე ემზხდნენ, გიორგი ერისთავი, ისარლოვი, ბირთველიძე (შიხილ თუმანიშვილი), შალალაშვილი, ხანდახან ყოფიანი და სხვ. ერთ საღამოს სთქვეს: შადი ერთი თურნალი გამოეკეთ... ვორონცოვი მანანასთან ხშირად დადიოდა და აქ შეიტყო ამ განზრახვის შესახებ, მოიწონა, შემწეობა მისცა თურნალის გამოცემისა და თეატრისათვის“.⁴³

პროფესიული თეატრის პირველი წარმოდგენის მოწყობაში არანაკლები ღვაწლი უდევს მანანასაც. 1850 წლის იანვრის ორს ტფილისის კეთილშობილ-

⁴⁰ იფრ. „Русские Служба“, 1917 წ. № 2.

⁴¹ ვ. ორბელიანი „წერილები“ 1934 წ. ტ. I გვ. 144.

⁴² ა. წერეთელი „მწველი ნაწილები“ 1930 წ. ტ. I გვ. 88.

⁴³ ვ. შ. აღმდგენი „ქართული საქართველო“ 1938 წ. № 25.

თა სასწავლებლის დარბაზში ნათამაშვე კომედია „გაყრა“-ში მან ყარდაშვერ-
დის როლი შეასრულა.

ლიტერატურის, ხელსაქმისა და თეატრის მოყვარული მანანა ორბელიანი
ხშირი სტუმარი იყო იმხანად ტფილისში მყოფ იტალიური ოპერისა. ოლშევე-
სკი, რომელიც 1853 წლის სექტემბერში დაესწრო ტფილისის იტალიურ ოპე-
რაში „რიგოლეტოს“ წარმოდგენას თავის მოგონებებში ასე აღწერს მანანასა
და სხვა ლამაზ ქართველ ქალთა ყოფნას ამ წარმოდგენაზე:

„გრაფინია ვორონცოვისა, და მისი ნათესავი ქალის გრაფინია შუაზელ-
გუფიეს ვარდა მე ვნახე წარმოდგენაზე კნენები: ელენე ერისთავი, მანანა
ორბელიანი თავისი ქალიშვილით, მარია ივანეს ასული ორბელიანი თავისი
ასულით, კნენა ანნა და ბარბალე ილიას ასული და ანეტა ამილახვარი.

ყველა ესენი შეადგენდნენ ქართველ ქალთა არისტოკრატიულ წრეს, რომ
მელნიც სახელგანთქმულნი იყვნენ თავისი სილამაზით. მთელი ეს საზოგადო-
ება სცხოვრობდა იმაზე უკეთესად, რის სახსრებიც ჰქონდათ.

მანანამ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე გადააბიჯა ორმოც წელს თავის
ცხოვრებისას, მაინც შეინახა სიდიადე თავის სილამაზისა, რომლითაც იგი უგ-
ზომ ცნობილია საქართველოში“.⁴⁴

1858 წლის ნოემბერში ტფილისში ჩამოსული შერთებულნი მტატების
სრულუფლებიანი ელჩი სეიმური უმოკლეს დროში შეიქმნა ტყვე მანანას სი-
ლამაზისა.

მარიამ ვახტანგის ასულ ორბელიანის გადმოცემით: „ინგლისელი სეიმუ-
რი ყოფილა შეყვარებული მანანაზე. სეიმური იშოვიდა თუ არა ხელსაყრელ-
დროს, უხსნიდა მას სიყვარულს ინგლისურ ენაზე, რომელიც მანანას არ ეს-
მოდა, მაგრამ ატყობდა, რომ ეს სიყვარულის ახსნა იყო და რომელიც მისი
აზრით მისი ქალისადმი იყო მიძღვნილი. ბოლოს ერთი მეტისმეტად მზურვალე
სიყვარულის გაცხადების შემდეგ, მანანამ უთხრა ვილაყას, რომ აუხსნათ სე-
იმურისათვის, რომ რასაც ის მას თხოვს, სრულებით არ არის მისგან დამოკი-
დებული და რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი ქალის ტასოს საქმეა. მანანას
აუხსნეს, რომ სეიმურისაგან გრძნობების გამოხატვა ეკუთვნის არა მის ქალს,
არამედ თვითონ მას, რაზედაც მანანამ ბევრი იცინა“.⁴⁵

თავის ცხოვრების უკანასკნელ წლებს მანანა თავის ქალთან ერთად ყო-
რბში ატარებდა. გრიგოლ ორბელიანი 1859 წლის 11 აპრილს დიმიტრი ჯორ-
ჯაძისადმი გაგზავნილ ბარათში მანანას შესახებ სწერდა: „მოატანა ზაფხულ-
მა და ნელნელა ემზადებიან ტფილისიდან გასვლას: ტასო გვგაჩინისა წაეი-
და ყირიმს და თან წაიყვანა ივანეს ცოლი სოფიო. მანანაც მალე წაეა იმათ-
თან“.⁴⁶

ბაბალე ქობულაშვილი ანეტა ამილახვისადმი 1866 წლის გაზაფხულზე
დაწერილ ბარათში სწერდა:

„აქაური ამბავი მაგდენი არა არის რა მოსაწერი. მანანასა და ტასოს წა-
სვლის მეტი. ძალიან შემაწუხა მისმა წასვლამ, სწეული დედაყაყო და სად
მიდის, მთელი დღით იყო ჩემთან. ხან ვიტყვით, ხან ვიცინეთ, კონა წაიყვანა

⁴⁴ უკრ. „Русская Старина“, 1894 წ. № 6.

⁴⁵ ეს ცნობა ჩასწერა და გადმოცემა პასუნა წერეთელმა, რომელსაც თავისი ნაწილისათვის
უბი უკრმეს მაღალმას მოცხადებდა.

⁴⁶ საქ. მან. პაღ. ვანუ. ფონდის ხელნაწერი № 135 ბ.

თახა და ძალიან კარგათა ჰქმნა. ამისთვის, რომ მგონია ტასო ალექსანდრეს-თან დარჩება და იმას ვილა წამოიყვანდა“.⁴⁷

გადიოდა დრო და წლებს თავისი მიჰქონდათ. ანლოვდებოდა აღსასრუ-ლი და მოვიდა კიდეც 1870 წ. იენისის სამს გრიგოლ ორბელიანი ტფილისი-დან სამეგრელოს დედოფალ ეკატერინეს ასე აუწყებდა მანანა ორბელიანის გარდაცვალებას:

„მწუხარება მწუხარებაზე დაგვერთო. ძლივ დავსაფლავეთ საბრალო ალექსანდრე სამებაში, ორს დღეს უკან მივასვენეთ იქვე ჩვენი სიქადული მა-ნანა“.⁴⁸

იმავე წლის დეკემბრის ოცდარვას, ზურაბ ანტონოვის კომედია „მზის დაბნელება საქართველოში“ წარიოდგენის შემდეგ რევაზ ანდრონიკაშვილის ჭახლში „ქართულ თეატრის მოსიყვარულეთათვის“ გამართულ ნადიმზე ეურ-ნალ „ტასკრის“ რედაქტორმა ივანე კერესელიძემ ლხინის დასაწყისშივე სთქვა:

„პირველად რომ წარმოადგინეს ვარანცოვის სურვილით „გაყრა“, მაშინ მომქმედნი პირნი იყვნენ ჩვენი საქართველოს თავადიშვილების პირელი ოჯა-ხისშვილები. იმით რიცხვში ერია განსვენებული, დედათ სქესებში ნაქები და განთქმული მანანა ორბელიანისა“.⁴⁹

სიტყვის დასრულებისთანავე წყვდადივით ჩამომდგარი დუმილი შესან-დობარის შესასვამად აღმართულ სასმისების ხმაურში ჩაიხრჩო.

⁴⁷ წერილის დედანი ინახება არტემ გაბუნისთან, ფიქრებს შადლოშას ეფიქენი შას შაბათით სარგებლობას ნებართვისათვის.

⁴⁸ სქ. ბ. ზ. პლ. ვახუ. Q ფონდის ხელთაწერი № 1556.

⁴⁹ ვერ. „ცხსება“, 1871 წ. № 1.

ნიკოლოზ ბარათაშვილი. ლექსები, კომეზა. წერილები.

ფელეტონი, 1939. ტფილისი.

აღნიშნულ გამოცემას აკადემიურობის პრეტენზია უფორმად აქვს ამის დამდასტურებელი თვით წიგნის გამოცემის კომფორტებელობა და აპარატურა. მთლიანად, დღემდე აღმოჩენილ ნ. ბარათაშვილის ლექსების, პოემის და წერილების ვარდა, წიგნში მოთავსებულია: პოეტის ერთეული ბიოგრაფია (პ. ინგოროყვა), ბარათაშვილზე გენეოლოგიისათვის (ს. ჯანაშვილი), ბარათაშვილის ენა (ა. შანიძე), ნ. ბარათაშვილი და პოლონელი პოეტი ზაბლოცკი (ლ. ასათიანი), ბარათაშვილი და ლიაწვიცი (გ. ნადირაძე), პოეტის შრომებთან წერილები (ი. ვრიშაშვილი), შენიშვნები ტექსტისათვის (ი. ბალახაშვილი), პოეტის თხზულებათა ქრონოლოგიური და ალფაბეტური საძიებელი. აკლბა: ნ. ბარათაშვილის ცალკე გამოცემათა ბიბლიოგრაფია, რაც აუტოლებელი იყო სარეცენზო გამოცემის ხასიათისთვის, და მთელ რიგი ფაქტების დაზუსტება.

რამდენიმე მაგალითი: პოეტის დაბადების დათარიღება 1818 წლით ყოველგვარ დამაჯერებლობას მოკლებულია წინამდებარე ბიოგრაფიული ნარკვევის მიხედვით. პოეტის სკოლის მეგობრების (მამაკაშვილი, თუმანიშვილი), მისი პირველი ბიოგრაფის ი. მეუნარგიას და ჯანჯის საფლავის ქვაზე წარწერის მტკიცებით ნ. ბარათაშვილი დაბადებულია 1816 წელს მთელ 124 წლის მანძილზე ქართულს ლიტერატურაში განმტკიცებული აზრი წინამდებარე მონოგრაფიით პ. ინგოროყვამ სადაოდ გახადა და ამ რა საბუთებით: ა) ბარათაშვილის ვადმოცემით 1837 წ. ნიკოლოზ I რომ ტფილისში ჩამოსულა, მეფის ძლიერ მოსწონებია ქულაჯაში გამოწყობილი პოეტის რომელიც მაშინ 19 წლის ყმაწვილი იყო. და ბ) თვითონ ნ. ბარათაშვილის მაიკო ობზერვაციისადმი 1845 წლ. 9 თებერვალს მიწერილ ბარათით, საცა წათქვამდა, რომ „ჩვენ წელს ოცდაექვსისა შეესრულდით“.

ბ) ცხელი მათგანი ამ შრიც საბუთად ვერ გამოდგება. პირველი იმით, რომ ის მთლიანად მოგონებაა, დროის დახლოებითი გამოანგარიშება და არა ზუსტი, ან კონკრეტული რაიმე დოკუმენტი. თუმცა ეს მოგონებას საეკუა პოეტის თხზულებათა 1922 წლ. გამოცემაში მოთავსებულია პოეტის დის ბარათის მოგონება (გვ. 241), მაგრამ ასეთი თარიღის შესახებ იქ არაფერია წათქვამი. ხოლო მაიკოსადმი წერილს პოეტის ბიოგრაფი ი. მეუნარგიამ შენიშვნას (გვ. 28) ასეთი კომენტარებით: „ოცდა რვა უნდა იყოს, ნაკლებს განგებ ამბობს“. ეს შენიშვნა უფორდ საგულისხმა და, ესეც რომ არ იყოს, თუ პოეტი 1845 წელს 26 წლისა იყო, მის დაბადების თარიღად 1818 წ. როგორ გამოვიდა?

ვატერიანე ჭავჭავაძის (რომელსაც ინგოროყვას თქმით, „სამართლიანად უნდა მიეკუთვნოს სახელი—ქართული პოეზიის მემკვიდრე“) დაბადების თარიღად გამოცხადებულია 1818 წ. (გვ. 47), ხოლო ამავე გამოცემის 119 გვ. 1816 წელი. რომელს უნდა დაეყრდნოს შეიძლება? ჩვენ კი დავძინდით: ე. წ. ჭავჭავაძე (შემდგენი სამეგრელოს დედოფალი) ნამდვილად დაბადებულია 1816 წელს (იხ. ი. მეუნარგიას შრომები: „სამეგრელო დავით დავიანის დროს“ და „ილა ჭავჭავაძე“).

ლექსი... „ნაფორტოპიანოზე მოძღვრალი“ პ. ინგოროყვას განმარტებით მიძღვნილია ვიკტ. ჭავჭავაძისადმი (გვ. 36). ხოლო ამავე წიგნის 124 გვერდზე აღიარებულია ნინა ჭავჭავაძისადმი მიძღვნილად, რომელს უნდა დაეყრდნოს?

1) „წიგნობი“ № 10 — 1938წ.

სარეცენზიო წიგნში ღაბთელი მონოგრაფიის ავტორი ხშირად გვერდს უვლის ამათუიპ საქირო საბუთის ან წყაროს ზუსტ დასახელებას, რაც მკითხველისთვის ერთობ დამაბეჭებელია. მაგ. „გრიგოლ ორბელიანს; როგორც ამას თვით აღნიშნავს ერთგან, არ დარჩენია ამ ნაწარმოების პირი“. რატომ არ შეიძლება ამ „ერთგანის“ ცხადყოფა? „უარეს პირობებში, როგორც სამართლიანად სწერს ერთი მწერალი, (რომელი მწერალი?) იშვიათად ჩაეარდნია პოეტური ტალანტი“ (გვ. 33), „სწერს თანამედროვეთა ჩვენების მიხედვით პოეტის ერთი ბიოგრაფი“ (გვ. 10) და სხვ.

წიგნში მოცემული გენეალოგიური შტოს ნუსხა (გვ. 7) უზუოდ საქირო და ეარგია, შაგრამ კიდევ უფრო საინტერესო იქნებოდა ასეთივე ნუსხა პოეტის შამის (ბარათაშვილების) ზახითაც.

პოეტის პორტრეტის აღდგენის საკითხში შიხ. თუმანიშვილის ცნობილი მონახაზის ასე ხელაღებით უარყოფა (გვ. 6) შეუძლებელია, შით უმეტეს, რომ შის გარშემო უკანასკნელ პერიოდში საკმარ მონაცემები დაგროვდა. თვითონ ამავე წიგნში მოცემული ლ. გულიაშვილის შიერ სუფთად შესრულებული ბარათაშვილის პორტრეტი ერთერთი ნაყოფიერი ცდაა თუმანიშვილისეული მონახაზის აღდგენისა პოეტის თანამედროვეთა გამოცემის საფუძველზე.

თხზულებათა ტექსტი ზედმიწევნით ფრთხილად გასწორებულია და დადგენილი, თუმცა რამდენიმე შეცდომა შინც გაპარულა (ალბათ ბეჭდვის მიზეზით), მაგ., „ძლიერსა სხვისა“ (გვ. 20) უნდა იყოს „სხვისა“, „ჩრდილის“ (გვ. 78) — ჩრდილოს შავიერად და სწვ.

წიგნში, სრულიად ახალია და შეტად საინტერესო პროფ. ს. ჯანაშვიას გამოკვლევა „ბარათაშვილთა გენეალოგიასთვის“.

მოყვანილ ნაკლთა შიუხედავად ნ. ბარათაშვილის აღნიშული გამოცემა ერთერთი დიდი შენაძენია ქართული კლასიკური ლიტერატურის ბრწყინვალე საგანძურში.

25

**1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თარგა“ გაგონის
უკველთვიუკად**

ხელის მოწერის პირობები:

- წლიურად 18 ზან.
- ნახევარი წლით 9 "
- ცალკე ნომერი 1 ზ. 50 კ.

ახელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუხპეჩატის
რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

ჩეკავაძის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, პწერალთა კაშპირი.

ფასი 12.50 ლ.

№ 553
1940



Ежемесячный журнал
„**ЧВЕНИ ТАОБА**“
Сахелგამი 1940 г. Тბილისი